30. Bermejo J, Segovia J, Alfonso F. Summary of the clinical studies reported in the scientific session of the American Heart Association 2005 (Dallas, Texas, USA, 13-16 November 2005). *Rev Esp Cardiol.* 2006;59:143-53.
31. Goyal A, Tricoci P, Melloni C, et al. Highlights from the American Heart Association Scientific Sessions, November 13 to 16, 2005; Dallas, TX. *Am Heart J* 2006;151:295-303
32. No authors listed. Scandinavian Cardiovascular Journal. *Circulation.* 2006;3;114:f156

## Leading Article

33. Ribeiro C, Ferreira R. Revista Portuguesa de Cardiologia. Quality and prestige for the use of cardiovascular medicine. Rev Port Cardiol. 1992;11:11-2.

### Appendix:

National society journal names (by alphabetic order of Country origin) and Members (Editor-in-Chiefs) of the Editors' Club Task Force are listed below:

NS Name	NS Journal	Chief-Editors' Name
Albanian Society of Cardiology	Revista Shqiptare e Kardiologjisë	Anesti Kondili
Algerian Society of Cardiology	Journal de la Société Algérienne de Cardiologie	Djamaleddine
Nibouche		
Armenian Cardiologists Association	Armenian Journal of Cardiology	Karlen Adamyan
Austrian Society of Cardiology	Journal für Kardiologie *	Kurt Huber
Belgian Society of Cardiology	Acta Cardiologica	Hugo Ector
Bosnia and Herzegovina	Medicinski Arhiv	Izet Masic
Bulgarian Society of Cardiology	Bulgarian Journal of Cardiology	Rumiana Tarnovska
Croatian Cardiac Society	Kardio List	Mario Ivanusa
Czech Society of Cardiology	Cor et Vasa	Vladimír Staněk
Danish Society of Cardiology	Cardiologisk Forum	Jørgen Videbæk
Egyptian Society of Cardiology	Egyptian Heart Journal	Mohamed Hamed
Estonian Society of Cardiology	Seminars in Cardiovascular Medicine **	Alexandras
Laucevicius		
Finnish Cardiac Society	Sydänääni (Heart Beat)	Pirjo Mustonen
French Society of Cardiology	Archives des Maladies du Cœur et des Vaisseaux	Jean-Yves Artigou
	Archives of Cardiovascular Diseases	Ariel Cohen
Georgian Society of Cardiology	Scientific-Practical Journal	Mamanti Rogava
German Cardiac Society	Clinical Research in Cardiology	Michael Böhm
	Clinical Research in Cardiology Supplements	Eckart Fleck
	Basic Research in Cardiology	Gerd Heusch
	Cardio News	Rainer Klawki
Hellenic Cardiological Society	Hellenic Journal of Cardiology	Panos Vardas
		Christodoulos
Stefanadis		
Hungarian Society of Cardiology	Cardiologia Hungarica	József Tenczer
Italian Federation of Cardiology	Journal of Cardiovascular Medicine (English)	Massimo Chiariello
	Giornale Italiano Di Cardiologia (Italian)	Giuseppe Ambrosio
	Seminars in Cardiovascular Medicine **	Aleksandras
Latvian Society of Cardiology		
Laucevicius		
Lebanese Society of Cardiology	Heart News	Joseph Elias
Lithuanian Society of Cardiology	Seminars in Cardiovascular Medicine **	Aleksandras
Laucevicius		
Moroccan Society of Cardiology	Revue Marocaine de Cardiologie	Halima Benjelloun
Netherlands Society of Cardiology	Netherlands Heart Journal	Ernst E. Van der Wall
Norwegian Society of Cardiology	HjerteForum - The Journal of the Norwegian Society of Cardiology	Olaf Rødevand
Polish Cardiac Society	Kardiologia Polska -Polish Heart Journal	Piotr Kułakowski
Portuguese Society of Cardiology	Revista Portuguesa de Cardiologia	Fausto J. Pinto
Romanian Society of Cardiology	Romanian Heart Journal	Eduard Apetrei
Russian Federation Society of Cardiology	Russian Journal of Cardiology	Victor A. Lusov
	Cardiovascular Therapy and Prevention	Rafael G. Oganov
Cardiology Society of Serbia	Kardiologija	Velibor Obradovic
Slovak Society of Cardiology	Kardiológia/Cardiology	Gabriel Kamensky
Slovenian Society of Cardiology	Slovene Cardiology	Miran F. Kenda
Spanish Society of Cardiology	Revista Española de Cardiología	Fernando Alfonso
Swedish Society of Cardiology	Svensk Cardiologi	Christer Höglund
Swiss Society of Cardiology	Kardiovaskuläre Medizin	Thomas F. Lüscher
		René Lerch
Syrian Cardiovascular Association	Heart Forum	Moufid Jokhadar
Tunisian Society of Cardiology	Cardiologie Tunisienne	Habib Haouala
Turkish Society of Cardiology	Archives of the Turkish Society of Cardiology	Vedat Sansoy
Ukrainian Society of Cardiology	Ukrainian Journal of Cardiology	Valentin Shumakov
British Cardiovascular Society (UK)	Heart	Adam Timmis

\* not official National Society journal, but major cardiology journal in Austria

\*\* common journal for the Baltic countries



**იმუნოანთებითი რეაქციებისა და ენდოტოქსემიის გამოვლენათა  
კორექცია ქრონიკული გულის უკმარისობით  
შეპყრობილ ავადმყოფებში**

*მ. როგავა, თ. ბოჭორიშვილი*

*აკად. ნ. ყიფშიძის სახ. თერაპიის ეროვნული ცენტრი, თბილისი*

გულის ნაკლოვანება გულ-სისხლძარღვთა ე.წ. ანთებითი და არაანთებითი დაავადებათა საკმაოდ არიშვიათ და მეტად მძიმე გამოსავალს წარმოადგენს, რომელიც პირველ რიგში ქსოვილების პერფუზიის და ცირკულატორულ დარღვევებთან ასოცირდება. გულის ნაკლოვანების კლინიკას მიუხედავად სხვადასხვა გენეზისა თან ახლავს სიმპტომები, რომლებიც დამახასიათებელია ქრონიკული ანთებითი დაავადებებისა და ავთვისებიანი წარმონაქმნებისათვის, სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომის (საპს) სიმპტომებისათვის და უჯრედთა აპოპტოზური ციკლის აჩქარებისათვის [1,2,14,16,18]. სხვადასხვა გენეზის საპს-ის წარმოშობის მექანიზმები ძირითადად არიან ერთი ტიპის და მოიცავენ ინტოქსიკაციის სხვსდსხვა წარმოშობის წყაროებს (ანთებითი დესტრუქციის კერებს, იშემიზირებული ქსოვილებს, მიკროფლორის ბუნებრივი ვეგეტაციის ზონებს ორგანიზმში), აპოპტოზის და ნეკროზული ცვლილებების პროცესების განვითარების აქტივობას [1,2,4-6,8-12,19-23].

საპს-ის განვითარების საწყის ეტაპზე წარმოშობილი ტოქსინები და მეტაბოლიტები გადადიან სისხლში, ლიმფაში, ინტერსტიციალურ სითხეში. ამ საწყის სტადიაზე საპს-ის “სპეციფიკური” სიმპტომატიკა შესაძლებელია კლინიკურად არ გამოვლინდეს, თუ ორგანიზმის დამცავი სისტემა უზრუნველყოფს პათოლოგიური კერებიდან წარმოშობილი ტოქსიკური ნივთიერებებისა და მეტაბოლიტების ნეიტრალიზებას. მიუხედავად კლინიკური ნიშნების არარსებობისა ნებისმიერი პათოლოგიური პროცესის საწყის ეტაპზე თეორიულად არ შეიძლება გამოირიცხოს ფარული ან ტრანზიტორული საპს-ის არსებობა. დამცავი და რეგულატორული სისტემების – გამომყოფი, დეტოქსიკაციური (მიკროსმალური დაჟანგვა, კონიუგაცია), მონონუკლეარულ-მაკროფაგური, დეკომპენსაციის დროს იწყება ენდოგენური ტოქსინების დაგროვება ორგანიზმში – პირველადი აფექტის პროდუქტების დაგროვების სტადია [1,12-14].

მეორადი ანთება და იმუნური სისტემის აქტივაცია, შესაძლებელია, წარმოადგენდენ გულის ქრონიკული ნაკლოვანების (გქნ) დამატებით, არამოდიფიცირებულ მხარდამჭერ მექანიზმებს. ისინი ხელს უწყობენ პათოლოგიური პროცესების პროგრესირებას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს გქნ-ის და მასთან არსებული პათოლოგიურ სიმპტომოკომპლექსთა რაციონალური კორექციის, კომპლექსური, ინდივიდუალურად შერჩეული თერაპიის გამომუშავებაში.

საწყის ჰემოდინამიკურ დისფუნქციას გქნ-ის დროს ახასიათებს უარყოფითი გაგლენა გულსისხლძარღვთა რეფლექსებზე, პერფუზიაზე და შინაგანი ორგანოების ფუნქციაზე. ამასთან არასაკმარისი არტერიალური შევსება, განპირობებული ბარორეცეპტორებით, ააქტიურებს მძლავრ ნეიროჰორმონებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც ვაზოკონსტრიქციის ეფექტორები ნატრიუმის და წყლის შეკავების გამომწვევები [1,9,19].

კლასიკურ ნეიროჰორმონებთან ერთად გქნ-ს დროს მიმდინარეობს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (ე.წ. ციტოკინების) ჰიპერექსპრესია, რასაც შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი გულის ნაკლოვანების განვითარებაში და პროგრესირებაში, რაც შემდგომ ვლინდება კარდიალური კახექსიის სინდრომის ჩამოყალიბებაში. რომელიც გამოვლინდება კვების უკმარისობისთვის (ანემია, ჰიპოალბუმინემია, ლეიკოპენია, ჰიპოქოლესტერინემია), ანთებისთვის (ელს-ს გადიდება, ფიბრინოგენის და მწვავე ფაზური ცილებისთვის) და ენდოთელალურ დისფუნქციისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი ბიოქიმიური დარღვევებით [1,2,13,17-20].

მკვლევართა ყურადღებას იწვევს მედიატორები, რომლებიც კლასიკურად ასოცირდება თანდაყოლილ იმუნიტეტთან, ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების ჩათვლით. გამოყოფენ ციტოკინების 2 ძირითად კლასს, რომლებიც მონაწილეობას იღებს გულის ნაკლოვანების განვითარებაში: ვაზოკონსტრიქტორული ციტოკინები (ენდოთელინი-1 და

დიდი ენდოთელინი) და ვაზოდეპრესორული ანთების საწინააღმდეგო ციტოკინები, რომელსაც მიეკუთვნება სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი  $\alpha$  (TNF- $\alpha$ ), ინტერლეიკინი (ილ)-1, (ილ)-6 და (ილ)-8 [20-23].

დადგენილია რომ, პროანთებითი ციტოკინების ჰიპერექსპრესია დაკავშირებულია მარცხენა პარკუჭის ფუნქციის დარღვევასთან, ფილტვების შეშუპებასთან და კარდიომიოპათიის განვითარებასთან [23]. ციტოკინების, კატექოლამინების, ანგიოტენზინ II-ს და პროსტაგლანდინების სისტემური გამოტყორცნა ხელს უწყობს ქსოვილოვანი შუნტის წარმოქმნას პერფუზიის დაქვეითებით. ერთ-ერთ ძირითად ანთების ენდოგენურ მედიატორს და ალბათ ყველაზე უნივერსალურ აგენტს, რომელიც მონაწილეობს საპს-ის და აპოპტოზის განვითარებაში, წარმოადგენს სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი, რომელიც წარმოიქმნება მაკროფაგებით და ენდოთელიარული უჯრედებით.

გულის ქრონიკული უკმარისობის სინდრომის გამომწვევ მიზეზთა და მასთან ასოცირებულ ფაქტორთა მრავალფეროვნებისა და ზოგიერთ ურთიერთკავშირთა “დადგენის” მიუხედავად თანამედროვე მკურნალობის უპერსპექტივობა ჩვენი თვალსაზრისით ძირითადად განპირობებულია არამარტო სადღეისოდ არსებულ მედიკამენტურ და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებათა ნაკლებობით, არამედ იგი განპირობებულია არასრულფასოვანი მკურნალობის სტრატეგიითა და ტაქტიკით.

ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს გქნ-ის სინდრომით შეპყრობილ პაციენტებში საპს-ის პასუხისა და ენდოტოქსემიის გამოვლინებათა ურთიერთკავშირის შესწავლა და სათანადო სამკურნალო სტრატეგიის შემუშავება ფიზიკური ტოლერანტობისა და ყოფის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

**მასალა და მეთოდები:** გამოკვლევაში ჩართული იყო 72 ავადმყოფი, 53 მამაკაცი და 19 ქალი, საშუალო ასაკით  $50,8 \pm 3,4$  წელი, გქნ II-IV ფუნქციონალური კლასის (ფკ) NYHA-ის მიხედვით. იშმიური დაავადება აღენიშნა 36 ავადმყოფს (დაავადების საშუალო ხანგრძლივობა  $5,3 \pm 4,2$  წელი), აქედან III-IV ფკ დაძაბვისა და მოსვენების სტენოკარდიით (II ფკ - 8 ავადმყოფი, III ფკ - 22 და IV ფკ - 6 ავადმყოფი), არტერიული წნევა  $>160/100$  მმ ვრც.წყ.სვ.), რითმის და სხვადასხვა გენეზის გამტარობის დარღვევები. პაციენტებს ბოლო სამი თვის განმავლობაში აღენიშნებოდათ სტაბილური მდგომარეობა მწვავე რესპირატორული და კუჭ-ნაწლავთა დაავადებების მხრივ (პირველი კოჰორტა). ინფექციური-ალერგიულ მიოკარდიტით (10 ავადმყოფი) და დილატაციური კარდიომიოპათიით (26 ავადმყოფი) დაავადებულმა პაციენტებმა შეადგინეს – მეორე კოჰორტა. პირველ და მეორე კოჰორტის ავადმყოფები გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, რანდომიზირებულები იყვნენ ორ ქვეჯგუფად დანიშნული თერაპიის მიხედვით. პირველ ძირითადი ქვეჯგუფის ავადმყოფებს დამატებით ძირითად თერაპიასთან ერთად ენიშნებოდათ ანტიიშემიური პრეპარატი ნადცინი, რომელიც შეიცავს ნიკოტინამიდინუკლეოტიდს (ნადიდს) და მეტაბოლიტ ინოზინს, დოზით 2 ამპულა გახსნილი 70 მლ 5%-ან გლუკოზაში ინტრავენურად, ინფუზიის წესით, ერთხელ დღე-ღამეში, 10 დღის განმავლობაში.

ძირითადი ქვეჯგუფის ავადმყოფები მეორე კოჰორტაში დამატებით ღებულობდნენ კარდიოტონურ პრეპარატ ადენოცინს (ადენაცინუმ), რომელსაც გააჩნია კარდიოპროტექტური, ანტიჰიპოქსიური და ანტიოქსიდანტური თვისებები, დოზით 2 ამპულა გახსნილი 70 მლ 5%-ან გლუკოზაში, ან ფიზიოლოგიურ ხსნარში შაქრის დიაბეტის შემთხვევებში, ინტრავენურად ინფუზიების სახით ერთხელ დღე-ღამეში, და 8 საათის შემდეგ კუნთში ერთ ამპულას გახსნილს საინექციო წყალში 10 დღის განმავლობაში.

გამორიცხვის კრიტერიუმები იყო: არასტაბილური კლინიკური მდგომარეობა, მიოკარდიუმის ინფარქტი წინა 2 თვის განმავლობაში, სისტოლური არტერიული წნევა  $<100$  მმ ვრც.წყ.სვ., გადატანილი ინსულტი უახლესი 3 თვის განმავლობაში, გულის ნაკლოვანების განვითარება ბოლო თვეში, მწვავე რესპირატორული დაავადებები, კლინიკურად მნიშვნელოვანი ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, მძიმე სომატური დაავადებები, მწვავე ცერებროვასკულარული დარღვევები, ანამნეზში ონკოლოგიური დაავადებები, ბოლო 6 თვეში გადატანილი ოპერაციული ჩარევა, თირკმლის უკმარისობა.

საპს-ის გამოხატულობა განისაზღვრებოდა საშუალო მასის მოლეკულების შემცველობის გაზრდის მიხედვით პლაზმაში და ერთროციტებში [Малахова М.Я., 1995]. პროან-

თებით ინტერლეიკინების ილ-6, ილ-1β და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი α (TNF-α) განისაზღვრებოდა ELIS -ს მეთოდით “BioSource International” ტესტ-სისტემის გამოყენებით, ხოლო სისხლძარღვთა ადჰეზიის მოლეკულები (VCAM-1c) – იმუნოფერმენტული ანალიზის მაღალმგრძობიარე მეთოდებით.

ენდოთელინ-1 განისაზღვრებოდა ტესტ-სისტემით R&D Systems for Human ენდოთელინ-1 Immunoassay (დიდი ბრიტანეთი). ტესტების შედეგების ცდომილება არ აღემატებოდა 5%.

მონაცემების სტატისტიკურ დამუშავება შესრულებულია SPSS 10-ის გამოყენებით, საშუალო სიდიდეების განსხვავებების სარწმუნოება განისაზღვრებოდა სტიუდენტის t-კრიტერიუმის მიხედვით.

**შედეგები და მათი განხილვა:** ანტიიშემიურ პრეპარატის ნადციინის ჩართვა ავადმყოფების თერაპიაში 10 დღის განმავლობაში გულის ქრონიკული იშემიური დაავადების დროს იწვევს სტენოკარდიის ფუნქციონალური კლასის შემცირებას 46%-ით (საკონტროლო ქვეჯგუფში – 20%-ით), ამასთან სრულიად (100%) ქრებოდა ციანოზი (საკონტროლო ქვეჯგუფში ქრებოდა შემთხვევების 89%-ში), სტენოკარდიის შეტევები მცირდებოდა 93%-ით (საკონტროლო ქვეჯგუფში – 37%-ით), ქგნ-ის ფუნქციონალური კლასი კლებულა 69%-ით ძირითად ქვეჯგუფში, ხოლო საკონტროლო ქვეჯგუფში – 13%-ით. მიოკარდიუმის ჟანგბადის მოთხოვნილება მცირდებოდა 35% ძირითად და 21%-ით საკონტროლო ქვეჯგუფებში (ცხრილი №1).

**ცხრილი №1.** ფარმაკოლოგიური კორექცია სტენოკარდიის, სასპ-ის სიმპტომების გამოხატულების, ანთებითი მარკერების დონეების და ენდოთელიის ფუნქციის მდგომარეობას ავადმყოფებში გულის იშემიური დაავადებით მარცხენა პარკუჭის შეკუმშვის ფუნქციის შემცირების გარეშე

ჯგუფი, მანვენებლები	საკონტროლო ქვეჯგუფი, n=18		ძირითადი ქვეჯგუფი n=18	
	მკურნალობა მდე	მკურნალობის შემდეგ	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ
სტენოკარდიის ფკ	2,65±0,15	2,12±0,12	2,80±0,18	1,28±0,08 <sup>*#</sup>
სტენოკარდიის შეტევების რიცხვი	7,1±1,4	4,5±0,7 <sup>*</sup>	8,0±1,0	0,56±0,12 <sup>*</sup>
ციანოზი (+/-, გამოვლინდა/არგამოვლინდა)	16/2	10/8	17/1	0/18
გულის შეკუმშვის სისწორე, დარტყმა/წთ	89±8	80±7	91±8	75±6 <sup>*</sup>
სისტოლური არტერიული წნევა, მმ ვრც.წყ.სვ.	154±12	135±8	157±10	126±8 <sup>*</sup>
დიასტოლური არტერიული წნევა, მმ ვრც.წყ.სვ.	86±5	79±4	88±6	74±5 <sup>*</sup>
მიოკარდიუმის ჟანგბადის მოთხოვნილება (ოპიეს ინდექსი), მმ ვრც.წყ.სვ. · დარტყმა/წთ · 10 <sup>3</sup>	13,7±1,2	10,8±0,8	14,3±1,5	9,45±0,59 <sup>*#</sup>
ქგნ-ის საშუალო ფკ	1,67±0,10	1,45±0,06	1,84±0,09	0,58±0,06 <sup>***#</sup>
საშუალო მასის მოლეკულების შემცველობა პლაზმაში, ოპტიკური სიმკვრივე	0,34±0,03	0,29±0,03	0,36±0,04	0,22±0,04 <sup>*#</sup>
საშუალო მასის მოლეკულების შემცველობა ერითრიციტებში, ოპტიკური სიმკვრივე	1,23± 0,12	0,97±0,08	1,21±0,10	0,63±0,06 <sup>***#</sup>
ინტერლეიკინი I -6, პგ/მლ	72,5±4,2	65,8±4,1	79,1±4,2	35,4±3,9 <sup>*#</sup>
ინტერლეიკინი I -1β, პგ/მლ	78,9±3,8	64,7±3,2 <sup>*</sup>	87,1±4,8	42,0±3,4 <sup>*#</sup>
TNF-α, პგ/მლ	45,1±4,3	47,7±2,8	48,7±2,4	30,6±1,8 <sup>*</sup>
VCAM-1c, ნგ/მლ	452±42	408±45	501±32	227±24 <sup>*#</sup>
ენდოთელინ-1, პკმოლი/მლ	4,5±0,5	4,1±0,6	5,2±0,7	2,8±0,6 <sup>*#</sup>

**შენიშვნა:** საშუალოთა სხვაობის შედარება: \* - მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ, ერთი სიმბოლო p<0,05, ორი - <0,01.

მკურნალობა ნადციინით იწვევს ST სეგმენტის ელევაციის და/ან T-კბილის უფრო სწრაფ რევერსიას. გქნ-ის მეორე ფუნქციონალური კლასის მქონე ყველა ავადმყოფს მნიშვნელოვნად გაეზარდა ტოლერანტობა ფიზიკური დატვირთვის მიმართ.

პირველი კოჰორტის ავადმყოფებს ერთროციტების სპექტოგრამაზე მკურნალობამდე აღენიშნებოდა ოპტიკური სიმკვრივის პიკის გაზრდა 2,2 – ჯერ ნორმასთან ( $0,55 \pm 0,07$  ოპ.სიმკვ.ერთ.) შედარებით  $\lambda=258$  ნმ ტალღის პირობებში და ტოქსიურობის ინდექსის ზრდა 1,9-ჯერ. სპექტოგრამაზე არნიშნული ცვლილებები პირველ კოჰორტის ავადმყოფებში დაკავშირებულია VCAM-1c-ს თითქმის 2-ჯერ გადიდებასთან, რაც მიუთითებს საშუალო მოლეკულების პერსისტირებულ გამოსვლაზე აგრესიის კერიდან და გლიკოკალისზე ან ერთროციტებში მათ სორბციაზე (ცხრილი №1). ამას თან ახლავს ცვლილებები მეორად ანთებით ფაქტორებში – პროანთებითი ინტერლეკინების შემცველობის თითქმის 2-ჯერ გაზრდა (შემცველობა ილ-1 $\beta$   $34,2 \pm 3,4$  პგ/მლ, ილ-6 -  $40,2 \pm 4,4$  პგ/მლ, TNF- $\alpha$   $20,8 \pm 3,8$  ნგ/მლ) და ენდოთელინ-1-ის – 145% (საკონტროლო  $2,1 \pm 0,4$  პკმოლი/მლ) ჯანმრთელ მოხალისეებთან შედარებით. ოპტიკური სიმკვრივის არსებითი ცვლილება არ ვლინდება პლაზმაში, რაც მიუთითებს აპსს პირველი კომპენსატორული ფაზის განვითარებაზე (ცხრილი №1). კვლევებმა დაადასტურა, რომ ნადციინი ახდენს იმუნოანთებითი რეაქციების ინჰიბირებას. იგი მნიშვნელოვნად ამცირებს ილ-1 $\beta$ , ილ-6 და VCAM-1c დონეებს პროანთებითი ციტოკინების ექსპრესიის დაქვეითებით და იცავს ენდოთელიუმს დაზიანებისგან (ცხრილი №1).

ნადციინის ანტიშემიური მოქმედება ვრცელდება არა მარტო მიოკარდზე, არამედ სხვა ქსოვილებზე, რაც იძლევა საშუალებას ნადციინის მკურნალობის დროს შევამოციროდ ანტიჰიპერტენზიული და დიურეტიკული პრეპარატების დოზები და მივიღოთ საჭირო დიურეტიკული ეფექტი ელექტროლიტური ბალანსის დარღვევის გარეშე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შაქრიანი დიაბეტის და თირკმლის უკმარისობის დროს.

ამგვარად, ნადციინის მკურნალობის შედეგად სტენოკარდიის შეტევების სიხშირის და მიოკარდის ჟანგბადზე მოთხოვნილების შემცირება ხდება. აპსს სიმპტომების (პრაქტიკულად) სრული არარსებობა მიუთითებს რეგულატორული მექანიზმების მოქმედების და ორგანიზმის სისტემების ადაპტაციური უნარის ბალანსის აღდგენაზე, ჰომეოსტაზის ჩამოყალიბებაზე. აღსანიშნავია ნადციინის კარგი ამტანობა: არცერთ ავადმყოფს არ გამოუთქვამს ჩივილი ჩატარებული მკურნალობის დროს, რომელიც იყო დაკავშირებული პრეპარატის მიღებასთან და არ მოუთხოვია მისი მოხსნა.

ნაშრომში ნახვენებია რომ, საპს-ის გამოხატულების გაძლიერება, ენდოტოქსემიის პროგრესირება თან ახლავს გქნ-ის სიმპტომების გამოხატულების ზრდას (მეორედან მესამე ფუნქციონალურ კლასში გადასვლა) და საშუალო მოლეკულების შემცველობის მკვეთრი მომატება არა მარტო ერთროციტებში, როგორც გქნ-ის მეორე ფკ დროს (ცხრილი №1), არამედ პლაზმაშიც (ცხრილი №2).

გქნ-ს ბიოლოგიური მარკერების დონეების ცვლილებების ხარისხი და ხასიათი საკვლევი ავადმყოფების მეორე ქვეჯგუფებში მიუთითებს ენდოტოქსემიის სტადიის განვითარებაზე, რაც გამოიხატება ტოქსიური ნივთიერებების პლაზმაში და ერთროციტებში, და მეტაბოლიზმის არადასრულებულ ჟანგვის პროდუქტების (კერძოდ, კარდიომიოციტების და ჰეპატოციტების პროთოლოგეტურ დეგრადაციის პროდუქტები, სისხლის ფორმიანი ელემენტები) დაგროვებით. ამრიგად, გქნ-ს III-IV ფკ (NYHA) ხასიათდება აპსს-ის ჰემოსტაზის სისტემის არამდგრად, შეუქცევად დეკომპენსაციის ფაზაში გადასვლის დიდი რისკით და პოლიორგანული სინდრომის გამოვლინებით. ენდოტოქსემიის ფაქტორების ცვლილების კომპლექსური დიაგნოსტიკური შეფასება, მიოკარდში და ღვიძლში მიმდინარე დისტროფიულ-ნეკროზული პროცესების ბიოლოგიური მარკერების განსაზღვრა, შესაძლებელია გამოყენებული იყოს, როგორც ალგორითმი საპს-ის სიმძიმის ხარისხის შეფასებისთვის, ავადმყოფის მდგომარეობის პროგნოზირებისა და გქნ-ის ფარმაკოთერაპიის ოპტიმალური მეთოდების შემუშავებისთვის.

**ცხრილი №2.** აპსს-ის სიმპტომების გამოხატულების, ანთებითი მარკერების დონეების და ენდოთელიუმის ფუნქციის ფარმაკოლოგიური კორექცია გქნ-ს დროს მარცხეა პარკუჭის დის-ფუნქციით

ჯგუფი, კლინიკურ-ლაბორა-ტორული მაჩვენებლები	საკონტროლო ქვეჯგუფი		ძირითადი ქვეჯგუფი	
	მკურნალობა ამდე	მკურნალობის შემდეგ	მკურნალობა მდე	მკურნალობის შემდეგ
საშუალო მასის მოლეკუ- ლების შემცველობა პლაზ- მაში, ოპტიკური სიმკვრივე	2,12±0,12	1,76±0,10	2,30±0,14	0,60±0,08
საშუალო მასის მოლეკუ- ლების შემცველობა ერთ- რიციტებში, ოპტიკური სიმ- კვრივე	1,78±0,11	1,0±0,1**	1,84±0,10	0,68±0,12***
VCAM-1c, ნგ/მლ	606±53	400±24*	614±43	225±23***
ინტერლეიკინი-6, პგ/მლ	87±4	78±4	92±4	39±3***
ინტერლეიკინი-1β, პგ/მლ	78±4	66±3	86±5	41±3***
TNF α, ნგ/მლ	60±4	53±3	68±3	35±2***
ენდოთელინი-1, პკმოლი/მლ	5,8±0,4	4,8±0,4	6,2±0,5	2,9±0,3*#
კრეატინინი, მკმოლ/ლ	91±9	88±10	106±12	82±7*

დადასტურდა, რომ ადენოცინის გამოყენება (დროით 3 ამპულა დღე-ღამეში 10 დღის განმავლობაში) იწვევს გულის შეკუმშვის სიხშირის დაქვეითებას 80%-ით (საკონტროლო ქვეჯგუფში 45%-ით), ქოშინის გამოხატულების შემცირებას 52%-ით (საკონტროლო ჯგუფში 25%-ით), შეგუბების მოვლენების შემცირებას სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში 66% (საკონტროლო ქვეჯგუფში 27%-ით) და დიდ წრეში შეშუპებების გამოხატულების – 84% (ტრადიციული თერაპიისას 22%) და ღვიძლის ზომების –69%-ით (საკონტროლო ჯგუფში 32%-ით) შემცირებას. შედეგად, გქნ-ის საშუა-ლო ფკ (NYHA) მცირდება 43%-ით (საკონტროლო ქვეჯგუფში 10%-ით). რაც განსაკუთ-რებით მნიშვნელოვანია. კლინიკური სტატუსის გაუმჯობესებას თან ახლავს ცენტრა-ლური ჰემოდინამიკის მაჩვენებლების გაუმჯობესება. ადენოცინით ორკვირიანი მკურ-ნალობის შედეგად - განდევნის ფრაქცია იზრდება 53%-ით და სარწმუნოდ მცირდება გულის მარცხენა პარკუჭის საბოლოო სისტოლური (19%-ით) და დიასტოლური (18%-ით) ზომები. ჰემოდინამიკის მაჩვენებლები საკონტროლო ჯგუფში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ტრადიციული თერაპიის ფონზე. ამრიგად, ადენოცინი სძლევს მიოკარდის რეფრაქტურობას და გამოხატულ დადებით გავლენას ახდენს ჰემოდინამიკურ მაჩვენებ-ლებზე. ადენოცინის გამოხატულ დადებით თერაპიულ მოქმედებას საფუძვლად უდევს საპს-ის პროგრესირების კუპირების უნარი. აღმოჩნდა, რომ ადენოცინის 10 დღიანი კურსის ჩატარება იწვევს კლინიკურად მნიშვნელოვან ენდოტოქსემიის მარკერების დაქვეითებას ტრადიციულ თერაპიის კურსისგან განსხვავებით: პლაზმის ექსტინქციის დონე მცირდება - 50%-ით, ერთრიციტების – 63%-ით, პროანთებითი ციტოკინების შემცველობა მცირდება: 20%-ით ინტერლეიკინი-6 და 11%-ით ინტერლეიკინი-1β. ამასთან, აღმოჩნდა რომ, ადენოცინის გამოყენება იწვევს TNF-α შემცველობის დაქვეითებას. კრეა-ტინინის შემცველობის სარწმუნო დაქვეითება მიუთითებს თირკმლების ფუნქციონირების ნორმალიზაციაზე (ცხრილი №3).

მიღებული მონაცემები და აკად. ნ.ყიფშიძის და თანაავტ. (2006) მიერ მიღებული შედეგებმა აჩვენა, რომ ინტერლეიკინის ილ-6-ის შემცველობა გქნ ავადმყოფთა სისხლში სტატისტიკულად სარწმუნოდ კორელირებს ფუნქციური კლასის სიმძიმესთან, რაც გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ ადენოცინი პირდაპირ მოქმედებს საპს-ის განვითარების პათოგენურ მექანიზმებზე, როგორც გულის ნაკლოვანების პროგრესი-რებისა და შენარჩუნების ერთ-ერთ საკვანძო რგოლზე. ენდოთელინი-1-ის დონე არის გქნ-ის რეზისტენტულობის მარკერი თერაპიულ ზემოქმედების მიმართ, მაგალითად პერიფე-რული ჰიპოპერფუზიის და ვაზოდილატატორული რეზერვის შემცირების, რაც ასო-

ცირდება მიოკარდის შეკუმშვის უნარის დაქვეითების პროგრესირებასთან [13,19,24]. მნიშვნელოვანია Vb -1ც-ის არსებითი შემცირება ადენოცინის ზემოქმედების შედეგად, რაც ადასტურებს პრეპარატის ენდოთელიუმის დამცავ თვისებებს, რომლებიც გამოიხატება გქნ-ის მიიმე ფორმებში გამოხატული შეკუმშვის და ენდოთელიარული დისფუნქციების დროს.

მიღებული მონაცემები იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ადენოცინის მკურნალობით დაწყებული მიოკარდიუმის რემოდელირება მარცხენა პარკუჭის დისფუნქციის დროს III-IV ფკ-ის (NYHA) გქნ შემთხვევაში დაკავშირებულია შექცევად ცვლილებებთან იმუნოანთებით სტატუსში და გამოიხატება პროანთებითი ციტოკინების სინთეზის და უჯრედშორისი ადჰეზიის მოლეკულების ექსპრესიის დაქვეითებაში, აპსს-ს სიმპტომების მკვეთრ შემცირებაში, ბიოენერგეტიკული უკმარისობის და თავისუფალი რადიკალების ჰიპერწარმოქმნის გაუქმებაში.

**ცხრილი №3.** ადენოცინის ზემოქმედება გქნ-ის სიმპტომების გამოხატულობაზე და ცენტრალური ჰემოდინამიკის მაჩვენებლები

ჯგუფი, გქნ სიმპტომები	საკონტროლო ქვეჯგუფი, n=18		ძირითადი ქვეჯგუფი, n=18	
	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ	მკურნალობამდე	მკურნალობის შემდეგ
ქოშინის გამოხატულება	2,24±0,12	1,68±0,10	2,52±0,12	1,21±0,07 <sup>***#</sup>
შეგუბების მოვლები სისხლის მცირე წრეში	1,80±0,10	1,32±0,08*	1,89±0,09	0,68±0,07
შეშუპების გამოხატულება	1,78±0,07	1,09±0,07*	1,98±0,10	0,67±0,06 <sup>***#</sup>
ღვიძლის ზომები, სმ	1,76±0,08	1,26±0,09*	1,87±0,11	0,30±0,05 <sup>***#</sup>
გულის შეკუმშვის სისწორე ცვლილებები	1,1±0,1	0,60±0,04*	1,1±0,1	0,23±0,03 <sup>***#</sup>
სიმპტომების საერთო გამოხატულება	8,68±0,11	5,95±0,10	9,36±0,10	3,10±0,07 <sup>***#</sup>
გქნ-ის საშუალო ფკ	3,22±0,07	2,88±0,07*	3,27±0,16	2,0±0,1 <sup>***#</sup>
განდევნის ფრაქცია, %	32,3±1,5	33,0±1,5	27,8±1,4	42,5±1,4
დიასტოლური სისტოლური ზომა, სმ	7,0±0,2	7,1±0,2	7,85±0,25	6,45±0,11
სასრული სისტოლური ზომა, სმ	5,9±0,3	5,8±0,2	6,50±0,12	5,3±0,08 <sup>***#</sup>

**შენიშვნა:** გქნ სიმპტომების შეფასება ქულებში ჩატარებულია Lee D., et al (1982) и Cohn I.M. et al (1986) მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა ქოშინის სიმძიმის გამოხატულების ხარისხს (ორთოპნოე-გახშირებული სუნთქვა 5-1 ქულა), სისხლის შეგუბების მოვლები მიმოქცევის მცირე წრეში, დასაბუთებული რენტგენოლოგიურად და აუსკულტაციურად (სველი ხიხინები ორივე მხარეში – ერთეული ხიხინები ქვედა სეგმენტებში, 3-1 ქულა) და დიდ წრეში – შეშუპებები (შეშუპება და სითხე ღრუებში – პასტოზური წვივი, 3-1 ქულა), ღვიძლის ზომების გადიდება, +1 სმ – 1 ქულა), გულის შეკუმშვის სისწორის გახშირება, >90-1, >100 – 2.

გულის ქრონიკული ნაკლოვანების დროს, რომელიც განპირობებულია გიდ-ით გამოხატული შეკუმშვისა და ენდოთელიარული დისფუნქციით, კლინიკური სტატუსის გაუმჯობესება და ფიზიკური დატვირთვის მიმართ ტოლერანტობის გაზრდა მიიღწევა თერაპიაში ნადციინის ჩართვით, რაც იძლევა საშუალებას მოვახდინოთ აპსს-ის შემდგომი განვითარების (კომპენსატორული ფაზიდან პოლიორგანული უკმარისობის მაღალი რისკის ფაზაში გადასვლის) კუპირება და ორგანიზმის იმუნურანთებითი რეაქციების სისტემის დეზადაპტაცია, რეზისტენტობის განვითარება მედიკამენტოზური ზემოქმედებისადმი.

## Correction of the Immune inflammatory and Endotoxemic Reactions in Patients with Chronic Heart Failure

*M. Rogava, T. Bochorishvili*

*Acad. N. Kipshidze National Centre of Therapy, Tbilisi*

**Key word:** *heart failure, cytokine, endothelin-1, vascular adhesive molecule, rational pharmacotherapy*

The work was carried out on 72 patients (53 men and 19 women, mean age  $50,8 \pm 3,4$ ) with chronic heart failure (CHF) II-IV functional class by NYHA caused by ischemic heart disease (36 patients) which included in the first cohort and caused by infectious-allergic myocarditis (10 patients) dilated cardiomyopathy (26 patients), which included in the second cohort. All patients including in the two cohorts were randomized into two subgroups. The patients of the control subgroup of the first cohort received the standard therapy of CHF, and in the main subgroup in the treatment the antiischemic preparation with pronounced antihypoxic and antioxidant action nadcin was included. In the therapy of the patients of the main subgroup of the first cohort cardio protective drug with cardio tonic action which accompanied with pronounced antiischemic and antihypoxic effects adenocin was additionally included. It has been shown that after treatment with nadcin in the first cohort of patients in which the CHF does not coupled with the left ventricle dysfunction leads to the cessation of the progression of the endotoxemia and immune inflammatory reaction disturbances, and give basis to beneficial effect on the clinical improvement included the increases of the performance ability and markedly decrease symptoms and frequency of the angina pectoris attacks. Adenocin gives the same effects in the case of the second cohort of patients with the CHF III-IV functional class of NYHA with significance disturbances of the contractile ability of the heart and endothelial dysfunction. All biological markers of the intensity of endotoxemia are decreased under the influence of adenocin, and markedly improved immune inflammatory status was observed: decreased the content of the inflammatory cytokines and endothelin-1. As a result the average functional class of the congestive heart failure decreased by the 37% ( $p < 0,01$ ) in main subgroup and 10% in control subgroup. The improvement of the symptoms of CHF in the adenocin-treated subgroup was coupled with the increased ejection fraction by 42% (in control subgroup did not change). Received data allow us to recommend adenocin for the treatment of patients with CHF, with left ventricle and endothelial dysfunction and nadcin for the prevention of heart failure progression.

### ლიტერატურა:

1. როგავა მ., ბოჭორიშვილი თ., მალიკოვი ვ., არზუმანიანი ე., სუკოიანი გ. ენდოთელის დისფუნქციის განვითარების მექანიზმები და თრომბოციტული მეგობრანების სტრუქტურული ორგანიზაციის დარღვევა გულის იშემიური დაავადების დროს და მისი ფარმაკოლოგიური კორექციის მეთოდები. კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა. XXI. 2007. № 3-4. გვ.18-25.
2. Бокерия Л.А., Самуилова Д.Ш., Аверина Т.Б., и др. Синдром системного воспалительного ответа у кардиохирургических больных. Бюллетень НЦ ССХ им.А.Н.Бакулева РАМН. 2004. Т.5. № 12. С.59-65.
3. Бокерия Л.А., Маликов В.Е., Арзуманян Е.А., Рогава М.А., Гонгадзе Н.В., Сукоян Г.В. Рациональная фармакоррекция синдрома системного воспалительного ответа у больных со сниженной сократительной функцией сердца. Бюлл. Сердечно-сосудистой хирургии. Гематология. 2008. № 2. С.45-53.
4. Каган В.Е., Орлов О.Н., Прилипко Л.Л. Проблема анализа эндогенных продуктов перекисного окисления липидов. – М., 1986.
5. Сукоян Г.В., Галенко-Ярошевский В.П., Петров Ю.М. Ишемическая болезнь сердца: стратегия фармакологического вторжения и коррекция метаболизм миокарда. В кн. Ишемическая болезнь сердца. Под ред. Галенко-Ярошевского П.А., М.Медицина. 2007. С.310-363.
6. Василенко Д.В., Пашков М.В., Тюркин И.А., и др. Оценка эффективности эндозеологической реабилитации по содержанию средних молекул крови.
7. Ершов А.Л. Диагностика стадий эндогенной интоксикации и дифференцированное применение методов эфферентной терапии. Вестник хирургии. 1991. №3. С.95-100.

8. Кипшидзе Н.Н., Талаквадзе Т., Брегвадзе Н., и др. Некоторые показатели провоспалительных цитокинов у пациентов различных функциональных классов этиологии ХСН. Ж."Экспериментальная и клиническая медицина". 2006. №2. С.44-49.
9. Копытова Т.В., Добротина Н.А., Боровков Н.Н. и др. Значение среднемолекулярных пептидов сыворотки при острых ишемических формах ишемической болезни сердца. Лаб.дело. 1991. №10. С.18-21.
10. Лейдерман И.Н. Синдром полиорганной недостаточности. Вестник интенсивной терапии. 1999. №3. С.19-20.
11. Малахова М.Я. Метод регистрации эндогенной интоксикации: Пособие для врачей. Спб.: изд-во СПб МАПО. 1995. 34с.
12. Молчанова Л.В. Системный воспалительный ответ и молекулы адгезии. Общая реаниматология. 2005. №1. С.54-59.
13. Чаленко В.В., Катусhev Ф.Х. Эндогенная интоксикация в хирургии. Вестн. Хир. им.И.И.Грекова. 1990. №4. С.3-8.
14. Aukrust P., Ueland T., Lien E. et al. Cytokine network in congestive heart failure secondary to ischemic or idiopathic dilated cardiomyopathy // Amer. J. Cardiology. – 1999. – Vol. 83. – P. 376-382.
15. Aller M.A., Arias J.L., Nava M.P., Arias J. Posttraumatic inflammation is a complex response based on the pathological expression of the nervous, immune, and endocrine functional systems. Exp Biol Med. 2004; 229:170-181.
16. Braily G., Dorleans- Juste P. Cytokine- induced free radicals and their roles in myocardial disfunction. Cardiovasc Res 1999;42:576-577.
17. Hasko G., Kuhel D.G.; Nemeth Z.H., et al. Inosine inhibits inflammatory cytokine production by a posttranscriptional mechanism and protects against endotoxin-induced shock. J Immunol. 2000; 164(2):1013-1039.
18. Haga Y., Toru B., Doi K., et al. Systemic inflammatory response syndrome and organ dysfunction following gastrointestinal surgery. Critical Care Medicine. 1997; 25: 1994-2000.
19. Hornstein P.S., Zaugg C.E., Zhu P., Allegrini P.R., Buser P.T. Combined blockade of endothelin-1 and thromboxane A<sub>2</sub> receptors against postischaemic contractile dysfunction in rat hearts // British J. Pharmacol. 2001; 132:234–240.
20. Kelly R.A., Smith T.W. Cytokines and cardiac contractive function. Circulation 1997;96:778-781.
21. Landmesser Ulf, Hornig B., Drexler H. Endothelial Function. A Critical Determinant in Atherosclerosis? Circulation. 2004; 109(suppl. II): II27-II33.
22. Lindmark E., Diderholm E., Wallentin L., et al. Relationship between interleukin 6 and mortality in patients with unstable coronary artery disease: effects of an early invasive or noninvasive strategy. JAMA 2001; 286: 2107-2113.
23. Torre-Amione G., Kapadia S., Benedict C. et al. Proinflammatory cytokine levels in patients with depressed left ventricular ejection fraction: a report from the studies of left ventricular dysfunction (SOLVD). J. Amer. Coll. Cardiology. – 1996. – Vol. 27. – P. 1201-1206.
24. Wiedermann C.J., Kiechl S., Dunzerdorft S., et al. Association of endotoxemia with carotid atherosclerosis and cardiovascular disease: prospective results from Bruneck Study. J.Am. Coll.Cardiol. 1999. 34:1975-1978.



## გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკის შეფასება – მკურნალობის თანამედროვე ტაქტიკა

გ. ჭოჭუა, ვ. ჭუმბურიძე  
აკად. ნ. ყიფშიძის სახ. თერაპიის ეროვნული ცენტრი

კარდიოვასკულური დაავადების პროფილაქტიკა, მისი განვითარების რისკის შეფასებით იწყება, ასიმპტომურ პაციენტებში. რისკის შეფასების გარეშე ექიმს, როგორც მინიმუმ, იურიდიული საფუძველი არ გააჩნია ასიმპტომურ პაციენტთან ურთიერთობისათვის. ეს პრობლემა ახალი არ არის, და არც მისი გადაჭრის გზები ითვლიან ნაკლებ დროს. დღეისათვის შექმნილია მრავალი რეკომენდაცია, მოთხოვნათა პაკეტი, ცხრილი – კარდიოვასკულური დაავადების განვითარების რისკის სწორი შეფასებისათვის. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ, თანამედროვე რეკომენდაციებზე – გაიდლაინებზე, დაყრდნობით შექმნილი ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების – (ESC), კარდიოვასკულური რისკის შეფასების ცხრილი: The SCORE Chart. ის დღეისათვის წარმოადგენს ყველაზე თანამედროვე, ზუსტ და სანდო მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით კარდიოვასკულური დაავადების განვითარების რისკის შეფასების ცხრილს, ევროპის მასშტაბით. თანამედროვე ექიმის მოღვაწეობა წარმოადგენელია მოწოდებული რეკომენდაციების პაკეტის ყოველდღიურ სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების გარეშე.

**კვლევის მიზანი** იყო დაგვედგინა, ასიმპტომური პაციენტების კვლევისას ექიმის მიერ მიღებული წინამდებარე კლინიკური გადაწყვეტილება, თუ, როგორ ესადაგება თანამედროვე მეთოდურ რეკომენდაციებს, კონკრეტულად კი ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების გაიდლაინებს.

**კვლევის დიზაინი:** კვლევაში მონაწილე პირებს – რომლებიც წარმოადგენდნენ სერთიფიცირებულ ექიმ-კარდიოლოგებს, სულ 20 პირი - დაურიგდათ, სიტუაციური ამოცანები (სულ 7 შემთხვევა, ცხრილი 1), ასიმპტომური პაციენტებისა, შაქრიანი დიაბეტის გარეშე, დაავადების ოჯახური ისტორიის გარეშე, კარდიოვასკულური დაავადების განვითარების რისკის სხვადასხვა დონით, რომელიც შეფასებული იყო SCORE Chart-ის მეშვეობით (სურათი 1). მათ ეთხოვად მიეღოთ გადაწყვეტილება, მკურნალობის ტაქტიკის შესახებ. შემდგომ, მათი გადაწყვეტილება შედარდა თანამედროვე გაიდლაინებით მოწოდებულ მოსალოდნელ გადაწყვეტილებას, დამთხვევის ან არ დამთხვევის მეთოდით, მიექცა ყურადღება რა ჰიპოლიპიდემიური მკურნალობის ინიციალიზაციის აუცილებლობის მომენტს.

**კვლევის შედეგები:** ექიმის მიერ მიღებული კლინიკური გადაწყვეტილება შედარდა ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების მოწოდებული რეკომენდაციებით მოსალოდნელ გადაწყვეტილებას (ცხრილი 2). დამთხვევის საერთო მაჩვენებელმა შეადგინა 72%, შემთხვევებს შორის ვარიაციით: 35% დან 80% მდე. დამთხვევის ხარისხი აბსოლუტური იყო დაბალი და მაღალი რისკის პაციენტებში. კარდიოვასკულური დაავადების განვითარების რისკის არაადექვატურად მაღალი შეფასება და წამლის დანიშვნა აუცილებლობის გარეშე ხდებოდა შემთხვევა 2 და 4 -ში, სადაც საერთო ქოლესტეროლის დონე შეადგენდა 240 და 220 მგ/დლ, ხოლო რისკის არასათანადოდ შეფასება ხდებოდა შემთხვევა 5 და 6-ში, სადაც საერთო ქოლესტეროლის დონე შეადგენდა შესაბამისად 240 და 200 მგ/დლ, და ადექვატური მკურნალობა არ ინიშნებოდა.

**განხილვა:** ცნობილია რომ, დღეს ყველა ექიმი (კარდიოვასკულურ სფეროში მომუშავე) ერთხმად აღიარებს პრევენციას, როგორც კარდიოვასკულურ ავადობასა და სიკვდილობასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ იარაღს. აგრეთვე ცნობილია რომ, კარდიოვასკულური დაავადების განვითარების საერთო რისკის დონის შეფასება, წარმოადგენს ამ იარაღის განუყოფელ ნაწილს. კარდიოვასკულური რისკის საერთო დონის შეფასება ხდება მრავალი რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, შემდგომში მათი მოდიფიცირებისათვის. თანამედროვე ექიმისათვის ახალი არ არის ამ რისკ-ფაქტორების ნუსხა, და არც მათზე ზემოქმედების ხერხები. ვერც რისკის საერთო დონის შეფასების მეთოდებს ვუწოდებთ სიახლეს, მაგრამ, როგორც ჩანს გარკვეული პრობლემები დღეს მაინც რჩება ექიმსა და კარდიოვასკულური დაავადების განვითარების საერთო რისკის

შეფასების მეთოდებს შორის ურთიერთობისას. ამის მაგალითი გახლავთ კვლევა რომელიც ჩვენ ჩავატარეთ. აქ ჩვენ პიონერები არ ვართ, და ამ საკითხზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა მუშაობს. ამ პრობლემის მიზეზების ჩამონათვალი თანდათან ივსება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახლავთ ის რომ, მოწოდებული, რისკის შეფასების მეთოდები, ამ შემთხვევაში, რისკის შეფასების ცხრილები, არ არის სრულყოფილი და ზოგჯერ მათ საფუძველზე გამოტანილი დასკვნა და დანიშნული მკურნალობა აშკარად არაადექვატურია. ეს მომენტი განსაკუთრებით აქტუალურია დაბალი რისკის ქვეყნებში, მაგალითად ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში, სადაც რისკის გადამეტებული შეფასების მომენტმა იჩინა თავი. სწორედ ეს გახდა მიზეზი სპეციფიური ცხრილების შექმნის აუცილებლობის საკითხის წამოჭრისა, ყველა ქვეყნისათვის ცალ-ცალკე, რაზეც ახლაც მიდის მუშაობა. თუმცა დღეისათვის საქართველო იყენებს SCORE Chart-ის მოდელს მაღალი რისკის ქვეყნებისათვის (სურათი 1). ალბათ, ეს ფაქტორი შეგვიძლია შევაფასოთ ერთ-ერთ მიზეზად ექიმის მიერ ამ ცხრილის არააქტიური გამოყენებისა. სხვა მიზეზებს რაც შეეხება, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შეზღუდული დროის ფაქტორს. მას შემდეგ რაც მრავალ ექიმს ვეროპის სხვადასხვა ქვეყნიდან დაუსვეს კითხვა, თუ რა დროს უთმობენ ისინი პაციენტთან ურთიერთობისას რისკ-ფაქტორებსა და ცხოვრების სტილის მოდიფიკაციაზე საუბარს ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, მიღებული შედეგებით ეს ციფრი საკმაოდ უსუსურად გამოიყურება – საშუალოდ 16 წუთი, ამასთან მათი აზრით, პაციენტთა უმრავლესობა ან სათანადოდ ვერ აფასებს საუბრის მნიშვნელობას ან უბრალოდ არ დაჰყვება ექიმის ამ რჩევებს.


**ცხრილი №1.** შემთხვევების აღწერა

№	სქესი	ასაკი (წ.)	მწვეველი	არტერიული წნევა	საერთო ქოლესტეროლი	HDL mg/dl	LDL mg/dl
1		48	არა	120/70 mmHg	190 მგ/დლ	60	100
2		55	არა	120/80 mmHg	240 მგ/დლ	45	165
3		50	კი	120/80 mmHg	185 მგ/დლ	45	150
4		50	კი	120/75 mmHg	220 მგ/დლ	50	145
5		60	არა	155/85 mmHg	240 მგ/დლ	50	160
6		60	კი	140/85 mmHg	200 მგ/დლ	40	130
7		60	კი	145/85 mmHg	260 მგ/დლ	35	190

**ცხრილი №2.** დამთხვევის მაჩვენებლები გაიდლაინებსა და კლინიკურ შემთხვევებს შორის.

№	10 წლიანი რისკის დონე SCORE Chart-ის მიხედვით	ჰიპოლიპიდემიური მკურნალობის ინიციალიზაციის აუცილებლობა, რეკომენდაციებზე დაყრდნობით	შესაბამისობა (%)
1	1	არა	100 % (20 პირი)
2	2	არა	40 % (8 პირი)
3	3	არა	70 % (14 პირი)
4	4	არა	60 % (12 პირი)
5	5	კი	35 % (7 პირი)
6	10	კი	80 % (16 პირი)
7	12	კი	100 % (20 პირი)

სურათი 1. 10 წლიანი ფატალური კარდიოვასკულური დაავადების განვითარების რისკი, მაღალი რისკის ქვეყნებისათვის. ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოება.



**დასკვნა:** ექიმის კლინიკური გადაწყვეტილება სრულ თანხვედრაში მოდის დაბალი და მაღალი რისკის მქონე პაციენტებში, თანამედროვე გაიდლაინებთან. ხოლო, რატომღაც, საშუალო რისკის მქონე პაციენტებთან ურთიერთობისას, თავს იჩენს რისკის ზედმეტი ან არასათანადო შეფასება, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად გვესახება, ერთის მხრივ, კარდიოვასკულური რისკის შეფასების, საქართველოსათვის სპეციფიური მოდელის შექმნაზე მუშაობის დაწყება, მეორეს მხრივ უკვე არსებული მოდელის (SCORE Chart-ის მოდელის მაღალი რისკის ქვეყნებისათვის) პოპულარიზაცია. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოება, ამ მხრივ უკვე რამოდენიმე წელია მუშაობს.

## Evaluation of Cardiovascular Disease Risk – Modern Aspects of Treatment

G. Chochua, V. Chumburidze

Acad. Nodar Kipshidze National Center of Therapy

**Aim:** Establish agreement of clinical decisions, made by physician in everyday clinical practice, during examining asymptomatic patients, to guidelines of European Society of Cardiology.

**Methods an Materials:** A list of seven cases with different level of 10 year fatal CVD risk, estimated by using The Score Chart ( for high risk counties ), were presented to 20 physicians. It was explained that the individuals, described in the case list were asymptomatic, without diabetes, without a family history, and without evidence of coronary or vascular disease. Then physicians were asked to administer treatment for each patient. Then we examined the level of accordance between decisions made by physicians and decisions recommended by ESC guidelines.

**Results:** The main level of accordance was 72%. The accordance was absolute in two extreme cases (case 1 and 7). But in intermediate cases accordance varied between 35 – 80% per case.

**Conclusion:** In cases of obviously low and **obviously** high risk, Clinical judgment is in accordance with guidelines. But, in cases of intermediate risk, there is underestimation and overestimation of CVD risk level in clinical practice. The way to manage this problem, as we can see is to enforce popularization of CVD risk charts and begin hard work on developing the country-specific model of the Score chart for the Georgian Republic.

### ლიტერატურა:

1. De Backer G, et al: European guidelines on cardiovascular disease prevention in clinical practice. Third Joint Task Force of European and other Societies on cardiovascular disease prevention. Eur Heart J 2003;24:1601-1610.
2. Prevention of Coronary Heart disease in clinical practice: recommendations of the Second Joint Task Force of European and other Societies on cardiovascular disease prevention. Eur Heart J 1998;19:1434-1503.
3. Conroy RM, Pyorala K, Fitzgerald AP, et al; and the SCORE project group: Prediction of ten-year risk of fatal cardiovascular disease in Europe. The SCORE project. Eur Heart J 2003;24:987-1003.
4. European Heart Network. Food, nutrition and cardiovascular disease prevention in the European region : challenges for the New Millenium. Brussel: European Heart Network.2002.

## **Influence of Chronic Treatment with Rilmenidine on Hemodynamic Parameters, Baroreflex Sensitivity and Cardiac Hypertrophy in Hypertensive Rats**

*N.Gongadze, T. Kezeli*

*Tbilisi State Medical University, Department of Pharmacology*

**Key words:** arterial pressure, intersystolic intervals, heart rate, baroreflex, receptors, experimental hypertension, rilmenidine.

The central nervous system contains numerous neuronal pathways, neurotransmitters and receptors that are involved in the central regulation of AP. Central I<sub>1</sub>-receptors were recognized as a new target of centrally acting antihypertensive drugs [1,2,4,5,7,9]. Rilmenidine as a stimulant of central I<sub>1</sub>-receptors causes peripheral sympathoinhibition comparable to classic  $\alpha_2$ -adrenoceptor agonists, with a hemodynamic profile like clonidine and related drugs [3,5,8]. The vasodilator and antihypertensive activities of rilmenidine are clearly caused by sympathoinhibition, as reflected by decreased plasma norepinephrine levels, which is associated during long-treatment with partial regression of left ventricular hypertrophy [9]. The increased sympathetic activation in CHF can be reduced by the imidazoline ligand, probably by its action on a population of adrenergic/imidazoline receptive sites within the central nervous system [3,7,9].

The goal of the present work was to study the modulatory effect of chronic treatment with rilmenidine on cardiovascular parameters, baroreflex sensitivity and cardiac hypertrophy in rats with renovascular hypertension (RVH).

**Methods:** Experiments were carried out in the male Wistar rats, weighing 200-250 g, with the classic Goldblatt hypertension (right nephrectomy and a silver clip of 0,2 mm internal diameter on the left renal artery, under nembutal anesthesia – 40 mg/kg intraperitoneally), which were compared to sham operated (SO) ones (6). Oral treatment with either rilmenidine (1 mg/kg/day) or a placebo began 5 days after creation of experimental model of hypertension. 4 weeks later, hemodynamic and morphometric evaluation was performed under the same anesthesia. Polyethylene catheters were implanted into the right femoral artery and jugular vein for measuring AP with electromanometer, intersystolic intervals (II) with cardiometer and

drugs administration respectively. Baroreflex sensitivity (BRS) was assessed by measuring heart period in response to rises in AP 30-50 mm Hg above control level after i.v. injection of phenylephrine (5-10 mcg/kg). The slope of relationship between AP and heart period was used as an index of BRS. Among hemodynamic parameters on “Mingograph” (Siemens) were recorded AP, left ventricular end-diastolic pressure (LVEDP), +dp/dt max and -dp/dt max (maximal velocity of increase and decrease of left ventricular pressure respectively). Cardiac output (CO) and peripheral vascular total resistance (PVTR) was evaluated by plethysmographic method. Statistical analysis employed analysis of variance (ANONA) and Student’s t test with significance at p,0,05. Results are expressed as the mean ±SEM.

**Results and discussion:** In table 1 is illustrated the changes of hemodynamic parameters, BRS and heart morphometric indices in hypertensive animals after chronic treatment with rilmenidine to compare with placebo treated rats (PTR). It is show, that pretreatment with rilmenidine in rats with RVH in contrast the PTR caused a statistically significant reduction in systolic (-15,2±2,2%, P<0,05), diastolic (-18,5±3,4%, P<0,05) and mean AP (-20,4±4,0%, P<0,05), which was associated with pronounced decrease of heart rate (-10,8±1,6%, p<0,05), +dp/dt max (-23,8±4,0%, P<0,05), -dp/dt max (-20,2±3,6%, P<0,05) and LVEDP (-30,0±4,2%, P<0,002).

**Table #1.** The changes of hemodynamic and morphometric parameters and baroreflex sensitivity in hypertensive rats pretreated with rilmenidine or placebo during 4 weeks

<i>Parameter</i>	<b>SO</b>	<b>Placebo</b>	<b>Rilmenidine pretreated rats (RPR</b>
Systolic arterial pressure – mmHg	138,5±3,6	184,2±6,0*	155,8±5,2*, **
Diastolic arterial pressure –mmHg	88,5±4,8	130,5±7,8*	108,2±4,0*, **
Mean arterial pressure - mmHg	101,4±5,2	147,2±6,4*	118,6±4,4*, **
+dp/dt max – mmHg/sec	3526±122	3675±168	2824±146*, **
-dp/dt max – mm Hg/sec	2248±86	2360±78	1886±64*, **
<b>LVEDP – mm Hg</b>	7,6±1,4	11,4±2,2*	8,0±1,0 **
Heart rate – beats/min	384,8±12,4	405,6±15,2*	378,2±8,0 **
Intersystolic intervals -msec	156,2±6,2	148,0±5,4	162,8±7,4 **
Baroreflex sensitivity -ms/mm Hg	0,82±0,04	0,32±0,06*	0,56±0,08*, **
<b>Cardiac output – ml</b>	0,16±0,08	0,15±0,02	0,14±0,06
PVTR – mm Hg/ml/min	1,6±0,18	2,6±0,21*	2,1±0,12*, **
<b>Heart weight – g</b>	1,316±0,052	1,644±0,074*	1,385±0,028
Ventricular index – comparative units	0,25±0,02	0,39±0,04*	0,29±0,01**

Notes: LVEDP – left ventricular end-diastolic pressure; PVTR – peripheral vascular total resistance; \* - P < 0,05 - difference reliability in relation to SO group; \*\* - between placebo and RPR.

Cardiac output did not differ statistically between all groups of animals, while PVTR in rilmenidine treated rats significantly reduced to compare with PTR (-19,2±2,0%, P<0,05). BRS with respect to heart rate control was greatly diminished in PTR compared with SO animals (-61,8±5,2%, P<0,001) and rilmenidine treated rats (-44,9±3,6%, P<0,001), which indicated about enhancement of baroreflex cardiochronotropic

vagal component produced after chronic administration of rilmenidine. In contrast the PTR rilmenidine pretreatment caused partial regression of left ventricular hypertrophy. The heart weight measured in these rats ( $1,385 \pm 0,028$ g) was approximated to the one observed in the SO animals ( $1,316 \pm 0,052$ g) and was in contrast the PTR ( $1,644 \pm 0,074$  g) exhibited an important cardiac hypertrophy ( $+24,2 \pm 3,8\%$ ,  $P < 0,002$ ) to compare with SO rats. Ventricular index (the ratio of right/left ventricular mass), which was significantly increased in PTR ( $+35,9 \pm 4,8\%$ ,  $P < 0,001$ ) compared with SO rats, was statistically lower ( $-25,7 \pm 3,4\%$ ,  $P < 0,05$ ) in rilmenidine treated animals with respect to PTR.

Our results indicate, that in hypertensive rats rilmenidine as a centrally acting antihypertensive drug revealed a beneficial effect on cardiac function and homeostatic regulation of cardiovascular system by decreasing – AP, LVEDP, myocardial hypertrophy and ventricular index. It is known, that systemic and cardiac sympathetic activity are increased in chronic heart failure and plasma norepinephrine concentrations are related to the degree of chronic heart failure. Over time, plasma norepinephrine increases as heart failure progresses [5,6]. In our experiments it has been shown, that the antihypertensive effects of rilmenidine in rats with RVH to correlate with its potency of restoring the impaired baroreflex function known to occur in arterial hypertension [9], which was accompanied with reduction of PVTR, obviously by decreasing sympathetic tone. These data are accorded with results obtained by other authors, which were established the specifically action of imidazoline<sub>1</sub> receptor ligands on the rostroventrolateral medulla, thereby reducing the activity of the sympathetic nervous system and sympathetic outflow. Thus, lowering adrenergic activity by a centrally acting mechanism, which is associated with reduction of heart rate and regression of cardiac hypertrophy, rilmenidine appears to produce an effect on left ventricular function that is qualitatively similar to that observed with  $\beta$ -blocking agents.

In conclusion, our results suggest that central imidazoline<sub>1</sub>-receptor stimulant-rilmenidine may be of interest in perspectives as a drug with favourable effect in CHF.

### რილმენიდინის ზეგავლენა ჰემოდინამიკურ პარამეტრებზე, ბარორეფლექსების სენსიტიურობასა და გულის ჰიპერტროფიაზე ჰიპერტენზიის მქონე ვირთხებში

*ნ. გონგაძე, თ. კეზელი  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,  
ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი*

ნანახი იქნა, რომ იმიდაზოლინ-1 რეცეპტორის აგონისტის – რილმენიდინის დანიშნულ ვირთხებში ჰიპერტენზიული დაავადებით შეამცირა არტერიული წნევა, გულის ცემის სიხშირე და გამოიწვია მიოკარდიუმის ჰიპერტროფიის პრევენცია, რაც დაკავშირებული იყო სიმპატო-ვაგუსური ბალანსის აღდგენით და გულის ფუნქციაზე დადებითი გავლენით. იმიდაზოლინ-1 რეცეპტორის აგონისტები დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენენ, როგორც გულის უემარისობის სამკურნალო საშუალებანი.

#### References:

1. R.El-Ayoub, J.Gutkowska, S. Regunathan, D.Mukaddam-Daher. J. Cardiovasc. Pharmacol. 39, 2002, 875-883.
2. P. Ernsberger, M.A. Haxhin. Amer. J. Physiol. 273, 1997, R. 1572-1579.
3. C.Farsang, J. Kapocsi. Brain research bulletin. 49 (5), 1999, 317-331.
4. A. Holt. J.Psychiatry Newrosci. 28(6), 2003, 409-414.
5. G.J. Molderings, M.Gothert, J.Fundam and Clin. pharmacol. 12, 1998, 388-397.
6. L.Monassier, L., Thomas, J.Feldan, P.Bousquet. J. Fundam and. Clin. Pharmacol. 13/Suppl. 1, 1999, 230 S.
7. K.Swedberg, M.R.Bristow, J.N.Cohn et al J. Circulation. 105, 2002, 1797-1803.
8. B.Szabo, R.Urhan. Arzneimittelforschung. 47, 1997, 1009-1015.
9. P.A. Van-Zwieten, S.L.M. Peters. Imidazoline receptors and their endogenous ligands. Annals of the New York Academy of Sciences. New York, 881, 1999, 420-427.

**აპიკულმოს გამოყენება თიმომეგალით მიმდინარე ბრონქოპნევმონიების კომპლექსურ მკურნალობაში**

*კ. ჩახუნაშვილი, ც. ჯელაძე, მ. გოგიაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, თ. გოგიაშვილი, დ. ჩახუნაშვილი, თ კონცეპტივე თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა*

ადაპტაციური მექანიზმების განვითარებასა და რეაქტულობის ჩამოყალიბებაში თიმუსს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს [2].

თიმუსისა და მისი მიკროგარემოს გავლენით ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები ტრანსფორმირდება T-ლიმფოციტებად, რომლებიც მიგრირებენ პერიფერიულ ორგანოებსა და ქსოვილებში, და ანხორციელებენ იმუნოლოგიურ ზედამხედველობას [4].

გლაზგოდან, დაუმატა ლივერპულის მასალა 1946 წლიდან 1965 წლის ჩათვლით. ამავე წელს ის ასაკობრივი ცენზის გამო გადადგა კათედრის გამგის თანამდებობიდან. საკვირველია, მაგრამ მეცნიერული მუშაობა მან უფრო გააძლიერა. გამოაქვეყნა კაპიტალური მონოგრაფიები მშობიარობის შემდგომი ჰოპოპიტუიტარიზმის და თირკმლის ქერქოვანი შრის ნეკროზის შესახებ, 1966 და 1968 წლებში. მოხუცი კ. შიჰენი, მოწაფეების დაქინებული თხოვნით, დათანხმდა კონსულტანტად ემუშავა ლივერპულის ტროპიკულ დაავადებათა ინსტიტუტში და სეფტონის მრავალპროფილური საავადმყოფოს პროზექტორ-კონსულტანტად. 1982 წელს გამოსცა თავისი ცხოვრების მთავარი წიგნი – “მშობიარობის შემდგომი ჰოპოპიტუიტარიზმის კლინიკური და პათოლოგანატომიური ასპექტები”. აქ კ. შიჰენი მოგვევლინა, როგორც მრავალკიდოვანი ექიმი – კლინიცისტი – პათოლოგანატომი, ბიოქიმიკოსი და მკურნალი. თავისი მნიშვნელობით მას ხშირად ადარებენ ჯ. მორგანის მთავარ წიგნს, რომელიც გენიოსმა იტალიელმა ექიმმა 79 წლის ასაკში გამოაქვეყნა 1761 წელს! ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ კ. შიჰენი მედიცინის პიონერად და კლასიკოსად შერაცხეს. აირჩიეს თითქმის ყველა ქვეყნის პრესტიჟული აკადემიის წევრად და უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. მისი უდიდესი დაფასების მწვერვალია არჩევა საფრანგეთის აკადემიაში, რაც უცხოელებისთვის იშვიათი პატივია. უკვდავთა აკადემიის წევრობა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ნობელის პრემიის ლაურეატობას არ ჩამოუვარდება. სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული კ. შიჰენი გარდაიცვალა 20 წლის წინ ლივერპულში 88 წლის ასაკში. აღსანიშნავია, რომ ის თავმდაბლობის გამო წინააღმდეგი იყო სამედიცინო ლიტერატურაში დამკვიდრებული ყოფილიყო “შიჰენის სინდრომი” და მოითხოვდა “მშობიარობის შემდგომი ჰოპოპიტუიტარიზმის” ეპონიმის დაკანონებას. ეს განხორციელდა მხოლოდ მეცნიერის სამშობლო – დიდ ბრიტანეთში. დანარჩენ მსოფლიოში ძირითადად დამკვიდრდა “შიჰენის სინდრომის” ეპონიმი.

საქართველოში შიჰენის სინდრომი პირველად გამოვლინდა თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ კლინიკაში (გამგე პროფესორი კ. ვირსალაძე). 1970 წელს ამ კლინიკის თანამშრომლებმა მარო ზარნაძემ, პროფესორებმა: ბ. რაჭველიშვილმა და თ. კუნჭულიამ და მაშინ სტუდენტმა რომან შაქარიშვილმა პირველად ქართულ ენაზე გამოაქვეყნეს სტატია შიჰენის სინდრომზე (მათ განიხილეს 3 ავადმყოფის დაავადების ისტორია). ამჟამად ამ სტატიის ავტორებს გამოვლენილი ჰყავთ 15 ავადმყოფი 1972 წლიდან 2006 წლის ჩათვლით. განზრახულია მონოგრაფიის გამოქვეყნება, რაც უახლოეს მომავალში განხორციელდება.

**Sheehan's Syndrome  
(Postpartum Hypopituitarism)**

***Kh. Pachkoria, O.gogiberidze, D. Virsaladze, B. Rachvelishvili,  
A. Isakadze, E. Adamia, L. Sturua***

***Tbilisi State Medical University Central Clinic, Department of Internal Medicine***

The authors of the present article discuss their own experience of the diagnosis and treatment (15 cases of Sheehan's Syndrome – postpartum hypopituitarism). The authors have substitute treatment with extract of anterior pituitary (Praephyson) and hormones of the peripheral endocrine glands proned good and satisfactory.

This article is dedicated to the memory of the doctor pediatricist Rosa Shelia.

**ლიტერატურა:**

1. მ. ზარნაძე, ნ. კუნჭულია, ბ. რაჭველიშვილი, რ. შაქარიშვილი – “შიჰენის სინდრომის დიაგნოსტიკის საკითხისთვის”, თბილისის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმთა სამეცნიერო შრომების კრებული, V ტომი, გვ. 74-79, 1970 წ.
2. ნ. პაჭკორია, ხ. ენუქიძე – “შიჰენის სინდრომის დიაგნოზი და მკურნალობა”, საქართველოს ახალგაზრდა მედიკოსთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ბაკურიანი 1975 წ. გვ. 74-75.
3. ნ. პაჭკორია, ო. გოგიბერიძე თანაავტ. – “ჰაროლდ შიჰენი”, თსსუ-ს სამედიცინო გაზეთი. 1997 წ. ოქტომბერი, გვ. 5.

4. ხ. პაჭკორია, თ. გოგიბერიძე თანაავტ. – “ჰ. შიპენი და მისი სინდრომი”, შრომათა კრებული მიძღვნილი აკად. ვ. ბოჭორიშვილის სხოვნას – “სეფსისის და ინფექტოლოგიის თანამედროვე პრობლემები, 2004 წ. გვ. 314-322.
5. ხ. პაჭკორია, თ. გოგიბერიძე, დ. ვირსალაძე, ბ. რაჭველიშვილი და სხვები – მშობიარობის შემდგომი ჰიპოპიტუიტარიზმი (შიპენის სინდრომი) თსსუს – სამედიცინო გაზეთი 2008, მარტი გვ. 10.
6. Серов В.Н «Послеродовые нейроэндокринные забалевания» М. 1978; с. 30-70.
7. Тетер Е. «Гормональные нарушения у мужчин и женщин. перевод с польского, Варшава, 1968.
8. Lambers Sw. et al – Pituitary Insufficiency. The Lancet 1998; 352: 127.
9. Vance Md. – Hypopituitarism. N Engl, I. Med 1994; 330: 1651.
10. Aron DS et al – Hypopituitarism “Greenspan” – Basic and Clinilal Endocrinology Eighth Edition D.G Gardner and D. Shoback (editors), Mc Graus Hill medicine Nev-York 2007, 134-140.
11. Sheehan HI. Post-partum necrosis of the anterior pituitary. J. Obstetr Bacteriology, 1937;45:182.
12. Sheehan HI. The Frequency of post-partum Hypopituitarism, J. Obstetr Gynecol. Brit.1965;72;103-111.
13. Sheehan HI. Klinische Aspecte des Hypopituitarism. Z. ges Inn. Med. 1967;22;785-789.
14. Sheehan HI. The Patho-genesis of post-partum necrosis of the anterior lobe of the pituitary gland; Acta Endocrinology; 1961;37;479-510.
15. Sheehan HI. The recognition of chronic hupopituitarism resulting from postpartum pituitary necrosis; Am. J. Obstr. Gynecology; 1971; 851-854.
16. Sheehan HI. The incidence of postpartum hypopituitarism Am. J Obstr. Gynecology. 1954; 68;202-223.
17. Murdoch R. – “Sheehans Syndrome”; Lancet 1962; 1327-1329.
18. Labhart A. – Pituitary insufficiency (Hipopituitarism) in labrart, clinical endocrinology, theory and practice springer verl. N/Y 1983, p. 105-167.
19. Simmonds M. – “Uber Hypophys Schwund mit todliche Ausgang. Dtsch Med. Wochenschr. 1914–BD 7; S.322.
20. Martin je. Succesful preqnanay in patient wtl Sheehan sindrom; N. Engl. J. Med. 1970; 282; 425.
21. Essauso et al – Hipopituitarism and antiphospholipid syndrome Ann. Endocri (Paris) 2003 oct. 64 (4):305-308.
22. Algun E et al - Spontaneus pregnancy in patient with Sheehan’s syndrome Europ J Obstetr. Gynecol. Reproduct Biol. 2003 oct 10: 110 (2): 242-244.
23. Kanda K. et al – Conversion From latent to symptomatic Sheehan’s Syndrome by pegylated interferon therapy for chronic Hepatitis C. Intern. Med. 2008; 47 (10): 939-941.
24. Kaplun J. et al – Sequential pituitary MR imaging in Sheehan’s Syndrome: renort of r case. American J Neuroradiology 2008: 29 (5): 941-943.

## ნაღველ-კენჭოვანი დაავადება ბავშვებში

(შემთხვევა პრაქტიკიდან)

**ხ. მელია, თ. ქელბაქიანი-კვინიხიძე, თ. თოფურია**

**ს/ს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი**

ნაღველ-კენჭოვანი დაავადების ჩამოყალიბებაში წამყვანი პრიორიტეტი ჰეპატოგენურ ბუნებას მიენიჭება. თანამედროვე შეხედულებებით მეტაბოლური დეფექტი ორგანიზმში განიხილება ნაღველ-კენჭოვანი დაავადების მიზეზად, რომლის დროსაც მიმდინარეობს 3-ჰიდროქსი-3-მეთილგლუტამინ-კოენზიმ- -რედუქტაზის მოჭარბებული წარმოქმნა. ეს უკანასკნელი კი განაპირობებს ქოლესტერინის სინთეზის ინტენსივობას, რის გამოც ორგანიზმში მატულობს მისი რაოდენობა, ნაღველი ხდება ზენაჯერი ე.ი. ლითოგენური; რაც თავის მხრივ გვევლინება გამშვებ მექანიზმად კენჭწარმოქმნის პროცესისა ნაღველის ბუშტსა და სანაღველე გზებში.

ბავშვთა ასაკში ქოლელითიაზის შემთხვევები, არც ისე ხშირია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობას, სანაღველე გზების ანომალურ განვითარებას, ღვიძლის ისეთ პათოლოგიას - როგორცაა ბაილერის დაავადება ან ქრონიკული ოჯახური მორეციდივე ციროგენური ქოლესტაზი, მუკოვისციდოზი, გაძლიერებული ჰემოლიზით მიმდინარე დაავადებები. არსებობს აგრეთვე მონაცემები, რომ ნაღველ-კენჭოვან დაავადებათა დიდი პროცენტი აღინიშნება თალასემიით დაავადებულ ბავშვებში.



ბავშვთა ასაკში ნაღველ-კენჭოვანი დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლინება არ არის ისე მწვავედ გამოხატული, როგორც მოზრდილ პოპულაციაში. ჩივილებიდან დომინირებს ტკივილი მუცლის არეში და დისპეპსიური მოვლენები. ბავშვებში ტკივილის ლოკალიზაცია და ხასიათი დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტკივილი მუცლის არეში ამ შემთხვევაში შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წუთი ან საათი, ხოლო შემდეგ მისი ინტენსივობა შემცირდეს ან სრულიად გაქრეს. რის შემდეგ ბავშვის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს.

ს/ს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ამბულატორიულად მომართულ პაციენტთა დიდი ნაწილი წარმოდგენილია ხშირი აბდომინალური სინდრომით, რათა გამიზნულად დადგინდეს ან გამოირიცხოს ჰელმინთოზი და პროტოზოებით მაკროორგანიზმის დაინვაზიება. აღნიშნულ პაციენტთა უმრავლესობას მრავალჯერადი კონსულტაციები აქვთ მიღებული როგორც ქირურგთან, ასევე გასტროენტეროლოგთან და პედიატრთან.

ინსტიტუტში მიმდინარე წელს შემოვიდა დაბალი კვების და ფიზიკური განვითარების 13 წლის ბავშვი, რომელსაც თითქმის ნახევარი წელი აწუხებდა ტკივილი მუცლის არეში. რის გამოც არაერთხელ მიმართა ქირურგს, პედიატრს და გასტროენტეროლოგს. ერთ-ერთ ბოლო ვიზიტზე გადაწყდა - გამოერიცხათ ჰელმინთოზებით დაინვაზირება. მიმღებ განყოფილებაში ანამნეზური მონაცემები შეფასდა და ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ ტკივილი უმეტეს შემთხვევაში ემთხვეოდა საღამო საათებს, მიღებული საკვების სახეობას (ცხიმისანი, ნივთიან, შოკოლადი). ხოლო ტკივილის ლოკალიზაციის ადგილი ყოველთვის იყო მარჯვენა ფერდქვეშა მიდამო, რომელიც ირადიაციით პერიუმბილიკალურად გადაეცემოდა. უმეტესად აღინიშნებოდა საშუალო ინტენსივობის ტკივილი, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წუთს. არამკვეთრად იყო გამოხატული დისპეპსიური მოვლენები. ჩვენთან ვიზიტის წინა საღამოს პაციენტს განუვითარდა მორიგი შეტევა. ჩვენს კლინიკაში მისი მდგომარეობა შეფასებულ იქნა დამაკმაყოფილებლად, გოგონა ტკივილებს მუცლის არეში არ ღნიშნავდა. პალპაციით მუცელი რბილი, უმტკივნეულო იყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ 6 თვის განმავლობაში ერთხელაც არ იქნა სადიაგნოსტიკოდ გამოყენებული კვლევის ისეთი არაინვაზიური მეთოდი, როგორიცაა ულტრაბგერითი სკანირება.

ულტრაბგერითი კვლევის შედეგად დადგინდა: ღვიძლის მარჯვენა წილის ვერტიკალური ირიბი ზომა 108მმ (№100 მმ.), მარცხენა წილის კრანო-კაუდალური ზომა 57მმ (№60 მმ.). მამილარულ ხაზზე ნეკნთა რკალის დონეზე. კუთხეები მახვილი. პარენქიმის ექოსტრუქტურა ერთგვაროვანი წვრილმარცვლოვანი. საშუალო ექოგენობის. ექოგამტარიანობა ნორმალური. კეროვანო ცვლილებების გარეშე. ღვიძლის სისხლძარღვოვანი სურათი უცვლელი: კარის ვენის დიამეტრი 7მმ., ღვიძლის ვენის - 4მმ. ღვიძლშიდა და ღვიძლგარეთა სანაღველე გზები დილატაციის გარეშე. ქოლედოქუსი 3მმ. სანათური თავისუფალი. *ნაღვლის ბუშტი ცილინდრული ფორმის. ზომა: 53X17მმ. ლორწოვანის რელიეფი სადა. შიგთავსი - ეელის არეში ფიქსირდება მაღალი ექოგენობის კონკრემენტი, დისტალური გაძლიერებით, ზომით 10მმ.* (იხილეთ ექოგრამა). პანკრეასი - თავი 15მმ. (№15მმ), სხეული 10მმ. (№10-12მმ), კუდი 18მმ (№16მმ). კონტური სწორი. პარენქიმის ექოსტრუქტურა ერთგვაროვანი, საშუალო ექოგენობის. ვირსუნგის სადინარი დილატაციის გარეშე. ელენტა - ზომები: 88X56X44მმ. (№80X60მმ.). კონტური სწორი. პარენქიმის ექოსტრუქტურა ერთგვაროვანი საშუალო ექოგენობის. ელენტის ვენა ელენტის კარში 3მმ.

P.S. ჩვენს მიერ დასმული დიაგნოზის შედეგად, კვლევიდან ერთ კვირაში, ბავშვი გაიგზავნა ქალაქის ერთ-ერთ ქირურგიულ სტაციონარში; სადაც გაკეთდა ქოლექცი-ტექტომია, რამაც დაადასტურა ნაღველკენჭოვანი დაავადება.



ექოგრამა № 1, 2. დეფორმული ნაღვლის ბუშტი. სანათურში ლოცირებს ექოპოზიტიური კონკრემენტი დისტალური გაძლიერებით.



## Cholelithiasis in Children (Case Report)

*Kh.Melia, T.Qelbaqiani-Kvinikhidze,  
T.Topuria*

*S.Virsaladze Research Institute of Medical Parasitology and Tropical Medicine*

The main reason of cholelithiasis development is of hepatic genesis. During metabolic disorders with the hyper-production of 3-hydroxy-3methylglutamine-coenzyme-A-reductase synthesis and the level of cholesterol is increased, the gall bladder becomes lithoidal, which in turn serves as a trigger of gallstone development in the gall bladder and bile ducts.

Cholelithiasis is not common in children. There are several important factors such as hereditary predisposition, bile duct anomalies, liver disorders (e.g. Bailer's disease or chronic familiar recurrent cirrhotic cholestasis), cystic fibrosis and diseases characterized by intensive hemolysis, that play significant role in the development of cholelithiasis in children. It should be noted, that the majority of cholelithiasis cases occur in children with Thalassemia. In contrary to adults, clinical symptoms of cholelithiasis are not acute in children. The main complaints are: abdominal pain and dyspepsia. Type and location of the pain depends on the age of a patient. Abdominal pain may last from several minutes to hours, then diminishes and disappears. General condition of a child can be considered satisfactory during the pain free periods. At S.Virsaladze Research Institute of Medical Parasitology and Tropical Medicine most of patients are admitted with abdominal syndrome. They are referred to the institute to exclude helminthiasis or protozoan diseases. Most of these patients had already visited surgeons, gastroenterologists and pediatricians for several times.

In 2008 thirteen years old patient admitted at the institute with complaint of an abdominal pain which lasted for almost 6 months. She referred to the surgeon-pediatrician with this complaint for several times. Despite multiple visits to physicians an ultrasound investigation of abdominal cavity was never conducted on her. During the last medical checkup the pediatrician referred her to S.Virsaladze Research Institute of Medical Parasitology and Tropical Medicine to exclude helminthiasis.

Anamnesis was evaluated at the admission and it was found that the pain was usually arising during evening hours and was provoked by an intake of specific food such as fatty food, nuts, and chocolate. Pain was always located in the right upper quadrant with per umbilical irradiation. Mostly the pain was moderate and the duration was not exceeding 30 minutes. Mild dyspepsia was also found. The patient experienced recurrent attacks of pain after which her overall medical condition was determined to be satisfactory. The abdomen was soft and painless during palpation. It should be noted that during six months ultrasound investigation was never used as one of the diagnostic procedures.

Ultrasound investigation showed the following: vertical size of the liver right lobe was 108mm (N 100mm) and crania-caudal size of the liver left lobe was 57mm (N 60mm) at mammary line on the level of costal rib arch. Parenchymal echo texture was homogeneous, moderately echogenic, with normal echo transmission and without focal alterations. Vascular structure of the liver was not altered: diameter of portal vein was 7mm; diameter of hepatic vein was 4mm. Intra-hepatic and extra-hepatic biliary ducts were without dilation, choledochus was 3mm, lumen free. Gall bladder shape was cylindrical, size – 53X17mm, with smooth mucous walls. In the neck of gallbladder a hyper echogenic concrement, size – 10mm, with distal acoustic shadow was found (see echogram). Pancreas: head – 15mm (N 15mm), body – 10mm (N 10-12mm), tail – 18mm (N 16mm), well defined outline, parenchyma with homogeneous echo texture and moderate echogenicity. Virsung duct without dilation; Spleen: size – 88X56X44mm (N

80X60mm), well defined outline, parenchyma with homogeneous echo texture and moderate echogenicity, splenic vein 3mm in spleen hilum.

P.S. After one week from our study at one of the surgical units of Tbilisi cholecystectomy was performed to this child which confirmed the presence of cholelithiasis.

### ლიტერატურა:

1. Лечение детей с желчнокаменной болезнью. Российский вестник перинатологии и педиатрии. Журнал № 9, 2001 с. 10
2. Диагностика холелитиаза у детей. А.М. Запруднов, Л.А.Харитонов, Л.В. Богомаз. Кафедра педиатрии с детскими инфекциями факультета усовершенствования врачей Российского государственного медицинского университета. Москва. Российский вестник перинатологии и педиатрии. Журнал № 5, 1999г. С. 51-57
3. Желчнокаменная болезнь у детей.Н.П.Шабалов; - Детские болезни- с.511-519.; 1999г.
4. Kaechele V, Wabitsch M, Thiere D. Prevalence of gallbladder stone disease in obese children and adolescents influence of the degree of obesity, sex and pubertal development. Journal of Pediatric Gastroenterology and Nutrition 2006, 42-66-70
5. Urbach Dr. Stukel TA, Rate of elective cholecystomy and the incidence of severe gallstone disease. Canadian Medical Association Journal. 2005.172(8)1015-1019
6. 6.Prince JS, Senac M. O Jr. Ceftriaxone-associated nephrolithiasis and biliary psevdolithiasis in a child. Pediatric Radiology 2003; 33: 6480-651



**განახლებული მკვ/მკვ\* გაიდლაინები  
არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ**

**დ. ჩანტლაძე, თ. კაციაშვილი, ხ. ნოღია, ნ. ხუციშვილი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მედიცინის ფაკულტეტი**

2007 წლის ივნისში მილანში ჩატარდა მკვ-ის მორიგი, მე-13 კონგრესი. ამ უმსხვილეს საერთაშორისო ფორუმზე მკვ-სა და მკვ-ს მიერ განხილული და მოწოდებული იქნა არტერიული ჰიპერტენზიის (აჰ) სამკურნალოდ შემუშავებული განახლებული გაიდლაინები [1]. გაიდლაინების წინა ვერსია [2], რომელიც 2003 წლით თარიღდება, დადებითად იქნა შეფასებული და მიღებული მსოფლიო სამედიცინო საზოგადოების მიერ. თუმცა, უკანასკნელ ხანებში ნაჩვენებები იქნა ახალი მონაცემები აჰ-ის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში, რამაც აუცილებელი გახდა 2003 წლის გაიდლაინებში გარკვეული ცვლილებების შეტანა. განახლებული გაიდლაინების დეტალური განხილვის შემდეგ შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე პრინციპულად ახალი პოზიცია.

**ცხრილი №1. აჰ-ის დონეების დეფინიცია და კლასიფიკაცია**

კატეგორია	სისტოლური (ვწყ.სგ.მმ)	დიასტოლური (ვწყ.სგ.მმ)
ოპტიმალური	<120	<80
ნორმა	120-129	80-84
მაღალი ნორმა	130-139	85-89
I ხარისხის აჰ	140-159	90-99
II ხარისხის აჰ	160-179	100-109
III ხარისხის აჰ	180	110
იზოლირებული სისტოლური აჰ	140	<90

**ცხრილი №2. აწ-ის ზღვრული მნიშვნელობები გაზომვის დროისა და ადგილის მიხედვით**

	სისტოლური აწ (ვწყ.სგ.მმ)	დიასტოლური აწ (ვწყ.სგ.მმ)
სამსახურში ან კლინიკაში	140	90
24 საათი	125-130	80
დღე	130-135	85
ღამე	120	70
სახლში	130-135	85

**არტერიული წნევის დონე და არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზი:** მთავარი პუნქტი – არტერიული წნევის (აწ) განსაზღვრა და კლასიფიკაცია (ცხრილი №1) პრაქტიკულად უცვლელი დარჩა. იმის მიხედვით, თუ რა ვითარებაში და რა მეთოდით ხორციელდება აწ-ის კონტროლი, სახელდება ზღვრული ციფრები. ექიმთან ვიზიტისას, სახლში და დღე-ღამური მონიტორინგის პირობებში ეს ციფრები განსახვავებულია (ცხრილი №2). გარდა ამისა, უკვე ცნობილ ფენომენებთან ერთად, როგორცაა „თეთრი

\* მკვ – ევროპის ჰიპერტენზიის საზოგადოება  
მკვ – ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოება

ხალათის ჰიპერტენზია“ და „იზოლირებული საოფისე ჰიპერტენზია“, პირველად შემოდის ცნება „შენიღებული ჰიპერტენზია“, რომლის დროსაც არტერიული წნევის მაღალი ციფრები ფიქსირდება მხოლოდ სახლის პირობებში.

**რისკის სტრატეფიკაცია:** მაღალი აწ ითვლება ინსულტისა და გიდ-ის, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა სისტემის გართულებების (მიოკარდიუმის ინფარქტი და გულის უკმარისობა) განვითარების ერთ-ერთ მთავარ დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორად (რფ) [1;2]. გაიდლაინის ერთ-ერთი მთავარი დებულებაა გართულებების განვითარების რისკის სტრატეფიკაცია და პროგნოზის განსაზღვრა, რომლის საფუძველზე დგინდება პაციენტის მკურნალობის ტაქტიკა. ადრე გათვალისწინებულ რფ-ებს შეემატა ჰიპერგლიკემია უზმონზე და გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა. გარდა ამისა, გამკაცრდა დისლიპიდემიის და C-რეაქტიული ცილის კონტროლი. ამ უკანსკნელის მომატებული დონე მეტად სიმპტომურია. ცნება – „ორგანო-სამიზნეების დაზიანება“ შეიცვალა ახლით – „ორგანოების სუბკლინიკური დაზიანება“. ამ მარკერებთან ერთად სასურველია განისაზღვროს კოჭ-მხრის ინდექსი (<0,9) და პულსური ტალღის სიჩქარე (>12 მ/წმ). მნიშვნელოვანია აგრეთვე მეტაბოლური სინდრომი, რადგან ის წარმოადგენს რფ-ების „გორგალს“. იგი ხშირად ასოცირდება მაღალ აწ-სთან და მნიშვნელოვნად გაზრდილ კარდიოვასკულურ რისკთან. თუმცა ამის საფუძველზე რთულია დასკვნის გაკეთება, რომ მეტაბოლური სინდრომი პათოგენური არსის მატარებელია. თირკმლის დაზიანების მარკერების ჩამონათვალს დაემატა: კრეატინინის კლირენსით განსაზღვრა Cockcroft-Gault-ის ფორმულის მიხედვით და გორგლისებრი ფილტრაციის სიჩქარის გამოთვლა MDRD-ს ფორმულის მიხედვით. მიკროალბუმინურია ამჟამად განიხილება, როგორც არსებითი კომპონენტი ორგანულ დაზიანებათა შეფასებისა, რადგან მისი განსაზღვრა მეტად მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდია. მიოკარდიუმის კონცენტრირებული ჰიპერტროფია სახელდება როგორც სტრუქტურული კარდიალური პარამეტრი, რომელიც არსებითად ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს. რეკომენდირებულია, რომ შეძლებისდაგვარად მოხდეს სხვადასხვა ორგანოთა (გული, სისხლძარღვები, თირკმელები, ტვინი) დაზიანების გამოვლენა როგორც მკურნალობის დაწყებამდე, ასევე მკურნალობის პროცესშიც, ვინაიდან ორგანოთა მრავლობითი დაზიანება ყველაზე ცუდ პროგნოზთან ასოცირდება.

**ცხრილი №3. რისკის სტრატეფიკაცია.**

არტერიული წნევა (მმ გ)					
სხვა რფ-ები, ოსდ ან დაავადებები	ნორმა საწ 120-129 ან დაწ 80-84	მაღალი ნორმა საწ 130-139 ან დაწ 85-89	I ხარისხის აწ საწ 140-159 ან დაწ 90-99	II ხარისხის აწ საწ 160-179 ან დაწ 100-109	III ხარისხის აწ საწ 180 ან დაწ 110
არტერიული სხვა რფ	საშუალო რისკი	საშუალო რისკი	მცირე დამატებითი რისკი	ზომიერი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი
1-2 რფ	მცირე დამატებითი რისკი	მცირე დამატებითი რისკი	ზომიერი დამატებითი რისკი	ზომიერი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი
3 ან მეტი რფ, მს ან ოსდ, შდ	ზომიერი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი
დადგენილი ოსდ ან თირკმლის დაავადება	მაღალი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი	მაღალი დამატებითი რისკი

**შენიშვნა:** საწ-სისტოლური აწ; დაწ-დიასტოლური აწ; რფ-რისკ-ფაქტორი; ოსდ-ორგანოთა სუბკლინიკური დაზიანება; მს-მეტაბოლური სინდრომი; შდ-შაქრიანი დიაბეტი; გსდ-გულ-სისხლძარღვთა დაავადება

არსებობს იმის საფუძველი, რომ გულის შეკუმშვების მაღალი სიხშირე განიხილონ, როგორც რფ, რადგან არსებობს მრავალი მტკიცებულება მისი კავშირისა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან და სიკვდილიანობასთან. მონაცემების თანახმად, ტაქიკარდია ზრდის აჰ-ის ახალი შემთხვევების განვითარების რისკს და ხშირად ასოცირდება მეტაბოლურ დარღვევებთან და მეტაბოლურ სინდრომთან. თუმცა გულის ნორმალური რიტმის (60-90) საკმაოდ ფართო დიაპაზონის გამო ამ ეტაპზე რთულია განისაზღვროს მისი ზღვრული მნიშვნელობა გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკის სტრატეფიკაციისას.

პირველად პრაქტიკული მიზნებისთვის მოცემულია მთავარი დიაგნოსტიკური ელემენტების ჩამონათვალი მაღალი და ძალიან მაღალი რისკის მქონე პირების კატეგორიების კლასიფიცირებისათვის. რფ-ები, სუბკლინიკური ორგანული დაზიანებები და დადგენილი გულ-სისხლძარღვთა და თირკმლის დაავადებები, შერწყმული არტერიული წნეის სხვადასხვა დონესთან, წარმოადგენენ აჰ-ის სიმძიმის შეფასების, პროგნოზის განსაზღვრის და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის ძირითად კრიტერიუმებს (ცხრილი №3). ცხრილის პირველ ნაწილში შეცვლილია ზოგიერთი პარამეტრი (რფ-ები, ორგანული დაზიანებები და დაავადებები) და პირველად ცალკეა გამოყოფილი, თუ როგორ შეიძლება ვარირებდეს აჰ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკთან დამოკიდებულებაში. უკვე ცნობილ ინდექსებთან ერთად (ფრამინგემი, SCORE) შემოიტანეს მარტივი ცხრილი, რომელშიც ოთხბალიანი სკალით ფასდება სხვადასხვა მეთოდების და მანქანებლების ხელმისაწვდომობა, პროგნოზული ღირებულება და მატერიალური მხარე (ცხრილი №4).

**ცხრილი №4. დიაგნოსტიკური მეთოდების პროგნოზული ღირებულება, ხელმისაწვდომობა და ფასი**

მარკერები	პროგნოზული ღირებულება	ხელმისაწვდომობა	ფასი
ელექტროკარდიოგრაფია	++	+++	+
ექოკარდიოგრაფია	+++	+++	++
საძილე არტერიის მედიას/ინტიმას სისქე	+++	+++	++
არტერიული დაჭიმულობა (პულსური ტალღის სიჩქარე)	+++	+	++
კოჭ-მხრის ინდექსი	++	++	+
კორონარული კალციუმის ინდექსი	+	+	++++
გულის/სისხლძარღვების ქსოვილთა შედგენილობა	?	+	++
მოცირკულირე კოლაგენის მარკერები	?	+	++
ენდოთელური დისფუნქცია	++	+	+++
ცერებრული ლაკუნები/თეთრი ნივთიერების დაზიანება	?	++	++++
გორგლოვანი ფილტრაციის სიჩქარე/კრეატინინის კლირენსი	+++	+++	+
მიკროალბუმინურია	+++	+++	+

**ანტიჰიპერტენზიული თერაპია:** აჰ-ის მკურნალობაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია შემდეგ ასპექტებზე: მკურნალობის მიზანი, აწ-ის დაწვევის დონეები, სხვადასხვა კლასის პრეპარატების შერჩევა და პაციენტთა განსაზღვრული ჯგუფების მკურნალობის თავისებურებანი. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად სასწრაფოა ანტიჰიპერტენზიული თერაპიის ინიცირება (ცხრილი 5). სახელდება მკურნალობის ორი ძირითადი მეთოდი: მედიკამენტოზური თერაპია და არამედიკამენტოზური, რაც გულისხმობს ცხოვრების წესის შეცვლას შემდგომი დაკვირვების პირობებში. მკურნალობის ტიპი განისაზღვრება არამხოლოდ აჰ-ის ხარისხის მიხედვით, არამედ უმთვარესად გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის გათვალისწინებით.

აჰ-ის მკურნალობის მიზანი და მისი მიღწევის სახეები ფორმულირებულია შემდეგი სახით:

- მკურნალობის უპირველესი მიზანია გულ-სისხლძარღვთა დავადებების ზოგადი რისკის მაქსიმალური შემცირება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;
- საჭიროა მომატებული აწ-ის კონტროლი per se, აგრეთვე ყველა შექცევადი რშ-ის კორექცია;
- აწ უნდა დაქვეითდეს სულ მცირე 140/90 mmHg, ხოლო თუ შესაძლებელია, უფრო დაბალ დონემდეც;
- შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებისათვის აწ-ის მიზნობრივი დონე უნდა მერყეობდეს <130/80 მმ.ვწყ.სვ., ისევე, როგორც მაღალი და ძალიან მაღალი რისკის მქონე პაციენტებისთვის (ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, თირკმლის დისფუნქცია, პროტეინურია);
- აწ-ის მიზნობრივი დონის მისაღწევად საჭიროა დაინიშნოს ანტიჰიპერტენზიული მკურნალობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მნიშვნელოვანი დაზიანებების გამოვლენამდე.

**ცხრილი №5. ანტიჰიპერტენზიული თერაპიის ინიციაცია**

არტერიული წნევა (mmHg)					
სხვა რფ-ები, ოსდ ან დაავადებები	ნორმა საწ 120-129 ან დაწ 80-84	მაღალი ნორმა საწ 130-139 ან დაწ 85-89	I ხარისხის აჰ საწ 140-159 ან დაწ 90-99	II ხარისხის აჰ საწ 160-179 ან დაწ 100-109	III ხარისხის აჰ საწ 180 ან დაწ 110
არცერთი სხვა რფ	ჩარევის გარეშე	ჩარევის გარეშე	ცწმ რამდენიმე თვე, შედეგის არქონისას ფთ	ცწმ რამდენიმე კვირა, შედეგის არქონისას ფთ	ცწმ + დაუყოვნებელი ფთ
1-2 რფ	ცწმ	ცწმ	ცწმ რამდენიმე კვირა, შედეგის არქონისას ფთ	ცწმ რამდენიმე კვირა, შედეგის არქონისას ფთ	ცწმ + დაუყოვნებელი ფთ
3 ან მეტი რფ, მს ან ოსდ	ცწმ	ცწმ, შესაძლოა ფთ	ცწმ + ფთ	ცწმ + ფთ	ცწმ + დაუყოვნებელი ფთ
შაქრიანი დიაბეტი	ცწმ	ცწმ + ფთ			
დადგენილი გსდ ან თირკმლის დაავადება	ცწმ + დაუყოვნებელი ფთ	ცწმ + დაუყოვნებელი ფთ	ცწმ + დაუყოვნებელი ფთ	ცწმ + დაუყოვნებელი ფთ	ცწმ + დაუყოვნებელი ფთ

*შენიშვნა: საწ-სისტოლური აწ; დაწ-დიასტოლური აწ; რფ-რისკ-ფაქტორი; ოსდ-ორგანოთა სუბკლინიკური დაზიანება; მს-მეტაბოლური სინდრომი; გსდ-გულ-სისხლძარღვთა დაავადება; ცწმ-ცხოვრების წესის შეცვლა; ფთ-ფარმაკოთერაპია*

ყურადსაღებია კიდევ ერთი ფაქტი – გიდ-ის მქონე პაციენტებისათვის აწ-ის დონე არ უნდა აღემატებოდეს 130/80 mmHg [1]. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ასეთი პაციენტებისთვის აწ-ის მიზნობრივ დონედ მიიჩნეოდა <140/90 mmHg, ხოლო შაქრიანი დიაბეტისა და/ან თირკმლის უკმარისობის ფონზე – <130/80 [2]. უკანასკნელ დროს მრავლადაა მონაცემები იმის შესახებ, რომ აწ-ის დაწვევა დადებით ზეგავლენას ახდენს სტაბილური ბ0დ-ის მქონე პაციენტებზე. აღნიშნული ფაქტის მნიშვნელობა დასტურდება გამოკვლევის შედეგად, რომელიც ჩაატარა INVEST-მა post-hoc-ის ანალიზით [4]. ნაჩვენებია იქნა, რომ აჰ-ის მკურნალობის მეთოდისგან დამოუკიდებლად გიდ-ის პროგნოზი მკვეთრად გაუმჯობესდა იმ პირებში, რომლებიც ექვემდებარებოდნენ აწ-ის კონტროლს [3]. EURO-PA-ს გამოკვლევებში მონაწილეებმა 7064 ერთდროულად გიდ-ისა და აჰ-ის (>140/90 mmHg) მქონე პაციენტი, რაც შეადგენდა მთელი პოპულაციის 58%-ს [5]. რანდომული წესით შერჩეული ჯგუფი დებულობდა 8 მკ პერინდოპრილს და აგრძელებდა ადრე დაინიშნულ ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობას (62% იღებდა ბ-ბლოკატორებს, 31% კალციუმის

ანტაგონისტებს). შედეგად, აწ-ის დონემ დაიწია 128/78 mmHg-მდე და მნიშვნელოვნად შემცირდა კარდიალური გართულებების რისკი.

როდესაც აწ-ის საწყისი დონე ვარირებს 130-139/85-89 mmHg დიაპაზონში, ანტიჰიპერტენზიული თერაპია ინიშნება კონკრეტული პაციენტის საერთო რისკის გათვალისწინებით [1]. რიგი კვლევების მიხედვით (PROGRESS, HOPE, EUROPA და სხვ.), თუ პაციენტს აღენიშნება შაქრიანი დიაბეტი, ანამნეზში ცერებროვასკულური დაავადება, კორონარული და პერიფერიული არტერიების ათეროსკლეროზული დაზიანება, ამ შემთხვევაში ანტიჰიპერტენზიული თერაპია ამცირებს ფატალური და არაფატალური კარდიოვასკულური გართულებების რისკს. რადგან გიდ-ის მქონე პირები მიეკუთვნებიან მაღალი რისკის ჯგუფს, აწ-ის ნორმალური დონის მიღწევის შემდეგაც კი მუდმივი კონტროლი და პრეპარატების დანიშვნა იძლევა დამატებით სარგებელს პროფილაქტიკისათვის. აღასანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ გამოკვლევებში ძირითადად გამოიყენებოდა აფ-ინჰიბიტორები (რამიპრილი და პერინდოპრილი). შესაძლოა დარწმუნებით ითქვას, რომ გიდ-ის მქონე პაციენტებში ამ პრეპარატების გამოყენება აწ-ის სამკურნალოდ (<130/80 mmHg) იძლევა საშუალებას მიღწეულ იქნას მაქსიმალური სისხლძარღვოვანი პროტექტორული ეფექტი.

**ანტიჰიპერტენზიული თერაპია; პრეპარატის შერჩევა:** როგორც ცნობილია, არსებობს ანტიჰიპერტენზიული პრეპარატების 5 ძირითადი კლასი: თიაზიდური დიურეტიკები, კალციუმის ანტაგონისტები, აფ-ინჰიბიტორები, ანგიოტენზინ-რეცეპტორების ანტაგონისტები და β-ბლოკატორები. აღნიშნული პრეპარატები გამოიყენება როგორც ცალკეულად, ასევე კომბინაციაში.

β-ბლოკატორები, განსაკუთრებით თიაზიდურ დიურეტიკებთან კომბინაციაში, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მეტაბოლური სინდრომის ან შაქრიანი დიაბეტის განვითარების მაღალი რისკის მქონე პაციენტებში. ვინაიდან ზოგიერთი პაციენტისათვის აუცილებელია ერთზე მეტი პრეპარატის დანიშვნა, პირველ პრეპარატზე აქცენტირება ზოგჯერ არ არის გამართლებული. დამტკიცებულია, რომ ხშირ შემთხვევებში ზოგიერთი პრეპარატს გააჩნია უპირატესობა სხვებთან შედარებით, როგორც საწყის თერაპიაში, ისე კომბინაციაში.

კონკრეტული პრეპარატის შერჩევას ან პრეპარატების კომბინირებისას საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი:

- გარკვეული კლასის პრეპარატის დადებითი ან უარყოფითი ეფექტის გამოცდილება კონკრეტულ პაციენტზე;
- პრეპარატების ზეგავლენა გულ-სისხლძარღვოვანი რფ-ის მქონე პაციენტებზე, თითოეულისთვის ინდივიდუალური მიდგომით;
- ისეთი თანამოვლენების დროს, როგორებიცაა ორგანო-სამიზნეების სუბკლინიკური დაზიანება, კლინიკურად გამოხატული გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, თირკმელების დაზიანება და შაქრიანი დიაბეტი, პრეპარატების ერთმა ჯგუფმა შესაძლოა იქონიოს დადებითი ეფექტი, ხოლო სხვა ჯგუფმა – უარყოფითი;
- სხვა დარღვევების თანაარსებობისას შესაძლოა შეიზღუდოს ანტიჰიპერტენზიული პრეპარატების გამოყენება;
- სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედების შესაძლებლობები კომბინირებული თერაპიის დროს;
- პრეპარატების ხელმისაწვდომობა როგორც კონკრეტული პაციენტისათვის, ასევე კონკრეტული სახელმწიფოს ჯანდაცვის სისტემისათვის. ცხადია, პრეპარატის შერჩევას ფასი არ უნდა დომინირებდეს მის ეფექტურობაზე.

უწინდებურად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პრეპარატის გვერდით ეფექტებს და უკუჩვენებებს. კონკრეტული პაციენტის მგდგომარეობიდან გამომდინარე პრეპარატების გვერდითი ეფექტები შეიძლება სხვადასხვა სახით გამოვლინდეს.

აწ-ის დამწვევი მოქმედება უნდა გრძელდებოდეს 24სთ-ის განმავლობაში, რისი გაკონტროლებაც შესაძლებელია როგორც ექიმთან ვიზიტისას, ასევე სახლის პირობებში პრეპარატის ყოველი მიღების წინ ან აწ-ის 24სთ-იანი ამბულატორიული მონიტორინგით. უპირატესობა ენიჭება იმ პრეპარატებს, რომლებიც არტერიულ წნევას ამცირებენ დღე-ღამეში მხოლოდ ერთხელ მიღების შედეგად.

ამგვარად, მკვ/მკვ-ს 2007 წლის განახლებული გაიდლაინები აწ-ის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკმეში ხელს უწყობენ დაგროვილი ცოდნის დანერგვას კლინიკურ პრაქტიკაში. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მკურნალობის ეფექტურობის ამაღლებას და პროგნოზის გაუმჯობესებას.

### **The revised ESH/ESC\* Guidelines in the Management of Hypertension**

*L. Chantladze, T. Katsiashvili, Kh. Nodia, N. Khucishvili  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University, the Faculty of Medicine*

The regular 13-th congress of ESH took place in Milan, in June 2007. On this largest international session was discussed and represented the revised version of ESH/ESC guidelines for the treatment of hypertension. The previous version of these guidelines (dated by 2003 year) was perceived positively by the medical society of the whole world. Even though for the last time has been shown new data in diagnostic and treatment of hypertension, which was the major reason to change or refresh some aspects of the previous version. On the basis of considering new guidelines the following has marked out: The level of the blood pressure and the diagnosis of hypertension; Stratification of the risk; Initiation of antihypertensive treatment; Pharmacological therapy, choice of antihypertensive drugs.

ESH/ESC Guidelines help to inculcate the stored knowledge in the medical practice, increase the effectivity of treatment and improve the prognosis of the disease.

\* European Society of Hypertension/European Society of Cardiology

#### **ლიტერატურა:**

1. The Task Force for the management of arterial hypertension of the European Society of Hypertension and of the European Society of Cardiology. 2007 Guidelines for the management of arterial hypertension. *J Hypertens* 2007; 25: 1105–1187.
2. 2003 European Society of Hypertension – European Society of Cardiology guidelines for the management of arterial hypertension. Guidelines Committee. *J Hypertens* 2003; 21: 1011 – 1053.
3. Карпов ЮА. Ишемическая болезнь сердца в сочетании с артериальной гипертензией: особенности течения и выбор терапии. *Кардиология* 2005; 12: 93–98.
4. Pepine CJ, Kowey PR, Kupfer S, et al. INVEST Investigators. Predictors of adverse outcome among patients with hypertension and coronary artery disease. *J Am Coll Cardiol* 2006; 47: 547–551.
5. Curran MP, McCormack PL, Simpson D. Perindopril. A review of its use in patients with and at risk of developing coronary artery disease. *Drugs* 2006; 66(2): 235–255.

**გულის უკმარისობის სინდრომის მკურნალობის  
თანამედროვე ასპექტები**

**ნ. ოკითაშვილი, ს. გოგოლაძე, ნ. პაპიძე, შ. პაპიძე  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მედიცინის ფაკულტეტი**

გულის უკმარისობა – პროგრესირებადი დაავადება, რომელიც ძირითადად უკავშირდება მარცხენა პარკუჭის დისფუნქციას [1,2]. ევროპაში გულის უკმარისობა მოსახლეობის 0.5-2,5%-ს აღენიშნება. მისი სიხშირე ასაკთან ერთად მკვეთრად მატულობს [3,4]. გულის უკმარისობის მქონე პაციენტთა საშუალო ასაკი 70 წელია [4]. დაავადების პროგრესირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ენდოგენური ნეიროჰორმონული სისტემების – რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემისა და სიმპათიკური ნერვული სისტემის ქრონიკული აქტივაცია. ანგიოტენზინ II, ალდოსტერონი და ნორადრენალინი არა მარტო ზრდიან პარკუჭის ჰემოდინამიკურ დატვირთვას ნატრიუმის შეკავებისა და პერიფერიული ვაზოკონსტრიქციის მეშვეობით, არამედ გულზე უშუალო ტოქსიურ ზემოქმედებასაც ახდენენ. ამ ნეიროჰორმონული ფაქტორების ზემოქმედებით გულის სტრუქტურა და ფუნქცია განუხრელად უარესდება [5,6]. მარცხენა პარკუჭი მზარდ დილატაციას განიცდის და სულ უფრო სფერულ ფორმას იღებს. ამ პროცესს რემოდელირება ეწოდება.

გულის უკმარისობის კლინიკურ სიმპტომებს წარმოადგენს ქოშინი და დაღლა, რაც ზღუდავს დატვირთვის უნარს. სითხის შეკავება პულმონური და/ან პერიფერიული შეშუპების სახით ვლინდება. დაავადების პროგრესირებასთან ერთად კლინიკური სურათი თანდათან მძიმდება და სიმპტომები მოსვენების დროსაც შეიძლება გამოვლინდეს. ყოველი პაციენტი, რომელსაც აღენიშნება გულის უკმარისობის ნიშნები ან სიმპტომები, საჭიროებს შემდეგ ძირითად გამოკვლევებს:

1. ანამნეზი და ფიზიკური გასინჯვა;
2. ელექტროკარდიოგრამა (ეკგ);
3. გულმკერდის რენტგენოგრამა;
4. სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი;
5. სისხლში ელექტროლიტების, შარდოვანას, აზოტის, კრეატინინის, გლუკოზის განსაზღვრა;
6. ღვიძლის ფუნქციური სინჯები;
7. ექოკარდიოგრამა, რაც აუცილებელია გულის შეგუბებითი უკმარისობის ზუსტი დიაგნოზის დასადგენად.

გულის უკმარისობის მკურნალობა უნდა დაიწყოს იმ მიზეზების მოცილებით, რომელიც დაავადების პროგრესირებას უწყობს ხელს, მაგალითად: იშემია, არითმია, არაკონტროლირებადი ჰიპერტენზია, სარქველების დაზიანების პროგრესირება...

გულის უკმარისობის მკურნალობა ორი გზით შეიძლება წარიმართოს. ერთი მხრივ, შესაძლებელია გულის კუმშვადობის სტიმულაცია დადებითი ინოტროპული საშუალებების დახმარებით, ან - გულის განტვირთვა პერიფერიული ვაზოდილატორების მეშვეობით. აღნიშნული მიდგომით შეიძლება ჰემოდინამიკური სარგებლისა და კლინიკური გაუმჯობესების სწრაფი მიღწევა, მაგრამ ამ წამლების ხანგრძლივ გამოყენებას სარგებელი გარანტირებულად არ მოსდევს და, პირიქით, შესაძლოა ავადობისა და სიკვდილობის გაზრდა გამოიწვიოს [7].

მეორე მხრივ, ნეიროჰორმონული ანტაგონისტები (აგპ ინჰიბიტორები, სპირინოლაქტონი და ბეტა-ბლოკერები) დაუყოვნებლივ სიმპტომურ სარგებელს არ იძლევიან და შეიძლება დროებით მისი (მდგომარეობის) გაუარესებაც კი გამოიწვიონ, მაგრამ ხანგრძლივი მკურნალობისას აუმჯობესებენ კლინიკურ სტატუსს და ამცირებენ კარდიოვასკულურ გართულებებს. შესაბამისად, გულის უკმარისობის მქონე პაციენტთა შორის ავადობისა და სიკვდილობის რისკის შემცირების ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს დაავადების განმაპირობებელ ფაქტორებზე ზემოქმედება და არა ჰემოდინამიკური ჩარევა [8,9].

**მკურნალობის ზოგადი პრინციპები:**

1. გულის ახალი დაზიანების რისკის შემცირება:



- ✓ თამბაქოს მოწვევის შეწყვეტა.
- ✓ მსუქანი პაციენტების მიერ წონის დაკლება.
- ✓ ჰიპერტენზიის, ჰიპერლიპიდემიისა და შაქრიანი დიაბეტის კონტროლი.
- ✓ ალკოჰოლის მიღების შეწყვეტა.

## 2. სითხის ბალანსის შენარჩუნება:

- ✓ მარილის მიღების ზომიერი შეზღუდვა (< 3 გ/დღ) და
- ✓ ყოველდღიური აწონვა (წონის ყოველდღიური კონტროლი) სითხის შეკავების ადრეული დადგენის მიზნით.

## 3. ფიზიკური კონდიციის (მდგომარეობის) გაუმჯობესება:

გულის უკმარისობის მქონე პაციენტებმა არ უნდა შეზღუდონ თავიანთი ფიზიკური აქტივობა და მონაწილეობა უნდა მიიღონ ზომიერი ხარისხის ვარჯიშებში, რათა თავიდან აიცილონ ან უკუაქციონ ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების დაქვეითება.

## 4. ანტიკოაგულაციური თერაპია გულის შეგუბებითი უკმარისობის დროს:

ანტიკოაგულაცია ვარფარინით გამართლებულია პაციენტებში, რომელთაც ანამნეზში აღენიშნებოდათ:

- ✓ პაროქსიზმული ან ქრონიკული მოციმციმე არითმია (წინაგულთა ფიბრილაცია);
- ✓ თრომბოემბოლიური გართულება;
- ✓ იდენტიფიცირებული გულშიდა თრომბი.

## 5. ცალკეული პაციენტებისათვის რეკომენდებულია:

- ✓ პარაკეტოლანი რითმის კონტროლი - წინაგულოვანი ფიბრილაციის ან სხვა სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის მქონე პაციენტებისათვის.
- ✓ ანტიკოაგულაცია - წინაგულოვანი ფიბრილაციის (მოციმციმე არითმიის) ან ანამნეზში ემბოლიური ეპიზოდის მქონე პაციენტებისათვის.
- ✓ კორონარული რევასკულარიზაცია - სტენოკარდიის მქონე პაციენტებისათვის.

**ცალკეული ფარმაკოლოგიური ჯგუფებს წარმოადგენს:** შარდმდენები, აგეინჰიბიტორები, ანგიოტენზინის რეცეპტორების ბლოკერები, ჰიდრალაზინი/ნიტრატები, ბეტა-ბლოკერები, დიგოქსინი, სპირინოლაქტონი, კალციუმის არხის ბლოკერები

## Modern Aspects of Heart Failure Treatment

*N. Okitashvili, S. Gogoladze, N. Papidze, Sh. Papidze*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University, the Faculty of Medicine*

Heart Failure is one of the wide spread pathology among the progressive heart diseases. The treatment must be started by affecting the reasons that contribute the progression of the disease.

### ლიტერატურა:

1. Consensus recommendations for the management of chronic heart failure. Am J Cardiol 83: 1A-38A, 1999.
2. Guidelines for the diagnosis and treatment of chronic heart failure. Eur Heart J 22: 1527-60, 2001.
3. ACC/AHA practice guidelines for evaluation and management of chronic heart failure in the adult. J Am Coll Cardiol 38: 2101-13, 2001.
4. McMurray J, Cohen-Solal A, Dietz R, et al. Practical recommendations for heart failure treatment. Eur J Heart Failure 3: 495-502, 2001.
5. Nohria A, Lewis E, Stevenson LW. Medical management of advanced heart failure. JAMA 2002;287:628-40.
6. Maisel AS, Krishaswamy P, Nowak RM, et al. Rapid measurement of B-type natriuretic peptide in the emergency diagnosis of heart failure. N Engl J Med 2002;347:161-7.
7. Cohn JN, Johnson G, Ziesche S, et al. A comparison of enalapril with hydralazine-isosorbide dinitrate in the treatment of chronic congestive heart failure. N Engl J Med 1991;325:303-10.



8. Tsuyuki RT, McKelvie RS, Arnold JM, et al. Acute precipitants of congestive heart failure exacerbations. Arch Intern Med 2001;161:2337-42.
9. Brater DC. Diuretic therapy. N Eng J Med 1998;339:387-95.

## შაქრიანი დიაბეტი და მისი გართულებები

**დ. გოცაძე, ა. მაღრაძე, გ. წითელაშვილი, მ. წითელაშვილი, ჯ. ჭიჭაღუა**  
**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ მედიცინის ფაკულტეტი**

შაქრიანი დიაბეტი სისტემური ჰეტეროგენური დაავადებაა, რომელიც განპირობებულია ინსულინის აბსოლუტური და შედარებითი უკმარისობით, რაც იწვევს ნახშირწყლების ცვლის დარღვევას, შემდეგ კი ირღვევა ყველა სახის ნივთიერებათა ცვლა, რასაც საბოლოოდ მიყვავართ მთელი რიგი ორგანოთა სისტემების დაზიანებამდე.

ამჟამად მსოფლიოში მილიარდ-ნახევრამდე ადამიანს აღენიშნება მეტაბოლური სინდრომი, რომელიც არსებითად პრედიამეტურ და პრეათეროსკლეროზულ მდგომარეობას წარმოადგენს. ევროპის ქვეყნების უმეტესობაში დიაბეტის ყოველწლიური მატება მოსახლეობის ნამატს აჭარბებს. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, შეიძლება დავუშვათ, რომ დადგება დრო, როდესაც ევროპის მთელი მოსახლეობა დიაბეტით დაავადდება. თუმცა მეცნიერთა დაკვირვებით ცხოვრების ჯანსაღ წესს შეუძლია ბევრი რამ შეცვალოს.

დიაბეტის გავრცელებული ფორმებია ტიპი 1, ტიპი 2, გესტაციური და პრეგესტაციური დიაბეტი (გესტაციურია დიაბეტი, როდესაც დაავადების მანიფესტაცია ხდება ორსულობის მიმდინარეობისას, ხოლო პრეგესტაციურს უწოდებენ იმ ფორმას, როდესაც დაავადების მანიფესტირება წინ უსწრებს ორსულების დადგომას).

თანაფარდობა ტიპი 1 და ტიპი 2-ს შორის საბედნიეროდ ტიპი 2-ისკენ იხრება, მასზე შემთხვევათა 90% მოდის.

ტიპი 1 (დიაბეტის ის ფორმა, რომელიც ყველაზე ხშირად ბავშვებში და ახალგაზრდებში გვხვდება, გამოწვეულია იმუნური პროცესების დარღვევით, ან იდიოპათიურია – დაუდგენელი მიზეზებით არის გამოწვეული), ამ დროს ზიანდება და იშლება ინსულინის გამომმუშავებელი უჯრედები და ეს ჰორმონი ორგანიზმისთვის საჭიროზე გაცილებით ნაკლები რაოდენობით, ან სრულიად აღარ პროდუცირდება. რაც სიცოცხლესთან შეუთავსებელ მდგომარეობას ქმნის. ასეთი ავადმყოფები მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩანაცვლებით ჰორმონოთერაპიაზე იმყოფებიან – მუდმივად იღებენ ინსულინს. სხვაგვარად ისინი კეტოაციდოზური კომით იღუპებიან.

ტიპი 2-ის განვითარება უმთავრესად მოწიფულ და ასაკოვან ადამიანებში ხდება. განასხვავებენ მის 2 სახეს:

- I. წამყვანია ორგანიზმის რეზისტენტობა ინსულინის მიმართ, ანუ ორგანიზმს აქვს საკუთარი ინსულინი, მაგრამ მისი მოქმედება დაქვეითებულია, ან სრულიად გამქრალი.
- II. უპირატესია β უჯრედების უკმარისობა. ორგანიზმის რეზისტენტობა ინსულინის მიმართ ნაკლებად არის გამოხატული.

კუნძულოვანი აპარატის სეკრეციის დისფუნქციის რამდენიმე სახე არსებობს. ჩვეულებრივ, ინსულინის სეკრეცია ხდება პერიოდულად, მცირე ტალღებით და აღინიშნება მასის დონის მნიშვნელოვანი მერყეობა. ასეთი 10-20 წუთიანი მერყეობა სისხლში გლუკოზის შემცველობის დაქვეითების ხარჯზე აღადგენს ინსულინის რეცეპტორების მგრძობელობას.

ბოლო დროს ბავშვებშიც მოიმატა ტიპი 2 დიაბეტმა (უმთავრესად ჭარბწონიანობის გამო) და მოზრდილებს შორისაც შეიძლება შეგვხვდეს ტიპი 1, რომელიც ამ ასაკისთვის ტიპიური არ არის, მაგრამ β უჯრედების დაზიანება ახასიათებს. მას მოგვიანებით იუვენული დიაბეტი ეწოდა.

ჰიპერგლიკემია ჭამის შემდეგ ყველა ჯანმრთელ ადამიანს აღენიშნება, ეს ორგანიზმის ფიზიოლოგიური მდგომარეობაა. შაქრის შემცველობა სისხლში ჭამიდან მაქსიმუმ 2საათში ნორმას უბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანი დღე-ღამეში სამჯერ იკვებება 24 საათიდან 6 საათის განმავლობაში მას ფიზიოლოგიური ჰიპერგლიკემია აღენიშნება, დანარჩენი 18 საათის განმავლობაში კი – ნორმოგლიკემია.

დიაბეტის ტიპური და ცნობილი სიმპტომებია პირის სიმშრალე, გაძლიერებული წყურვილის გრძნობა და გახშირებული შარდვა, წონის კლება ნორმალური ან გაძლიერებული მაღის ფონზე. ეს ნიშნები მკვეთრად არის გამოხატული ტიპი 1 დიაბეტით დაავადებულთაში. ტიპი 2-ის შემთხვევაში აღნიშნული სიმპტომები გაცილებით სუსტადაა გამოხატული, ამიტომ მათ ხშირად ყურადღებას არ აქცევენ და ექიმს დაგვიანებით, უკვე გართულებების გამო (კანის ქავილი, ჰიპერტენზია, მხედველობის დაქვეითება) მიმართავენ.

შაქრიანი დიაბეტის დროს მიმდინარე მუანგავი სტრესის განვითარების საფუძველს ქრონიკული ჰიპერგლიკემია წარმოადგენს. შაქრიანი დიაბეტის დროს საგრძნობლად ზიანდება სისხლძარღვები, რის საფუძველზეც ხდება მთელი რიგი ორგანოების ფიზიოლოგიური ნორმიდან გამოსვლა და შემდეგ ფუნქციის მოშლა.

უპირატესად ზიანდება მხედველობის ორგანო (კატარაქტა, გლაუკომა), მაგრამ ყველაზე ხშირი და ვერავი გართულებაა რეტინოპათია. დიაბეტური რეტინოპათიის დროს თვალბუდის ფსკერზე მოთავსებულ სისხლძარღვოვან ქსელში პათოლოგიური ცვლილებები მიმდინარეობს: კაპილარები სკდება და იქიდან სისხლი იწვებს ჟონვას, ჩნდება სისხლჩაქცევები. უყურადღებობის და არაადეკვატური მკურნალობის შემთხვევაში ამგვარ ცვლილებებს მხედველობის დაქვეითებამდე, ან სიბრძავემდე მიყვავართ.

დიაბეტური ტერფი დაავადების სისხლძარღვოვან გართულებებს შორის ერთ-ერთი ლიდერია. ამ დროს ქვედა კიდურის განგრენის ალბათობა მნიშვნელოვნად იმატებს. ზოგიერთი ავტორის მონაცემებით ორჯერაც კი იზრდება, რაც თურმე მთელი 40%-ით ზრდის კიდურის ამპუტაციის რისკს. სპეციალისტები დიაბეტით დაავადებულებს ტერფის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას ურჩევენ.

პათოლოგიური ცვლილებები ნერვულ სისტემაზეც ვრცელდება. ნერვების დაზიანება სხეულის სხვადასხვა ნაწილში მგრძნობელობის დაკარგვას და დაბუჟებას იწვევს, თუმცა გაცილებით ხშირია სხვა ტიპის გამოვლინებები, რომლებიც ადამიანის ხასიათსა და საერთო მდგომარეობაზე აისახება: ყურადღების და მესხიერების დაქვეითება, ახალი ინფორმაციის ათვისების გაძნელება, სწრაფი დაღლა, თავის ყრუ ტკივილები, რომლებიც ემოციური და გონებრივი გადაძაბვის და ძილის დარღვევის დროს ძლიერდება, თავბრუსხვევა. თუ მკურნალობა დროულად არ წარიმართა, პათოლოგიური ცვლილებები ღრმავდება და ინვალიდობას იწვევს. ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია მედიკამენტური მკურნალობა.

შაქრიანი დიაბეტის დროს ხშირად ზიანდება თირკმელები. ამ დროს სისხლი ჯეროვნად ვეღარ იწმინდება და ორგანიზმში საჭიროზე მეტი რაოდენობით სითხე კავდება, რაც იწვევს შეშუპებას. თირკმელების დაზიანებას არც თუ იშვიათად თან ახლავს არტერიული წნევის მატება, ამიტომ ამ დროს წნევის კონტროლს დიდი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ უფრო საშიში და ადრეული გართულებებია პიკოგლიკემიური და ჰიპერგლიკემიური დიაბეტური კომა.

ტიპი 2 დიაბეტის შემთხვევაში დაავადებულთა 80%-ს აღენიშნება ჭარბი წონა ან სიმსუქნე, რაც ინსულინის ბიოლოგიური ეფექტების დაქვეითებას იწვევს. დღეს ერთობ აქტუალურია მეტაბოლური სინდრომი - პრედიაბეტური და პრეათეროსკლეროზული მდგომარეობა, ინსულინრეზისტენტობა, რაზეც ინსულინის წარმოქმნელი β უჯრედები ინსულინის ჭარბი სეკრეციით პასუხობენ.

ტიპი 2 დიაბეტისა და მეტაბოლური სინდრომის მქონე ადამიანები ნაკლებად დისციპლინირებულები არიან, ვერ ელევინ ცხოვრების ჩვეულ წესს. შემდეგ მათ უვითარდებათ ნახშირწყლების ცვლის მოშლა. ამ ეტაპზე დაავადებების უკუგანვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაშინ როდესაც მეტაბოლური სინდრომის მკურნალობით შეიძლება დიაბეტისა და ათეროსკლეროზის თავიდან აცილება.

ვის ემუქრება დიაბეტი?

1. ქალები, რომლებსაც დიდი ზომის და წონის შვილები ებადებათ (მაგრამ არა თვით შვილები).
2. ბავშვები, რომელთა დედა, მამა ან ორივე მშობელი დიაბეტით არის დაავადებული.
3. ჭარბწონიანი ადამიანები.

რაც შეეხება ტკბილეულის გადამეტებულ მიღებას – თუ β უჯრედები ჯანმრთელია, ტკბილეულის მიღება ნახშირწყლოვან ცვლას არ არღვევს, მაგრამ ბევრი ტკბილეული ხელს უწყობს ჭარბი წონისა და სიმსუქნის ჩამოყალიბებას, სიმსუქნე კი დიაბეტის აღმოცენების ალბათობას ზრდის. თუ რისკ ფაქტორი მაგ.: მეტაბოლური სინდრომი, იმთავითვე არსებობს უმჯობესია შეიზღუდოს ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლები: შაქარი, გლუკოზა, ლეღვი, ფუნთუშეული, თეთრი პური, ღომი და სხვა.

ფართოდ უნდა დაინერგოს კვების ჯანსაღი რეჟიმი, რაც ნიშნავს, განისაზღვროს საკვების დროული და ზომიერი მიღება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ აქტიუობასაც, რომელსაც ყველა ზომიერად უნდა მისდევდეს. ამერიკასა და შვედეთში ამ საკითხის შესასწავლად ექსპერიმენტი ჩატარდა: ტიპი 2 დიაბეტის რისკ ჯგუფს დაუნიშნეს დიეტა; შეზღუდული კალორაჟით და ოდნავ გაუზარდეს ფიზიკური აქტიუობა - დღეში მოითხოვეს ოცდაათწუთიანი სიარული. შედეგად ამ ჯგუფში საკონტროლოსთან შედარებით 58%-ით შემცირდა დიაბეტის განვითარების ალბათობა.

დიაბეტი და ცხოვრების ხარისხი – აქვეითებს თუ არა დიაბეტი ადამიანის ცხოვრების ხარისხს?

ცნობილია, რომ ამერიკის პროფესიონალ კალათბურთელთა ნაციონალური ასოციაციის ზოგიერთ მოთამაშეს აქვს დიაბეტი ტიპი 1; ერთ-ერთი მსოფლიო ჩემპიონი ცურვაში ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტით არის დაავადებული; ამრიგად ადექვატური მართვის და კონტროლისას ცხოვრების ხარისხი პრაქტიკულად უცვლელი რჩება.

ინსულინის ეპოქამდე დიაბეტის გვიანი გართულებების შესახებ არავინ არაფერი იცოდა, ცნობილი იყო მხოლოდ მწვავე გართულებები – ჰიპოგლიკემიური და კეტოაციდოზური კომა. ინსულინთან ერთად ტაბლეტოთერაპიის შემოღებამ დიაბეტით დაავადებული ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა საგრძნობლად გაზარდა, რის გამოც დღეს ხშირად გვხვდება გვიანი გართულებები: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ინსულტი, ათეროსკლეროზი, ჰიპერტენზია, რეტინოპათია, დიაბეტური ნეფროპათია, დეპრესიული სინდრომი.

დიაბეტის მკურნალობისადმი თანამედროვე მიდგომა: ევროპის მრავალ ქვეყანაში პირველი თაობის სულფანილმარდოვანას პრეპარატებს აღარ იყენებენ. წამყვანი ადგილი ახალი თაობის სულფანილმარდოვანას პრეპარატებს უჭირავს.

▶ დიაბეტით დაავადებულთა რიცხვა მთელი მსოფლიოში 246 მილიონს მიაღწია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი 2025 წლისათვის 380 მილიონამდე გაიზრდება.

▶ 2007 წელს დიაბეტით დაავადებულების ყველაზე მეტი შემთხვევა აღირიცხა 5 ქვეყანაში:

- ინდოეთში – 40,9 მილიონი
- ჩინეთში – 39,8 მილიონი
- აშშ-ში – 19,2 მილიონი
- რუსეთში – 9,6 მილიონი
- გერმანიაში – 7,4 მილიონი

▶ ყოველწლიურად დიაბეტის 7 მილიონი ახალი შემთხვევა ფიქსირდება.

▶ ყოველწლიურად 3,8 მილიონი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი არის დიაბეტი. მათი უმრავლესობა გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიებით იღუპება, ეს უკანასნელი კი დიაბეტის ფონზეა ჩამოყალიბებული.

▶ ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე ადამიანებს ორჯერ უფრო ხშირად ემართებათ ინფარქტი და ინსულტი, ვიდრე ამ დაავადების არ მქონე პირებს.

▶ ყოველ 10წამში 2 ადამიანი დიაბეტით ხდება ავად, ხოლო ერთი ამ დაავადების გართულებათა შედეგად იღუპება.

▶ მსოფლიოში დიაბეტით დაავადებულთა ნახევარმა არ იცის, რომ ავად არის. ზოგიერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 80%-საც კი აღწევს.

- ▶ მსოფლიოში 2,5 მილიონ ადამიანს აღენიშნება დიაბეტური რეტინოპათია.
- ▶ ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის პრევენცია ასიდან 80 შემთხვევაში საესებით შესაძლებელია ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვით, რაც უმთავრესად კვებასა და ადექვატურ ფიზიკურ აქტივობას გულისხმობს.

### Diabetes Mellitus and Its Complications

*D. Gotsadze, A. Magradze, G. Tsitelashvili, M. Tsitelashvili, J. Chichaghua*  
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University, the Faculty of Medicine*

Statistic data about the prevalence of diabetes in Georgia among the general population is 7.3%, in numbers it is more than 300 000 if it is considered that the total population is about 5 million. Mentioned above figures may not be rigorous and we can consider that factual numbers can be higher even above 11% to 12%.

The distinguished forms of diabetes are type I, type II Gestation and Pregestation.

An individual who has a diabetic ailment has to change the lifestyle according or against his will: Patient has to control the timetable of the medicine treatment, has to follow up the exclusively designed diet, watch after the types of physical loading and etc.

Based on the information given above life with the “sweetest disease” is not easy, but after the invention of the innovative tools and remedies for the treatment of diabetes, it became less problematic pathology.

#### ლიტერატურა:

1. American Diabetes Association: Implications of the Diabetes Control and Complication Trial. *Diabetes Care* 16:1517-1520, 1993.
2. American Diabetes Association: Report of the Expert Committee on the Diagnosis and Classification of Diabetes Mellitus. *Diabetes Care* 20:1187-1196. 1997.
3. Reaven G: Role of the resistance in human disease. *Diabetes* 37:1595-1607, 1988.
4. Holleman F, Hoekstra JB: Insulin Lispro. *N Engl J Med* 337:176-183, 1997.
5. И.И. Дедов, Б.А. Мельниченко, В.В. Фадеев, Эндокринология. Москва, “Медицина” 2002г. стр. 423-515.

### ნიკო ჯანდიერი

ექვნება თსსუ-ს შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის  
დეაწმოსილი, კლინიცისტ-ინტერნისტის,  
დოცენტ ლილი სასწრაფოშვილის საიუბილეო თარიღს



*ხ. პაჭკორია, თ. გოგიბერიძე, ა. ისაკაძე, ე. ადამია, ნ. დიხაშინჯია, ნ. კეკელიძე*  
**თსსუ ცენტრალური კლინიკა, შინაგანი მედიცინის  
დეპარტამენტი**

შესრულდა 135 წელი ლეგენდური დიდკურნალის და სასიქადულო მამულიშვილის ნიკო ჯანდიერის დაბადებიდან.

ნიკო ჯანდიერი დაიბადა 1873 წლის 24 ნოემბერს, ქალაქ ზაქათალაში თავად ალექსანდრე ზაალის-ძე ჯანდიერის ოჯახში. ოფიცერი ალ. ჯანდიერი განაგებდა სიღნაღის საყარაულო ასეულს, რომელიც იმხანად ზაქათალაში იყო დისლოცირებული. მალე ჯანდიერების ოჯახი ისევ სიღნაღში დაბრუნდა. ოჯახური სიამტკბილობა მოშალა ნიკოს დედის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. ნიკო მაშინ 7 წლისა იყო და მასთან ერთად 3 და-ძმაც დაობლდა. მამამ მეორე ცოლი არ შეირთო და მთელი გულისყური ბავშვების აღზრდაზე გადაიტანა. დაობლებული ბავშვების აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვოდა დედის ძმას – დავით აბელიშვილს, და მის მეუღლეს ეკატერინეს. მათ მშობლიური სითბო და ყურადღება არ მოაკლეს ობლებს.

1880 წელს ნიკო და მისი ძმა კოტე ჯანდიერი სასწავლებლად მიაბარეს სიღნაღის 4-წლიანი სკოლის I მოსამზადებელ კლასში. I წლის შემდეგ ძმების გზები გაიყარა: კოტე მიიღეს სამხედრო ტოპოგრაფიულ სასწავლებელში, ხოლო ნიკო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. აქ ის დაუმეგობრდა ივანე ჯავახიშვილს, კოტე ელიოზიშვილს, ბორის გამრეკელს და სხვებს. ნიკო ხშირად დადიოდა ბიძაშვილის, კოტე მარჯანიშვილის ოჯახში. კოტეს დედის ელისაბედ მარჯანიშვილის სალონში ხშირად იკრიბებოდნენ დიდი მამულიშვილები – აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვები. ნიკო ჯანდიერი თავის განუყრელ მეგობარ კოტე ელიოზიშვილთან ერთად ესწრებოდა სათავადაზნაურო კრებებს. ნიკო დიდი ყურადღებით უსმენდა ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის სწორუპოვარი ქართულით წარმოთქმულ ბრწყინვალე სიტყვებს. 1894 წელს ნიკო ჯანდიერმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. მისი და კოტე ელიოზიშვილის სურვილი იყო ექიმობა. სამწუხაროდ სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდების ოცნებებს ფრთები ეკვეცებოდა ოჯახების ხელმოკლეობის გამო. მათ თხოვნით მიმართეს თბილისის სადავადაზნაურო ბანკის კრებას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. როცა კრებას მოახსენეს გიმნაზიის კურსდამთავრებულთა განცხადების შინაარსი, წამოდგა ერთი თავადი და ბრძანა: საჭირო არ არის ამ ახალგაზრდების გაგზავნა რუსეთში სასწავლებლად. გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების დიპლომი სრულიად საკმარისია, რომ მისმა პატრონმა რიგიანი სამსახური იშოვისო და რუსეთის მეფე-იმპერატორს რიგიანად ემსახუროსო. უნივერსიტეტები მხოლოდ რევოლუციონერებს და ქვეყნის ძირგამომთხრელებს ამზადებსო. ჩვენი ბანკის სტიპენდიით ხელი არ შეუწყობთ მემბოხე და მეფის მოღალატე რევოლუციონერების მომზადებასო. სამწუხაროდ ამ მონარქისტ თავადს მრავალი მომხრე გამოუჩნდა. ისინი კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ ბანკის სტიპენდიით 2 ახალგაზრდა რუსეთის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაეგზავნათ. მოულოდნელად ილია ჭავჭავაძე გამოექცა ახალგაზრდებს: “ამ ყმაწვილების რევოლუციონერობისა ნუ შეგეშინდებათ, ეს სენი ჩვენც მოგვიხდია; რაც შეეხება ძირგამოთხრას, თუ ისინი დახავესებულ ადათ-წესებს ამოძირკვავენ, ბარაქალა მათ. ეს ახალგაზრდები თურმე ექიმობას აპირებენ. ჩვენი ჯანმრთელობა რა სავალალო დღეშია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ხალხს ყველაზე მეტად ექიმები ესაჭიროება. წინადადება შემომაქვს ამ ყმაწვილებს ბანკმა თვეში 2-2 თუმანი გამოუყოს. ილიას წინადადება ერთხმად მიიღეს: ნიკო ჯანდიერი ხარკოვში გაემგზავრა, ხოლო კოტე ელიოზიშვილი მოსკოვში.

ნიკო ჯანდიერი 1894 წლის სექტემბერში ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. ის ბეჯითად შეუდგა სწავლას და ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი გახდა. 1898 წელს ნიკო ნათესავმა და სიყრმისდროინდელმა მეგობარმა კოტე მარჯანიშვილმა ინახულა. კოტე ნესტეროვის ცნობილ თეატრალურ დასს ჩამოჰყვა გასტროლებზე. მეგობრებმა გაიხარეს შეხვედრით. ბევრი ტკბილი დრო გაიხსენეს, მათ ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ სამშობლოს კეთილდღეობაზე იზრუნებდნენ, მთელ ძალღონეს მოახმარდნენ მამულის სამსახურს. კოტე ქართულ თეატრს შექმნიდა, ხოლო ნიკო სოფლის ექიმად წავიდოდა, მაღარიით და სიღარიბით გაწამებული ქართველი ხალხის ხვედრის შემსუბუქებას შეაღვედა ძალღონეს.

1899 წლის დეკემბერში ნიკო ჯანდიერმა წარჩინებით დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. ქირურგიის კათედრის პროფესორის ორლოვის წარდგინებით კლინიკაში დატოვეს მცირე ქირურგიის კაბინეტის გამგედ. მის წინ იმლებოდა სამეცნიერო-აკადემიური კარიერის თვალწარმტაცი პერსპექტივები. ნიკომ უარი თქვა აკადემიურ კარიერაზე და კოტე მარჯანიშვილთან დადებული “ფიცის” შესრულებას შეუდგა: ჯერ კიდევ ბოლო სემესტრის სტუდენტი იყო ნ. ჯანდიერი, როცა მან წერილი გამოუგზავნა თბილისის გუბერნიის ექიმ ტიტე ქორიძეს და თბილისის მაშინდელ მოურავს – მის ნათესავ ლევან ჯანდიერს. ის ითხოვდა ექიმის ადგილს სოფლად. ყველას უკვირდა ნიკოს გადაწყვეტილება, მაგრამ მისი დანიშვნა ამ ყველაზე მოკრძალებულ თანამდებობაზეც მეტად გაძნელდა. ეს იყო ცარიზმის ვერაგული პოლიტიკა: ქართველისათვის თანამდებობა უნდა მიეცათ მხოლოდ რუსეთის შორეულ გუბერნიაში და არა საქართველოში, სამაგიეროდ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში ექიმის თანამდებობებს, როგორც წესი არაქართველ ესკულაპებს აძლევდნენ. დაღონებული ნიკო იძულებული იყო 3 თვე დარჩენილიყო პროფესორ ორლოვის კლინიკაში, სადაც მან ფრიად ნაყოფიერად იმუშავა და აითვისა ამბულატორიული ქირურგიის ტექნიკა, რაც მას შემდგომ ძალიან გამოადგა სოფლად მუშაობის დროს. 1900 წლის 20 აგვისტოს მოუვიდა თბილისის გუბერნიის ექიმ ტიტე ქორიძის ნანატრი დეკემა. როგორც იქნა გუბერნატორმა “მოწყალებდ ნება დართო” თავადი ნიკო ჯანდიერი დაენიშნათ სოფელ ველისციხის ქსენონის გამგედ. გახარებული ნიკო სწრაფად გამოეშურა სამშობლოში და ჩამოსვლისთანავე ეწვია მის მოამაგეს, ექიმ ტიტე ქიქოძეს. აქ მას დახვდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ცხვედაძე, რომელიც შეწუხებული იყო ილია ჭავჭავაძის ავადმყოფობით. ძლიერი სიცხეების გამო თბილისელი ექიმების უმრავლესობა გასული იყო ქალაქიდან და სოფელ-აგარაკებს შეხიზნოდა. ნიკო ცხვედაძეს ვერ ეპოვნა ნაცნობი ექიმი, რათა ავადმყოფ პოეტთან მიეყვანა საგურამოში. ახალგაზრდა ექიმმა ნიკო ჯანდიერმა სურვილი გამოთქვა გაეწია სამედიცინო დახმარება დიდი მამულიშვილისათვის. მან გულდასმით გასინჯა ილია, რომლის გულს გადატვირთვა, გვირგვინოვანი სისხლძარღვების სკლეროზი და უკმარისობა შეჰპარვოდა. ახალგაზრდა ექიმმა თავის სახელოვან პაციენტს აუხსნა, რომ ის გონებრივად და ფიზიკურად გადღლილია. ურჩია დაესვენა და მტკიცედ დაეცვა სამკურნალო რეჟიმი. გამოუწერა წამალი, რომელმაც დადებითად იმოქმედა. იმ დროს თბილისში ჩამოსულა კიეველი თერაპევტი პროფესორი ვაგნერი, რომელმაც გასინჯა რა ილია ჭავჭავაძე, მეტად კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდა ექიმის ზუსტი დიაგნოზით და რაც მთავარია დანიშნულებით. პროფესორმა ვაგნერმა ილიას ურჩია გამგზავრებულიყო ბერლინში, შარიტეს კლინიკაში, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკის ინტერნისტთან ერნსტ ლაიდენთან. ცნობილი მრეწველის და ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის დახმარებით ილია ჩავიდა ბერლინის შარიტეს კლინიკაში, სადაც ერნსტ ლაიდენმა მოიწონა ნიკო ჯანდიერის სამკურნალო დანიშნულება. ბერლინიდან დაბრუნებულმა პოეტმა ძალიან გაიხარა, როცა შეიტყო, რომ მისი მკურნალი ნიკო ჯანდიერი თურმე მისი ბანკის სტიპენდიანტი ყოფილა. ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერა, რომ არა, მას არ ეღირსებოდა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტობა. მათ შორის დიდი ურთიერთპატივისცემა დამკვიდრდა. ნიკო ჯანდიერი ილიას დაახლოებულ ექიმად იქცა.

ნიკო ჯანდიერმა ენერგიულად დაიწყო მუშაობა ველისციხის ქსენონში. ავადმყოფები მოაწყდნენ არა მარტო ამ სოფლიდან, არამედ სხვა მაზრებიდან და თბილისიდანაც კი! საშუალოდ დღეში იღებდა 47 ავადმყოფს. ამავე დროს ის ზრუნავდა სოფლის წყალმომარაგებაზე და სანიტარულ მდგომარეობაზე. 1902 წელს ნიკო გაჰყვა მძიმე ავადმყოფ მწერალ ქალს, ანასტასია ერისთავ-ხომტარიას – ბერლინსა და ვენაში. აქ მან 3 თვე

დაპყრო, გაეცნო მსოფლიოში ცნობილ ქირურგების ბერგმანის და აიზელბერგის ქირურგიულ კლინიკებს. დახელოვნდა ოპერაციულ ტექნიკაში, ავადმყოფების პროსტოპერაციულ მოვლაში და სხვა. ნიკო ჯანდიერი მუშაობდა აგრეთვე ვენის ცნობილ თერაპიულ კლინიკებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ დიდი ინტერნისტები ნოტნაგელი და ოზერი. მრავალმხრივი ცოდნით გამდიდრებული ახალგაზრდა ექიმი ბრუნდება ვეილსციხეში, სადაც მას მოუთმენლად ელოდნენ მრავალრიცხოვანი ავადმყოფები მთელი კახეთიდან და თბილისიდან. 1904 წლის 20 მაისს ნიკო ჯანდიერს ნიშნავენ სიღნაღის მაზრის ექიმად. ეს იყო მეტად მძიმე თანამდებობა. მაშინდელი სიღნაღის მაზრა აღემატებოდა თელავისას და იქ ცხოვრობდა 104 ათასი ადამიანი. მაზრის ექიმი უნდა მომსახურებოდა 74 დასახლებულ პუნქტს (სოფლებსა და დაბებს) ამ უზარმაზარი მაზრის საექიმო მომსახურებისთვის ნიკო ჯანდიერს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამი ეტლი გამოუყო. მეეტლეები რიგ-რიგობით მუშაობდნენ. ნიკო კი შეუსვენებლად ყოველდღე – მას დასვენება არ ეწერა – დღისით თუ ღამით, დარსა თუ ავდარში, უჭირდა თუ უღხინდა, ექიმში ჯანდიერი მზად უნდა ყოფილიყო მძიმე ავადმყოფებთან გამოძახებისათვის. პროფ. ალექსანდრე გზირიშვილის მოგონებებიდან – (1968 წელი) ნიკო ჯანდიერს ახასიათებდა ავადმყოფის მოსმენის საკვირველი უნარი. ის ხშირად დიაგნოზს ანამნეზის შეკრებისთანავე სვამდა. ნიკო ჯანდიერის დიაგნოზს წყალი არ გაუვიდოდა, მკურნალობაც სწორი და შედეგიანი იცოდა. მიდგომაც შესანიშნავი ჰქონდა (პროფ. დავით აგლაძე 1978 წელი).

ხალხში ნიკო ჯანდიერის სამკურნალო ძალის რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ მისი მოსვლის შეტყობისას ავადმყოფი უკვე უკეთ ხდებოდა. მას ავადმყოფისათვის უბრალო წყალიც, რომ მიეცა და ეთქვა “წამალიაო” უთუოდ მოარჩენდა იმდენად სწამდა ხალხს მისი წამლის ძალა (თ. ვაჩნაძე 1978 წ.). ნიკო ჯანდიერს გასაოცარი მესხიერება ჰქონდა. მას ახსოვდა ყველა თავისი ავადმყოფი, იცოდა მათი ცხოვრება, დინჯად მოუსმენდა მის დიდ თუ მცირე სათქმელს, თანაგრძნობით და გულთბილი რჩევით ბევრი სულიერი ტრავმა განუკურნავს და ხორციელი სატკივარიცა (თ. ვაჩნაძე).

ქიზიყმა უსაზღვროდ შეიყვარა ექიმი ჯანდიერი და მას “პატარა ქრისტე” შეარქვა. აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი (1974 წელი) იგონებდა: ნიკო ჯანდიერს ხალხში დიდი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა, ხშირად გამიგონია ხალხში – “ჩვენი კარგი ექიმი და ტკბილი მკურნალი”. იგი იყო არამარტო მცოდნე და გამოცდილი მკურნალი, არამედ გახლდათ ავადმყოფის დამრიგებელი, მეგობარი და მასზე მზრუნველი. “ნიკო ჯანდიერს ავადმყოფის გულდასმით გასინჯვა უყვარდა, ავლენდა ღრმა ცოდნას და მრავალწლიან გამოცდილებას. არ ერიდებოდა კონსულტაციებს. ძალიან უყვარდა მედიცინის ყველა დარგის ექიმებთან შეხვედრა. მეტად კარგად ერკვეოდა ფარმაკოლოგიაში (პროფ. ა. რატიშვილი 1974 წელი).

ნიკო ჯანდიერი მრავალპროფილური ექიმი იყო, ის ბინაზეც ხშირად აკეთებდა ქირურგიულ ოპერაციებს (უმეტესად ტრავმის შედეგად). მრავალჯერ ჩაუტარებია საკეისრო კვეთა ბინაზე, მაგრამ როგორც თვითონ ამბობდა არ უყვარდა “სხვის ეტლში ჩაჯდომა”. ხშირად ის ქირურგიული პროფილის ავადმყოფს თავისი ეტლით ჩაიყვანდა თბილისში, გრიგოლ მუხაძის კლინიკაში. სანამ ავადმყოფი არ გამოჯანმრთელდებოდა, მანამდე ნიკო ჯანდიერი მას თავზე ადგა (თ. ვაჩნაძე).

მან თავი გამოიჩინა, როგორც საუკეთესო ორგანიზატორმა. სიღნაღის მაზრაში მან გახსნა აფთიაქები, საავადმყოფოები, ამბულატორიები. მან ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტერთან გახსნა 4 საწოლიანი საავადმყოფო. მან მონაზვნების წინამძღვარ დედა მოტიას შეასწავლა ფერწელობა. თვით ნიკო ყოველკვირაობით აკითხავდა ამ პაწაწინა საავადმყოფოს, ყურადღებას არ აკლებდა ავადმყოფებს.

ნიკო ჯანდიერი შეთავსებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტი და სამხედრო უწყების ექიმიც იყო. მას ხშირად დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონდა მაზრის ადმინისტრაციასთან, მექრთამე მოხელეებთან. ჩინოვნიკები ქრთამის აღების შემდეგ უბრძანებდნენ “დოხტურ” არაქართველი მდიდარი ვაჭრების და მევახშეების ჯანმრთელი მუტრუკები “ჯარში გაწვევისაგან დაეხსნა” და ავადმყოფობის ყალბი ცნობა გაეცა. კეთილსინდისიერი ექიმი არ ეპუებოდა ადმინისტრაციის მექრთამე ჩინოვნიკებს და ასეთ “ცრუ ავადმყოფებს” თბილისში სამხედრო ჰოსპიტალში აგზავნიდა. ნიკო ჯანდიერის წინასწარი დიაგნოზი არასდროს შეუცვლიათ თბილისის საგუბერნიო სამხედრო სამედიცინო ჰოსპიტალში. ნიკო შეღავათებს, მხოლოდ აბიტურიენტ წვევამდელებს თუ გაუწევდა.



**ნიკო ჯანდიერის საზოგადოებრივი მოღვაწეობა**

ნიკო ჯანდიერი თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: როგორც ქართველი ინტელიგენტი და მოქალაქე ყოველ საზოგადო საქმეში დიდის მოწადინებით და დაუღალავი ენერგიით ემონაწილეობდი. არ ვერიდებოდი, არც დაღლას, არც საკუთარი თანხის გაღებას იმ საქმისათვის, რომელიც ჩემი აზრით სასარგებლო და საჭირო იყო ჩვენი საზოგადოებისათვის. სინდისისათვის არ მიმტყუნია და მხოლოდ ადამიანის სიყვარული და მისი კეთილდღეობის სურვილი მამოძრავებდა და შეადგენდა მიზანს ჩემი სიცოცხლისა;

ნიკო ჯანდიერმა სიღნაღში დაარსა ღარიბთა დამხმარე საზოგადოება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ჭლექთან ბრძოლის საზოგადოება, რომელთა თავმჯდომარე თავად იყო.

ნიკო ჯანდიერის თაოსნობით სიღნაღში პირველად გაიხსნა წიგნის მაღაზია, ბიბლიოთეკა, წმინდა მარინეს სახელობის საქალეო სასწავლებელი, რომელიც შემდეგ პროგიმნაზიად გადაკეთდა, ასევე ვაჟთა სასწავლებელიც. ამ მამულიშიღღურ საქმეში ნიკო ჯანდიერს ხელს უშლიდნენ კავკასიის განათლების მზრუნველი ნიკოლაი რუდოლფი, სიღნაღის ქალაქის თავი ენიკოლოპოვი და ადგილობრივი არაქართველი ვაჭარ-მევახშენი.

ნიკო ჯანდიერს საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდი დახმარებას უწევდა მეუღლე – მარიამ ზაქარიას ასული ქობულაშვილი (ნიკომ თავადის ასული შერთო 1909წ. იყო უცხოენების უბადლო მცოდნე, თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული. მათ შექმნეს ტკბილი ქართული მრავალშვილიანი ოჯახი).

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკო ჯანდიერს ქიზიყის არაქართველი მოღვაწის ჩარჩ-ვაჭრებთან და მევახშეებთან ბრძოლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ არაქართველ უცხოტომელებს მევახშეობის ვალში გახვეული ჰყავდა კახეთის მოსახლეობის უმრავლესობა. ქიზიყელები, მათი მცირერიცხოვანი ინტელიგენციის მეთაურობით არ შეურიგდა ასეთ დაკაბალებას და შეეცადა მისგან თავის დაღწევას. მათ ქვემო მაჩხაანში სავაჭრო დეპო გახსნეს, სადაც იაფად იყიდებოდა გლეხებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ფართელეულობა, სხვადასხვა წვრილმანი საქონელი. ეს არ ეჭაშნიკათ ადგილობრივ არაქართველ ვაჭარ-მევახშეებს და ქართველების მსგავსად ისეთივე დუქნები გახსნეს, ოღონდ ეშმაკურად ფასდაკლებით. სამწუხაროდ ქართველი მოსახლეობა წამოეგო უცხოტომელთა ანკესს და “იაფი” საქონლის გასაღებით ხელი შეუწევს ქართველთა სავაჭრო დეპოს გაკოტრებას. ვერაგი უცხოტომელები სიხარულს ვერ მაღაუდნენ და ქართველებს ხმამაღლა დასცინოდნენ – “გიჟ ვრაცუებს” ეძახდნენ.

ნიკო ჯანდიერი გულისტკივილით შეჰყურებდა გადამთიელი ვაჭარ-მევახშეების აღვირახსნილ პარპაშს სიღნაღის მაზრაში. მისი თაოსნობით შეძლებულმა ქართველებმა შეაგროვეს თანხა და დაარსეს საკრედიტო ბანკი, სადაც ყოველ ქართველს შეეძლო შეღავათიან ფასებში აეღო სესხი (კრედიტი). ამან საშუალება მისცა ქართველობას შეეძინა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, შხამ-ქიმიკატები, და მრავალი წვრილმანი თუ მსხვილმანი საქონელი, რაც გლეხებს დასჭირდებოდა. ამ ბანკის გახსნამ ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა, ქიზიყელ გლეხთა სასარგებლოთ: გაუმჯობესდა მევენახეობა, მეცხოველეობა, მეთამბაქოება, აიგო სახლები, თბილისში აშენდა თამბაქოს ფაბრიკა “ქიზიყი”. მოკლედ ქართველმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ამან უცხოტომელ ვაჭარ-მევახშეთა გაბოროტება გამოიწვია. მათ ხელიდან ეცლებოდა სხვადასხვა ხრიკებით შეძენილი ქონება. გახშირდა დაბეზღებები ადგილობრივ და ტფილისის ადმინისტრაციაში. მთავარი სამიზნე იყო ექიმი ჯანდიერი. აღსანიშნავია, რომ ჩარჩ-ვაჭრების უმრავლესობა ნიკოსაგან, როგორც მკურნალისგან დავალებულნი იყვნენ, რადგან მან ბევრი მათგანის სიცოცხლეც გადაურჩინა: ნიკო ჯანდიერს სთავაზობდნენ დიდძალ თანხას, რომ სიღნაღს გაცლოდა, მაგრამ ის არ შეეპუა ადგილობრივ ბოზოლების მუქარებს. მან შექმნა შირაქის მეცხვარე-მესაქონლეთა საზოგადოება “მწყემსი”, რომელსაც შეღავათიან სესხს აძლევდა საკრედიტო ბანკი. ნიკო მონაწილეობდა კახეთის რკინიგზის მშენებლობაში. ნიკო ჯანდიერს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქიზიყის და შირაქის დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილების საქმეში. ცარიზმა ისარგებლა რა ქართველი თავად-აზნაურების ბედოვლათობით და უნიათობით, ხელში ჩაიგდო უზარმაზარი სავარგულები შირაქში, ალაზნის პირას. მეფის მოხელეებმა თავხედურად, ქართველ წინაპართა სისხლით გაპოხილი მიწები მიითვისეს

და “საუდლოდ” გამოაცხადეს. ისინი გადამთიელებს იწვევდნენ რუსეთიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან და თითქმის მუქთად აძლევდნენ საუკეთესო, ნაყოფიერ მიწებს. უმიწაწყო ქართველებს კი უარით ისტუმრებდნენ. მეფის მთავრობა ფარისევლურად აცხადებდა, რომ კერძო საკუთრება “წმინდაა და ხელშეუხებელი”. ქართველ ხალხს სამუდამოდ ეკარგებოდა მამა-პაპათა სისხლით გაპოხილი მიწები. უცხოტომელების სამუდამო დამკვიდრებას და ქართველთა ამოძირკვას თითქოსდა წინ ვერაფერი აღუდგებოდა. ამ გამოუწავლ მდგომარეობაში ნიკო ჯანდიერმა და ვაჟა-ფშაველამ დიდი გამჭრიახობა გამოავლინეს. მათ დაიწყეს თავად-აზნაურებთან კარდაკარ შემოვლა. მიაგნეს კერძო საკუთრების დამადასტურებელ ძველ სიგელ-გუჯრებს, რაც მეფე ერეკლე II-ს გაუცია კახელი თავადებისთვის და თუშ-ფშავე-ხევსურებისათვის სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის. ამით გახარებულმა ნიკო ჯანდიერმა და ვაჟა-ფშაველამ სასამართლოში უჩივლეს “საუდლო სამმართველოს” და პროცესი მოიგეს. ცარიზმის მექრთამე ჩინოვნიკები იძულებული გახდნენ შერიგებოდნენ ალაზნისპირა და შირაქის ველების მიწა-წყლის დაკარგვას; ამრიგად კახეთის თავადებმა ანდრონიკაშვილებმა, ვაჩნაძეებმა, ჯანდიერებმა და სხვებმა ნიკოს გამჭრიახობით დაიბრუნეს დაკარგული მიწები. სამწუხაროდ საქციოდ საღერღელაშლილი ეს მემამულეები მზად იყვნენ ჩალისფასად მიეყიდათ მამული უცხოელი ვაჭრებისათვის. ამ გამოუწავლ მდგომარეობაშიც ისევ ნიკო ჯანდიერმა იმარჯვა, მან საკრედიტო ბანკიდან მცირედი თანხა გამოუყო უმიწაწყო ქიზიყელებსა და იმერლებს, რომლებმაც მოქიფვე თავადებისგან იაფად შეიძინეს მიწა-წყალი. ნიკომ თავის დანაზოგიდანაც შეიძინა ადგილ-მამულეები ბედოვლათი თავად-აზნაურებისგან და ძალიან იაფად მიჰყიდა უმიწაწყო ქართველ გლეხებს. ამ წამგებიანი “კომერციის” შესახებ ნიკო ჯანდიერს შეეკითხა მისი ბიოგრაფი თამარ ვაჩნაძე – ნიკომ უპასუხა: ვყიდულობდი თავადების მიწას, რათა ის უცხოტომელებს არ ჩავარდნოდა ხელში. უცხოტომელი ვაჭარი ქართველ გლეხს მიწას არ დაანებებდა და თუ გაჰყიდდა მამა-სისხლად! გლეხს მიწა უჭირდა, ვერ შეიძენდა, იჯარაც ბევრად უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე ჩემგან მიწის ყიდვა. უმიწაწყოლად გლეხი კი ვერ გაჩერდებოდა და ბოგანოდ გცეული ქალაქს შეეხიზნებოდა, ან რუსეთში გაიქცეოდა. ქიზიყი ქართველებისაგან დაიცვებოდა. კი მაგრამ, ბატონო ნიკო, ბარემ გაჩუქებინათ თქვენი ნაყიდი მიწები გლეხებისთვის – ისინი განა უფრო მაღლიერები არ დარჩებოდნენ – შეეკითხა ბიოგრაფი თ. ვაჩნაძე დიდ მამულიშვილს. არა! მიუგო ნიკომ – ნაჩუქარი ასე ტკბილი არ არის, როგორც საკუთარი შრომით შეძენილი და მათ ბევრი მოშურნეებიც გამოუჩნდებოდა. მე, რომ საჩუქრად ადგილ-მამული მიმეცა უმიწაწყოლად გლეხებისთვის, სულ ათიოდეს თუ გავახარებდი. ჩემი შემოსავალი მეტს ვერ გავწვდებოდა, მეტის ყიდვას კი მე ვერ შევძლებდიო. აღსანიშნავია, რომ ნიკოს მიუხედავად საკმოდ ბევრი შემოსავლისა საკუთარი სახლი სიღნაღში და თბილისში არ ჰქონია და ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდა. მან მთელი თავისი შემოსავალი მოახმარა უმიწაწყოლ ქართველთა დასახლებას სიღნაღის მაზრაში. ამით მან ქიზიყს თავიდან ააცილა ეთნოგრაფიული კატასტროფა, რაც დღეს სამაჩაბლოში და აფხაზეთში მძვინვარებს.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქიზიყს და მთელ საქართველოს განსაკუთრებულად უყვარდა “პატარა ქრისტედ” ხსენებული ნიკო ჯანდიერი. 1917 წელს, როდესაც ექიმი თვითონ ავად გახდა პარტახტიანი ტიფით, მთელი ქიზიყი და კახეთი გულმსურვალედ ევედრებოდა ღმერთს ეხსნა “პატარა ქრისტე”. ეტყობა მართლა ამ ღოცვებმა იხსნეს მკურნალი ჯანდიერი სიკვდილისგან. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ ქიზიყში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ უპირატესად არაქართველი, უცხოტომელების ნაშიერი კომუნისტ-კომკავშირელები, ჩეკისტები. მათ დრო იხელთეს და ღვაწლმოსილ მკურნალს სიკვდილით დაემუქრნენ, თუ არ გაეცლებოდა სიღნაღს. სხვა გზა არ იყო და თვალცრემლიანი ექიმი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო თბილისში, სადაც მან გააგრძელა მუშაობა უბნის ექიმად! მისმა მეგობარმა ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა მას აღექსანდრე ალადაშვილი მიუგზავნა, რათა დაეკავებინა ერთ-ერთი თერაპიული კათედრის გამგის თანამდებობა. ნიკომ დიდი მადლობა გადაუხადა გიმნაზიის დროინდელ მეგობარს ივანე ჯავახიშვილს, მაგრამ უარი შეუთვალა: მე პრაქტიკოსი ექიმი ვარ და არა თეორეტიკოსიო. ჩემთვის უკვე გვიანი არის მეცნიერული შრომის დაწყებაო (არადა ნიკო მაშინ სულ 50 წლისა იყო). თბილისშიც

ქუხდა ნიკო ჯანდიერის სახელი. უმდიდრესი გამოცდილების ექიმს ხშირად იწვევდნენ კონსილიუმზე გრივოლ მუხაძე, ალექსანდრე ალადაშვილი, კონსტანტინე ერისთავი, ევრემ ზაქარაია, ეგნატე ფიფია, მიხეილ ჩაჩავა და მედიცინის სხვა ქართველი კორიფეები. მის აზრს დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ და პატივს სცემდნენ თბილისში. მისი პაციენტები იყვნენ სიყრმის მეგობრები: კოტე მარჯანიშვილი, კოტე მაყაშვილი, ალ. შატილოვი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, შიო მღვიმელი, მაკა საფაროვა-აბაშიძისა, ვანო სარაჯიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე მაჭავარიანი და სხვა თვალსაჩინო ქართველი მოღვაწენი.

ნიკო ჯანდიერს მოხუცებულობის დროსაც არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1931 წელს მან მოინახულა მოსკოვის დონის მონასტერი ვსესვიატკოე. მან თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა ივანე ჯავახიშვილს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს, ცნობილ არქეოლოგ დავით ჩიქოვანს. სწორედ დ. ჩიქოვანმა აღმოაჩინა სულხან-საბა ორბელიანის და ვახუშტი ბაგრატიონის საფლავები. სამწუხაროდ ამ დიდი მამულიშვილთა საფლავები ქართველი საზოგადოების უყურადღებობის გამო დაკარგულად ითვლება (პაგლე ფირფილაშვილი 1999 წელი).

1959 წლის 28 იანვარს ნიკო ჯანდიერს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. 1968 წელს პროფესორებმა ალექსანდრე გზირიშვილმა და დავით აგლაძემ საქვეყნოდ განაცხადეს “ნიკო ჯანდიერს საქართველოს სახალხო ექიმის წოდებაც ეკუთვნოდა, რადგან ის ჭეშმარიტი მკურნალი იყო”. 1964 წლის 22 დეკემბერს 91 წლის დიდმკურნალი გარდაიცვალა და დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

ქართველმა სამედიცინო საზოგადოებამ არ დაივიწყა დიდმკურნალი ნიკო ჯანდიერი. 1973 წლის 19 დეკემბერს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის და ბიოლოგიის სექციის, პარაზიტოლოგთა რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო სამეცნიერო საზოგადოებათა გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამსახურებული ექიმის ნიკო ჯანდიერის დაბადების 100 წლისთავს. თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი გიორგი მარუაშვილი. მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები: ავლიპი ზურაბაშვილი, გაბრიელ რატიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი თამარ ვაჩნაძე, მიხეილ გიგიტაშვილი, თამარ ხელაშვილი, მხატვარი მერი ბაგრატიონი, კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი და სხვები. ნიკო ჯანდიერის გარდაცვალების მეხუთე წლისთავს მიეძღვნა თბილისის უროლოგთა საზოგადოების გამსვლელი სესია და პლენარული სხდომა. სესიას ხელმძღვანელობდა დიდი უროლოგი და მამულიშვილი პროფესორი ალექსანდრე გზირიშვილი. მან ილაპარაკა იმ დიდ ზნეობრივ გავლენაზე, რომელიც მასზე ექიმ ნიკო ჯანდიერს მოუხდენია: ბატონმა ნიკომ თავისი მაგალითით მასწავლა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ექიმი – მკურნალიც და თავისი ავადმყოფის მრავალმხრივი მზრუნველი.

1978 წელს რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა თამარ ვაჩნაძემ გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია ბრწყინვალე ექიმის და დიდი საზოგადო მოღვაწის ნიკო ჯანდიერის ცხოვრების შესახებ. თუ გერმანელები სამართლიანად ამაყობენ ალბერტ შვეიცერით, რუსები პიროგოვით, თეოდორ გაახით, ჰირშმანით, ქართველებს ფრიად გვესახელება, რომ გვეყავდნენ ლეგენდარული დიდმკურნალები: ნიკო ჯანდიერი, ვანო გომართელი, გიორგი ტარსაიძე, სამსონ თოფურია, პროკოფი ჩხიკვიშვილი, ალექსანდრე (საშა) კანდელაკი, ალექსანდრე გზირიშვილი, ლევან ანჯაფარიძე, გოგი მხეიძე, კონსტანტინე (ბონდო) ჩიქოვანი, ვალერიან მეუნარგია და სხვები.

ჩვენი ესეე გვინდა გავასრულოთ აკადემიკოს ავლიპი ზურაბაშვილის სიტყვებით “ნიკო ჯანდიერი ჯეროვან ადგილს დაიმკვიდრებს ქართული სამედიცინო კულტურის ისტორიაში”.

**Niko Jandieri**

*Kh. Pachkoria, O.gogiberidze, A. Isakadze, E. Adamia, N. Dikhaminjia, N. Kekelidze  
Tbilisi State Medical University Central Clinic, Department of Internal Medicine*

135 years was performed from the birth of legendary Georgian doctor and glorious patriot Niko Jandieri.

## ღვაწლმოსილი მეცნიერის, ამაგდარი მკურნალის, უბაღლო ორგანიზატორის პროფესორ ვახტანგ ქავთარაძის გახსენება



ცნობილი ქართველი მკურნალი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, „ღირსების ორდენის,, კავალერი, პროფესორი ვახტანგ ქავთარაძე! იყო ადამიანი რომელიც 40 წელი უანგაროდ ემსახურა ქართულ მედიცინას და მრავალი წარუშლელი ფურცელი ჩაწერა მის ისტორიაში.

დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ბატონმა ვახტანგმა. იგი დაიბადა და გაიზარდა ტრადიციულ ქართულ ოჯახში და მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღო მათ ჭერქვეშ კერპად ქცეული – ერისა და ქვეყნის სიყვარული. ბატონი ვახტანგის დედა - სოფიო ლორთქიფანიძე იყო ენციკლოპედიურად განათლებული ქალი, რომელსაც ოქროს მედალზე ჰქონდა

დამთავრებული ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია და ეწოდა პედაგოგიურ საქმიანობას სკოლაში. მისი მეუღლე, ვახტანგ ქავთარაძის მამა გიორგი ქავთარაძე იყო საქართველოში კაპიტალისტური ეკონომიკის ერთერთი ფუძემდებელი. თავის ძმასთან, ანდრიასთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში, მაგრამ ამავე დროს აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. ძმები ქავთარაძეების ხელშეწყობით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება, ხოლო ძველ სენაკში ამოქმედდა დაწყებითი სკოლა, რომელშიც ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის ბევრმა მომავალმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა მიიღო დაწყებითი ცოდნა.

1935 წელს, ვახტანგ ქავთარაძემ დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ – საჩვენებელი სკოლა (ამჟამად პირველი კლასიკური გიმნაზია) და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე.

ახლად კურსდამთავრებულ ექიმს მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო. ბატონი ვახტანგი დაინიშნა ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ნაწილის სამედიცინო სამსახურის უფროსად. 1942 წლის დეკემბერში კონტუზიის გამო იქნა დემობილიზებული, რის შემდეგ იწყებს მუშაობას ქალაქის პირველი საავადმყოფოს ბაზაზე გაშლილ ევაკოპოსპიტალში, სადაც ფუნქციონერებდა სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრა. ვახტანგ ქავთარაძე ერთდროულად ამ კათედრაზეც შრომობს ისეთი ცნობილი ექიმების გვერდით, როგორც ბრძანდებოდნენ პროფესორები, ბატონები ნიკოლოზ მახვილაძე და გრიგოლ დიდებულიძე. იგი ჯერ ორდინატორი, ხოლო შემდეგ კათედრის ასისტენტი. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ყოველთვის დიდი მოწიწებითა და პატივისცემით იხსენიებდა თავის მასწავლებლებს.

1945 წლის დეკემბერი ბატონი ვახტანგი მიემგზავრება მოსკოვში და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში იწყებს მუშაობას ორდინატორად. აქვე აკადემიკოს მირონ სიმონის ძე ვოვსის ხელმძღვანელობით ირჩევს საკვალიფიკაციო თემას - „სისხლის მიმოქცევის ორგანოების ფუნქციური მდგომარეობა მაღარის დროს,,.

ორი წლის შემდეგ, 1947-ში, მამის გარდაცვალების გამო ვახტანგ ქავთარაძე იძულებულია შეწყვიტოს მუშაობა მოსკოვში; იგი უბრუნდება თავის ძველ კათედრას და აქ აგრძელებს საექიმო და სამეცნიერო საქმიანობას. ამავე წლის მაისში სამუშაოდ გადადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრაზე (კათედრის ხელმძღვანელი პროფ. ევტიხი ცინცაძე). 1953 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას, რის შემდეგ კათედრაზე ირჩევენ ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად. 1960 წელს ამთავრებს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „ვენური წნევის რეგულაციის საკითხისათვის,,. 1963 წლიდან ბატონი ვახტანგი კათედრის პროფესორია.

ყურადღებიანმა და გულისხმიერმა ექიმმა – თერაპევტმა მუშაობის პირველივე წლებში დაიმსახურა პაციენტების პატივისცემა, სიყვარული და მოიპოვა პოპულარობა როგორც გამოჩენილმა სპეციალისტმა. ექიმური აღლო, ენციკლოპედიური განათლება,

ქართული და რუსული ენების უზადო ცოდნა, შეზავებული ორატორულ ნიჭთან გახდა მისი მისი პედაგოგიური და საექიმო საქმიანობის საფუძველი. ბატონი ვახტანგის ლექციები გამოირჩეოდა საკითხის ღრმა ცოდნით, იკითხებოდა საინტერესოდ, მაღალ პროფესიულ დონეზე წაკითხული ლექციები ყოველთვის დიდ აუდიტორიას იზიდავს და იგი ყოველთვის სავსეა მსმენელით.

ამბობენ – დიდ ნიჭს დიდი სარბიელი სჭირდება, რომ ფრთები გაშალოს და მთელი ძალით გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. ასეთი სარბიელი პროფესორ ვახტანგ ქავთარაძისათვის გახლდათ დიდი ტრადიციების მქონე, ევროპასა და საბჭოთა კავშირში პირველი, ჯანდაცვის სამინისტროს აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც იგი დაინიშნა 1968 წლის 9 ოქტომბერს. ამ დროიდან მოყოლებული 21 წლის მანძილზე ბატონი ვახტანგი იწვებს მუხლჩაუხრელ შრომას ესოდენ სოლიდური ინსტიტუტის აღორძინებისა და ძველი ტრადიციების დაბრუნებისათვის.

ვახტანგ ქავთარაძის დანიშვნამდე წელიწადნახევრის განმავლობაში კარდიოლოგიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი ექიმი და მეცნიერი ბატონი ვახტანგ წინამძღვრიშვილი. მის დროს საფუძველი ჩაეყარა ახალი კლინიკური კორპუსის მშენებლობას და ექსპერიმენტული კორპუსის რეკონსტრუქციას; ახალ მეცნიერულ მიმართულებას და თანამედროვე ინსტრუმენტული დიაგნოსტიკური ბაზის შექმნას. მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ამ ახლად წამოწყებულ საქმეს ღირსეული გამგრძელებელი სჭირდებოდა და ეს პიროვნება სწორედ პროფ. ვახტანგ ქავთარაძე აღმოჩნდა.

ერთის მხრივ აქტიური სამეურნეო საქმიანობა – ახლის მშენებლობა, ძველის რეკონსტრუქცია, ინსტიტუტის აღჭურვა თანამედროვე აპარატურით; მეორეს მხრივ – ახლი მეცნიერული მიმართულების ძიება და საკუთარი კლინიკური გამოცდილების ჩაყენება ახალ ჩანობებში, ზრუნვა ახალგაზრდა კადრების აღზრდაზე, უფროსი თაობის პატივისცემა და მათდამი თანადგომა - ყველაფერი ეს ერთად აღებული უკვე სოლიდური ავტორიტეტის მქონე პიროვნებისაგან მოითხოვდა დიდ შრომას, ტაქტს და დაკვირვებას. ბატონმა ვახტანგმა ბრწყინვალედ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას ერის, ქვეყნის და ღირსებით სავსე კოლექტივის წინაშე.

პროფ. ვახტანგ ქავთარაძის ხელმძღვანელობის პერიოდში კარდიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკა კიდევ უფრო გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა. ერთიანი კლინიკური განყოფილების სანაცვლოდ შეიქმნა რამდენიმე ახალი სპეციალიზირებული სამეცნიერო – კლინიკური განყოფილება – არტერიული ჰიპერტენზიის, ქრონიკული კორონარული უკმარისობის, სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, რითმის მოშლის და რეაბილიტაციის განყოფილებები. არაჩვეულებრივად დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა ინფარქტის განყოფილების შექმნას, რისთვისაც ბატონმა ვახტანგმა მაქსიმალურად გამოიყენა მთელი თავისი ორგანიზატორული შესაძლებლობები.

ჯერ კიდევ აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის დროს, ინსტიტუტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახლდათ კარდიოლოგიურ დაავადებათა (უპირატესად არტერიული ჰიპერტენზიის) პრევენცია. ვახტანგ ქავთარაძის ინიციატივით ცალკე იქნა გამოყოფილი პროფილაქტიკური კარდიოლოგიის განყოფილება. ბატონი ვახტანგის უშუალო მონაწილეობით და თანადგომით საფუძველი ჩაეყარა ფუნქციონალური კვლევის ახალ განყოფილებებს და ლაბორატორიებს. ბატონ თეიმურაზ დიდებულისძესთან ერთად მის სახელს უკავშირდება კარდიოლოგიის ინსტიტუტის კედლებში საქართველოში პირველი ერგონომიული და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ლაბორატორიების შექმნა.

ვახტანგ ქავთარაძის ხელმძღვანელობის პერიოდში ინსტიტუტმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ცალკეულ კარდიოლოგიურ პრობლემათა კვლევის საქმეში: სრულყოფილი იქნა არტერიული ჰიპერტენზიის და ესენციური ჰიპერტენზიის, მისი კრიზული და დიენცეფალური ფორმების მეურნეობისა და პროფილაქტიკის მეთოდები, შემუშავდა და კლინიკაში დაინერგა გულის მწვავე და ქრონიკული იშემიური დაავადების (განსაკუთრებით უტკივილო ფორმების), სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, გულის რითმის დარღვევის ადრეული დიაგნოსტიკის, მეურნეობის და პროფილაქტიკის ეფექტური მეთოდები.

ბატონი ვახტანგის ხელშეწყობით გაგრძელდა მუშაობა ჯერ კიდევ მიხეილ წინამძღვრიშვილის დროს დაწყებული უეცარი სიკვდილის პრობლემაზე. შესწავლილი იქნა უეცარი სიკვდილის პათო-მექანიზმები, დაინერგა აკადემიკოს დიმიტრი უხნაძის განწყობის თეორიაზე დაფუძნებული ახალი მეცნიერულ-მეთოდური მიმართულება, რომელიც შეისწავლის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს გულის იშემიური დაავადებისა და არტერიული ჰიპერტენზიის დროს.

ვახტანგ ქავთარაძე დიდ ყურადღებას უთმობად იმ მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც სწავლობდა კარდიოლოგიურ პრობლემებს მოლეკულურ დონეზე.

1978 წელს კარდიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა კარდიოლოგიის რესპუბლიკური სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც დაეკისა რესპუბლიკის კარდიოლოგიური სამსახურისათვის სამეცნიერო და ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობის განხორციელება. ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფ. ვახტანგ ქავთარაძე. იგი ერთდროულად რესპუბლიკური საპრობლემო კომისიის თავნჯდომარეა. ბატონი ვახტანგი მისთვის ჩვეული შემართებით და პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. რესპუბლიკური კარდიოლოგიური სამსახურის შექმნა არნახული მაშტაბით გაიშალა – ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გაიხსნა კარდიოლოგიური სტაციონარები და კაბინეტები; შეიქმნა სასწრაფო და გადაუდებელი კარდიოლოგიური სამსახურის ბრიგადები; განხორციელდა სათანადო კარდიოლოგიური კადრების მომზადება–გადამზადება; კარდიოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტებისაგან შემდგარი ბრიგადები გაპიროვნებულნი იყვნენ ცალკეულ რაიონებზე; ეწყობა სამეცნიერო სემინარები, თემატური კონფერენციები; მზადდება მეთოდური რეკომენდაციები. ვახტანგ ქავთარაძე, როგორც კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და რესპუბლიკური კარდიოლოგიური ცენტრის თავკაცი თავად ბრძანდებოდა ყველა ამ საქმიანობის ინიციატორი და ხელმძღვანელი.

ვახტანგ ქავთარაძე, ყველა სიკეთესთან ერთად, არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭით და სხარტი გონებით იყო დაჯილდოებული. რა სიტუაციაში უნდა მოხვედრილიყო, რა თემის ირგვლივ უნდა დასჭირვებოდა საუბარი, რომ ბრწყინვალედ არ გაერთმია თავი. საოცრად საინტერესო იყო ყველა მისი შემაჯამებელი გამოსვლები კონფერენციებსა და ყრილობებზე, ახლისა და პროგრესულის წინ წამოწევის უნარი.

ბატონი ვახტანგის ნიჭიერება განსაკუთრებით ნათლად მუდგანდებოდა ავადმყოფის საწოლთან. სხარტი აზროვნება, წლების მანძილზე შეძენილი დიდი კლინიკური გამოცდილება იყო მისი როგორც ექიმ–კლინიცისტის წარმატების საწინდარი. და სწორედ ასევე “ტელეგრაფული” სტილით აზროვნებას და მოხსენებას მოითხოვდა ახალგაზრდა ექიმებისაგან.

არანაკლებ საინტერესო იყო ვახტანგ ქავთარაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. სწორედ ამ მონაცემების წყალობით, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში, კარდიოლოგიის ინსტიტუტში თავი მოიყარა მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ. მისი უშუალო ხელშეწყობით ათეულობით ახალგაზრდა კადრი იყო მივლინებული სამუშაოდ მაშინდელი საბჭოთა კავშირის, ხოლო მოგვიანებით ამერიკის და ევროპის წამყვან კლინიკებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში. იგი დღენიდაგ ზრუნავდა, რომ ინსტიტუტის წარმატებები ცნობილი და ხელმისაწვდომი გამხდარიყო ფართო სამედიცინო საზოგადოებისათვის. კარდიოლოგიის ინსტიტუტიდან გამოსული ყველა მეცნიერულ შრომას თუ წერილს კითხულობდა და ასწორებდა თავად აკადემიკოს ვახტანგ ქავთარაძე, რაშიც მას დიდ დახმარებას უწევდა ქართული და რუსული ენების უბადლო ცოდნა. მისი მოღვაწეობის 21 წლის მანძილზე, კარდიოლოგიის ინსტიტუტში გამოიზარდა ათეულობით მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. თავად ბატონი ვახტანგის კალამს ეკუთვნის 150 სამეცნიერო შრომა და 5 მონოგრაფია.

კარდიოლოგიის ინსტიტუტის ყოველდღიური საქმიანობის პარალელურად ბატონი ვახტანგი აქტიურად იყო ჩაბმული მაშინდელი საკავშირო კარდიოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი გახლდათ კარდიოლოგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის პრეზიდენტის, თერაპევტთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის, საკავშირო ჟურნალ „კარდიოლოგიის“, და ქართულ ჟურნალ „მედიცინის“, სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობა ეს ვახტანგ ქავთარაძის პორტრეტის მხოლოდ ერთი მხარეა. დაუშვებელია არ აღინიშნოს, რომ ბატონ ვახტანგს, ყოველივე

ზემოთ აღნიშნულთან ერთად გააჩნდა არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებები, რაც მის პიროვნებას არაორდინარულს ხდიდა. ვახტანგ ქავთარაძის ყველა ზემოაღნიშნული საქმიანობის წარმატების მიზეზი ალბათ მისი „ქართული„ ბუნება იყო. ის გახლდათ უბრალოდ რომ ვთქვათ ქართველი კაცი – სიკეთით სავსე, „ზღვა მეგობრებით და ნაცნობებით, ყველას ჭირის და ღვინის გამზიარებელი, გამორჩეული თამადა, თავისი ქვეყნის ტრადიციების პატივისმცემელი, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა. ალბათ ყველა ამ თვისების გამო დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ მას მისი მოწაფეები და ასელებლები.

ბატონი ვახტანგი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო არამარტო კარდიოლოგიის ინსტიტუტისათვის, არამედ მთელი სამედიცინო საზოგადოებისათვის. ერთი რამ ცხადია ვახტანგ ქავთარაძის ცხოვრება და მოღვაწეობა კიდევ დიდხან იქნება სამაგალითო მომავალი თაობებისათვის.

აკად. მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი,  
საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოება,  
საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოება



რუსუდან ღამბაშიძე



„სიკეთისათვის სიკეთეს არავის დაფუგვიანებ. ავის თქმით, ავის ქცევითა გულს არვის დაფუზიანებ.“  
ვაჟა

ამასწინათ ქართულმა შინაგანმა მედიცინამ ზოგადად და კარდიოლოგიამ კერძოდ დაკარგა თავისი გამოჩენილი და ბრწყინვალე წარმომადგენელი პროფესორი რუსუდან ღამბაშიძე.

დაიბადა 1921 წელს წარჩინებულ მამულიშვილთა ოჯახში. მამა – არჩილ ღამბაშიძე, იყო ცნობილი ვეჟილი. ბაბუა - ბესარიონ კუხიანიძის 1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყების

შემდეგ მხეცურად დახვრიტეს საფინხიას ტყეში მიტროპოლიტ ნაზართან, დეკანოზ სვიმონ მჭედლიძესთან და სხვა მღვდელმთავრებთან ერთად. მოგვიანებით საქართველოს მართლმადიდებლურმა სამოციქულო ეკლესიამ დახვრეტილი სასულიერო მოღვაწენი წმინდანებად შერაცხა. მამის ბიძა დავით ღამბაშიძე, ასევე სასულიერო მოღვაწე, რელიგიურ ჟურნალ „მწყემის“ დამფუძნებელი და გამომცემელი იყო.

ქალბატონ რუსუდანს ბავშვობიდანვე დაეწაფა მშობლების მდიდარ ბიბლიოთეკას. კითხულობდა ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურას, ასევე რუსულ ლიტერატურას. შეისწავლა ინგლისური ენა, რაც შემდგომ ძალიან გამოადგა. მიუხედავად ჟამის სიავისა ქალბატონი რუსუდანი ავბედით 1937-ში ამთავრებს სკოლას თბილისში და შედის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტზე. 1942 წელს კურსის ფრიადებზე დამთავრების შემდეგ ახალბედა ექიმი შინაგან სწეულებათა პროპედევტიკის კათედრაზე დატოვა პროფესორმა გრიგოლ დიდებულისძემ. აქ მან გაიარა ბრწყინვალე კლინიკური და აკადემიური სკოლა. ჯერ მუშაობდა ორდინატორად, შემდეგ კი – ასისტენტად. 1952 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრაზე, ასპირანტად. 1957 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „გულისსახლბარდვთა სისტემის მდგომარეობა წყლულოვანი დაავადების დროს“. 1956-74 წლებში მუშაობს ქალაქის №1 საავადმყოფოს გულმკერდის ქირურგიის განყოფილებაში კონსულტანტ-კარდიოლოგად. 1960-1974 წლებში იყო საკავშირო სამედიცინო აკადემიის საპრობლემო ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ხელმძღვანელობდა ფუნქციური დიაგნოსტიკის კაბინეტს. 1971 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „კარდიო- და ჰემოდინამიკა ფილტვისმიერი გულის, ჩირქოვანი და სიმსივნური დაავადებით დასნეულებულ პაციენტებში“.

1963 წელს, თავის მასწავლებელ აკადემიკოს ნიკოლოზ ანთელავასთან ერთად გამოაქვეყნა მონოგრაფია „გულის დაავადებები და მათი ქირურგიული მკურნალობა“. 1974 წელს კონკურსით ირჩევენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის პროფესორად, სადაც დაჰყო 2001 წლამდე. კითხულობდა შესანიშნავ კლინიკურ ლექციებს, განაგებდა კათედრის სამეცნიერო მუშაობას, იყო ორიდან ერთ-ერთი საკვლევი თემის პასუხისმგებელი შემსრულებელი, ატარებდა პრაქტიკულ, სემინარულ მეცადინეობებს, კონსილიუმებს. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს, საბჭოთა კავშირის და მსოფლიო კარდიოლოგთა ყრილობების მუშაობაში. სადაც მრავალი მოხსენება გააკეთა. იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს წევრი. პროფესორი რუსუდან ღამბაშიძე იყო შესანიშნავი ფართო პროფილის ექიმი-კლინიკისტი. მის მიერ დასმული დიაგნოზები გამოირჩეოდა სიზუსტით ხოლო კლინიკური მსჯელობა იყო ღოგიკური და მაღალაკადემიური.

ქალბატონ რუსუდანს ესახელებოდა, რომ ჰყავდა სამი დიდი კლინიკური მასწავლებელი – პროფესორები გრიგოლ დიდებულისძე, კონსტანტინე ვირსალაძე და აკადემიკოსი ნიკოლოზ ანთელავა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი მოღვაწეობა აკად. ნ. ანთელავას გულმკერდის კლინიკაში. ნიკოლოზ ანთელავამ საფუძველი ჩაუყარა საქრთ-

ველოში ახალ დისციპლინას – კარდიოქირურგიას. მაშინ გულის მანკებზე ოპერაცია კეთდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აუსკულტაციით და ფონოკარდიოგრაფიით დადგინდებოდა ანატომიური დეფექტები გულზე. ქალბატონ რუსუდანი დიაგნოზი თითქმის ყოველთვის დასტურდებოდა ოპერაციაზე. მისი დასკვნის გარეშე არ კეთდებოდა არცერთი ოპერაცია გულზე. ის, როგორც წესი, ესწრებოდა ყველა ოპერაციას. მაშინ საქართველოში პირველად გაკეთდა მიტრალური კომისუროტომია, ძვიდის დეფექტების გაკერვა, ფიესკის ოპერაცია (ძუძუს არტერიის გადაკვანძვა გულის იშემიური დაავადების სამკურნალოდ) ოპერაცია ღია გულზე. 1962 წელს აკადემიკოს ნიკოლოზ ანთელავას საბჭოთა კავშირის ცნობილ ქირურგებთან ა. ბაკულევთან, ფ. უგლოვთან, მეშალკინთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია გულის ქირურგიაში დიდი მიღწევებისათვის. აკადემიკოს ნ. ანთელავას არაერთხელ აღუნიშნავს, ქალბატონ რუსუდან ღამბაშიძის ღვაწლი საქართველოში კარდიოქირურგიის მეცნიერული საფუძვლების ჩამოყალიბებაში.

პროფესორ რუსუდან ღამბაშიძის სამედიცინო-აკადემიური კარიერის საფეხურების აღნუსხვა ვერ იძლევა მისი მრავალმხრივი პიროვნების სრულ სურათს. იყო ჩინებული მეოჯახე: მეუღლე – ვახტანგ ქავთარაძე – აკად. მ. წინამძღვრიშვილის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. შვილი – გიორგი ქავთარაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ქალბატონი რუსუდანი ხარობდა შვილიშვილებით, მოესწრო შვილთაშვილს, ოჯახში ჰარმონია სუფევდა. ოჯახის წევრები უკლებლივ დაჯილდოებულნი იყვნენ დახვეწილი, არისტოკრატიული იუმორით. მათი მოსწრებული სიტყვა-პასუხი უმაღლეს იყვრობდა საზოგადოების ყურადღებას და ხშირად ე.წ. ფრთიან ფრაზებად იქცეოდა ხოლმე.

ქალბატონი რუსუდანი იყო კეთილშობილი ოჯახიშვილი. თანდაყოლილ არისტოკრატიზმთან ერთად ახასიათებდა თავმდაბლობა, სისადავე ადამიანებთან ურთიერთობაში, დემოკრატიზმი, ჰუმანიზმი. იყო მომთხოვნი თანამშრომლებთან და სტუდენტებთან, ამავე დროს, საოცრად რბილი ხასიათის, კეთილმოსურნე. ახასიათებდა პრინციპულობა, ამავე დროს იყო ტაქტიანი, მიმტევებელი, საოცრად ტოლერანტული. არ ახასიათებდა ამპარტავნობა – ეს ყველაზე დიდი ბოროტება ადამიანებში, აგრეთვე შური, ანგარება, მრისხანება, უსამართლობა. მის გარშემო შეუძლებელი იყო მამაებლობა, მლიქვნელობა, მახეზღარების ყურისგდება. მასთან საერთო ენას ვერ გამოიხატავდნენ დამსმენი – მახეზღებელი, შურიანი, ავსიტყვა, ჭორიკანა, ხარბი და არაკეთილსინდისიერი ადამიანები.

იგი ადამიანებში ეძებდა კარგს, დადებითს და არა ცუდს, უარყოფითს. ხარობდა თავისი სტუდენტების, ექიმების, მედლების წარმატებებით, საჯაროდ შეაქებდა. ლექციების კითხვის დროს ყურადღებას ამახვილებდა ავადმყოფობის ისტორიის განხილვაზე; ვინ იყო ამა თუ იმ ავადმყოფობის მკურნალი ექიმი – რა წვლილი მიუძღვოდა მას დიაგნოზის დასმაში და მკურნალობის წარმატებით წარმართვაში. ყოფილა შემთხვევა, როცა საავადმყოფოს არქივიდან უთხოვია ამა თუ იმ ნოზოლოგიის ავადმყოფობის ისტორია სალექციოდ და შეუქია ის ექიმები, რომელთაც შეიძლება დავიწყებული ჰქონოდათ თავიანთ პაციენტებზე გაწეული ამაგი. ქალბატონ რუსუდანს ამ კეთილი საქმის გამო ემადლიერებოდნენ კლინიკის თანამშრომლები. ის იყო საოცრად სიმპათიური ადამიანი – ჰქონდა საკვირველი უნარი, სწრაფად დაემყარებინა თბილი ურთიერთობა ავადმყოფებთან, სტუდენტებთან, თანამშრომლებთან, მისი ყურადღების მიღმა ავადმყოფის არცერთი ჩივილი ან სიმპტომი არ დარჩებოდა. შემოვლებზე საოცრად გულთბილი, კეთილმოსურნე იყო. მისთვის უცხო იყო მრისხანება, დაცინვა, ცინიზმი. ის უფროსილდებოდა ავადმყოფის, ექიმის, მედლის, სანიტრის თუ სტუდენტის ღირსებას. ავი სიტყვით გულს არავის ატკენდა. ლექციებს და სემინარულ მეცადინეობებს საკვირველი ოსტატობით წარმართავდა. ხშირად ენამოსწრებულად ჩაურთავდა კურიოზულ შემთხვევებს საკუთარი სამედიცინო პრაქტიკიდან ან ლიტერატურიდან. ერთხელ სტუდენტები არჩევდნენ რანდიუ-ოსლერის ტელეანგიოექტაზიის შემთხვევას. ქალბატონმა შეკითხვა ერთერთ მომხსენებელ სტუდენტს – რა იცით ოსლერის შესახებ. ფრიადოსანმა სტუდენტმა ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიცივით სხაპასუხით ჩამოთვალა სხვადასხვა სიმპტომები და სინდრომები, რომელიც ამ კლინიკისტის სახელთან იყო დაკავშირებული. ქალბატონმა

რუსუდანმა მიმართა აუდიტორიას – იქნებ ვინმემ იცისო ოსლერის პიროვნების შესახებ, ჩამოწვა ხანგრძლივი დუმილი. მაშინ ქალბატონმა რუსუდანმა სტუდენტებს გააცნო ამ გენიალური კლინიცისტის ბიოგრაფია, აჩვენა 1928 წელს გამოქვეყნებული წიგნი „შინაგანი მედიცინის საფუძვლები“. ქალბატონმა რუსუდანმა ხაზი გაუსვა ოსლერის იბერიულ-კელტურ წარმოშობას (ცნობილია, რომ იბერიულ ტომებს საქართველოს გარდა დიდი ენათმეცნიერი ნიკო მარი ირლანდიაში, ესპანეთში (ბასკეთში) მეტად დააინტერესა. ქალბატონმა რუსუდანმა სტუდენტებს მოუთხრო ექიმებს კლასიფიკაციაზე, რაც ოსლერს ეკუთვნის:

“ექიმები – რომლებიც საქმეს აკეთებენ და არაფერს ამბობენ.

ექიმები – რომლებიც მხოლოდ ლაპარაკობენ, მაგრამ არაფერს აკეთებენ.

ექიმები, რომლებიც არაფერს აკეთებენ და არც ლაპარაკობენ.“


ყველაზე მეტად დაფასებული ამ ჯგუფის ექიმები ყოფილან და შემოსავალიც ყველაზე მეტად მათ ჰქონიათ. ამის გაგონებაზე ატყდა ჰომერული სიცილ-ხარხარი, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. ყველაზე მეტად იცინოდნენ ზარმაცი, უქნარა სტუდენტები (აქაოდა სწავლაზე თავი რატომ შევიწუხეთ, უცოდინრობით და მცონარობით

ქალბატონი რუსუდანი პოლივალენტური ნიჭის ადამიანი იყო, ზედმიწევნით ნაკითხი, მუსიკალური განათლებით, ჩინებულად უკრავდა ფორტეპიანოზე და კარგადაც მღეროდა, მშვენივრად ერკვეოდა სახვით ხელოვნებაში. სიკვდილამდე თავის ვაჟიშვილს თხოვა დაეკრა გიტარაზე და ემღერა საყვარელი რომანსი... მაგნიტოფონმა შემოინახა ეს უნიკალური ჩანაწერი.

ქალბატონი რუსუდანის დახვეწილი „სრული“ ინტელიგენტობა თვალშისაცემი იყო მაშინ, როდესაც გარემო სავსე იყო ნახევარ ინტელიგენტებით...

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი რუსუდან ღამბაშიძე საქართველოს მედიცინის ისტორიაში დამკვიდრდება ბრწყინვალე ინტერნისტ-კარდიოლოგის, უბადლო პედაგოგის და კეთილსინდისიერი მკვლევარ-მედიკოსის სახელით.

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის კლინიკა*



## ძვირფასო

### პროფესორო ნოდარ ნ. ყიფშიძე


პოლონეთის ინტერნისტთა საზოგადოებამ იზეიმა მისი დაარსებიდან ასი წლისთავი. წელს ჩვენი “საუკუნის მედლით” დავაჯილდოვეთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ინტერნისტი.

გვაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ჩვენი საზოგადოების საბჭომ დავაჯილდოვათ ვლადისლავ ანტონიუს გლუზინსკის მედლით.

ჩვენ დიდად მოხარული ვიქნებით, თუ თქვენ მიიღებთ მედალს, როგორც მტკიცებულებას, შინაგან

მედიცინაში თქვენი მიღწევების ჩვენს მიერ აღიარებისა.

პოლონეთის ინტერნისტთა საზოგადოება გამოსაშვებად ამზადებს “საუკუნის წიგნს”, სადაც თქვენთან ერთად იქნება ყველა ინტერნისტის ბიოგრაფია, რომლებიც დაჯილდოვდნენ “საუკუნის მედლით”.



პოლონეთის ინტერნისტთა საზოგადოების გენერალური მდივანი ანა კოტულსკა

პოლონეთის ინტერნისტთა საზოგადოების პრეზიდენტი ევგენი ჯოზეფ კუჩარზი.

29 მარტი 2002 წელი.

Dear Professor Kipshidze,

The Polish Society of Internal Medicine has been celebrating the centenary of its foundation. In this year, we have awarded a number of internists all over the world with our “Centenary Medal”. We feel very honoured to inform that the Council of the Society has awarded you with the Medal. We should greatly appreciate if you accept the Medal as a proof of our recognition of your achievements in internal medicine.

We will send you the Medal with accompanying diploma and we will be pleased to receive your mailing address.

The Polish Society of Internal Medicine is preparing for publication the “Centenary Book”. The Book will contain the photos of all internists awarded with the “Centenary Medal”.

Sincerely yours,

**Anna Kotulska**  
Secretary General

**Eugene Joseph Kuchars**  
President

საქართველოს მედიცინის პატრიარქსა და ღვაწლმოსილ მეცნიერს  
აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძეს

ბატონო ნოდარ!

საქართველოს ინტერნისტთა საზოგადოება, აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაცია და ჟურნალ “კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინა XXI“-ს რედაქცია უერთდება და გულთადად გილოცავთ შინაგანი მედიცინაში თქვენი მიღწევების კიდევ ერთ საერთაშორისო აღიარებას და გისურვებთ ხანგრძლივ შემოქმედებით სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.



**წერილი**

*პატივცემულო კოლეგა !*

საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი და საორგანიზაციო კომიტეტი გატყობინებთ, რომ 2008 წლის 30 სექტემბერს – 1 ოქტომბერს, თბილისში, ჩატარდება საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების მე-3 კონგრესი.

*წინასწარი პროგრამა :*

თანამედროვე მიღწევები კარდიოლოგიაში: გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა; გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მართვის რეკომენდაციები; მტკიცებულებებზე აგებული თერაპია.

კონგრესის გახსნა და მონაწილეთა რეგისტრაცია – 30 სექტემბერი

სამეცნიერო სიმპოზიუმები – 30 სექტემბერი, 1 ოქტომბერი

*კონგრესის სამუშაო ენა:* ქართული, ინგლისური, რუსული

*თეზისების განთავსების წესები:*

თეზისების მიღების ვადა : 2008 წლის 15 ივლისი. თეზისები მიიღება ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან ფოსტით.

თეზისების ფორმა:

სათაური, ავტორები, დაწესებულება, ქალაქი, ქვეყანა.

ძირითადი ნაწილი: დასაბუთება, მეთოდები, შედეგები, დასკვნები.

ზეპირი მომსახურების განაცხადის მიღების ვადა – 2008 წლის 1 აგვისტო

თეზისები და ზეპირი მოხსენებების ტექსტი გამოქვეყნდება კონგრესის ჟურნალში.

დაწერილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

თერაპიის ეროვნული ცენტრი,

ჩაჩავას ქ. 3,

0159, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 99 514545; +995 99 95 67 27 ფაქსი: +995 32 517006

ელ.ფოსტა: [kikalishvili@yahoo.com](mailto:kikalishvili@yahoo.com), [t.kikalishvili@gmp.ge](mailto:t.kikalishvili@gmp.ge)

კარდიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი

გუდამაყარის ქ. 4

0141, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 77 415937; ფაქსი: +995 32 955114; ელ.ფოსტა: [cardiosociety@myoffice.ge](mailto:cardiosociety@myoffice.ge)

**პატივისცემით,**

**პროფესორი ვახტანგ ჭუმბურიძე**

**საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი**

საქართველოს ინტერნისტთა საზოგადოების გენერალური მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი: შორენა ჭუმბურიძე ა/წ-ის 13-17 მაისს, ამერიკის ექიმთა კოლეჯის მიერ, მიწვეული იყო ვაშინგტონში როგორც სპეციალური წარმომადგენელი, შინაგანი მედიცინის 2008 წლის სამეცნიერო კონგრესზე, ამერიკის ექიმთა კოლეჯის საბჭოს ყოველწლიურ ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნული ცერემონიაზე ამერიკის ექიმთა კოლეჯი აღიარებს და ცნობს ახალ წევრებსა და სპეციალურ წარმომადგენლებს.

ამერიკის ექიმთა კოლეჯის საბჭოს პირველი ცერემონიალი შედგა 1916 წელს, კოლეჯის დაარსებიდან 1 წლის შემდეგ.

ცერემონიალი ტარდება სრული აკადემიური რეგალიების დაცვით.

ცერემონიაში მონაწილეთა ჩაცმულობა დასაბამს იღებს მე-12 საუკუნიდან.

თანამედროვე ეტიკეტის თანახმად მხოლოდ ექიმთა შემდეგი ხარისხის მფლობელებს, MDs, PhDs, JDs, შეუძლიათ ჰქონდეთ მანტიაზე ხავერდი და ქუდზე ოქროს ფოჩი



**Prof. Hans-Peter Kohler** (Secretary General of International Society of Internal Medicine),  
**Prof. Rolf A. Streuli** (President of International Society of Internal Medicine),  
**Sh.Chumburidze MD, PH.D** ( Secretary General of Georgian Society of Internal Medicine),  
**Prof. Donald W. Hatton** (Chair-elect, Board of Governors of the American College of Physicians).

The Secretary General of Georgian Society of Internal Medicine Shorenna Chumburidze MD, PhD was invited at Internal Medicine 2008 as a special representative at The American College of Physicians Convocation ceremony in Washington, DC on May 13-17, 2008.

The convocation of The American College of Physicians is a yearly ceremony whereby the College recognizes and applauds its new Fellows and the Special representatives. It is a ceremony of tradition, transition, renewal and celebration. The first American College of Physicians Convocation was held in 1916 the year after the college's founding. Convocation is conducted in full academic regalia, a ceremonial form of dress that dates back to the twelfth century.

According to the current etiquette, only holders of doctoral degree- MDs, PhDs, JDs and so forth- may have velvet on they gowns and only doctors may wear a gold tassel on they cap.



\* \* \*

ა/წ 26-29 სექტემბერს ქალაქ თბილისში სასტუმრო “შერატონ-მეტეხი პალასში” ჩატარდება III საერთაშორისო კონგრესი “ჯანმრთელობა და წამალი”, საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის IV ეროვნული კონგრესი.

ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის, ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპის აკადემიისა და საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის ერთობლივი სესია.

ტრადიციულად კონგრესის ფარგლებში საქართველოს საერთაშორისო კარდიო-მიოპათიის საზოგადოების ეგიდით ჩატარდება სიმპოზიუმი “გულის ვირუსული დაავადებები”.